

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



ირაკლი ნადარეიშვილი

სამოხელეო დანაშაულის (სსკ-ის 332-333 მუხლები) მტკიცებულებათა
სტანდარტის სამართლებრივი ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპულ
სასამართლოსა და ქართულ მართლმსაჯულებაში.

სადოქტორო პროგრამა: სამართალი

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

ნინო გვენეტაძე

წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0192, საქართველო

საავტორო უფლება © 2019 წელი, „ირაკლი ნადარეიშვილი“

სარჩევი

ანოტაცია	3 -8
შესავალი	9-15
თავი I - სამოხელეო დანაშაულის ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვა და სამოხელეო დანაშაულისა და სასჯელის სახეები ქართულ და მსოფლიო სამართლის ისტორიაში	16-40
თავი II - მტკიცებულებათა სტანდარტი სამოხელეო დანაშაულის შეფასებისას --	41-43
2.1 - მტკიცებულებათა მოპოვების წყაროები	43-51
2.2 - მტკიცებულების რელევანტურობა	51-53
2.3 - მტკიცებულებათა ავთენტიკურობა	54-57
2.4 - მტკიცებულებათა დასაშვებობა	57-66
თავი III - პირდაპირი და ირიბი მტკიცებულების როლი სამართალწარმოებაში --	67-93
3.1 - ადამიანის უფლებათა სტანდარტები დაზარალებულებთან მიმართებით -	93-95
3.2 - ადამიანის უფლებათა სტანდარტები ბრალდებულის პოზიციიდან -----	95-98
3.3 - მოწმის ირიბი ჩვენების გადამწყვეტი მნიშვნელობა განაჩენის გამოტანისას	98-119
თავი IV - ცრუ დასმენა სამოხელეო დანაშაულში -----	120-122
4.1 - ცრუ დასმენის დანაშაულებრივი ბუნება და მისი ობიექტი -----	122-132
4.2 - მსგავსება, განსხვავება და ურთიერთგადაფარვის ელემენტები ცრუ დასმენისა და ცრუ ჩვენების ანალიზისას -----	132-139
4.3 - ცილისწამების სისხლის სამართლის წესით დასჯადობის მიზანშეწონილობა -----	139-154

თავი V - ძალადობისა და იძულების გამოყენა/გადაფარვის პრობლემატიკა
სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციისას, ძალადობის ხერხები და
მეთოდები. ----- 154- 184

თავი VI - სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკური ანალიზი ----- 185-193
დასკვნა ----- 193 -199
გამოყენებული ლიტერატურა ----- 200-209

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის პროცესის მთავარ ქვაკუთხედს - მტკიცებულებას და მის სტანდარტს სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით. ნაშრომის ფარგლებში, სამოხელეო დანაშაულის კუთხით, პირველად იქნა ჩატარებული კვლევა, რომელმაც მოიცვა, როგორც ქართული, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საერო და რელიგიური სამართლის ძეგლები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია უძველესი სამართლის ძეგლების იმ ჩანაწერებზე, რომლებიც არეგულირებდნენ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ამგვარის ბოროტად გამოყენების დასჯადობას და სასჯელის ზომას. ნაშრომში გაანალიზებულია სამოხელეო დანაშაულის ცნება და მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპის მიხედვით ევროპისა და აზიის ქვეყნების მაგალითებზე. წარმოდგენილია მათი ანალიზი, კლასიფიკაცია და აღწერილია მათთან ბრძოლის მეთოდები ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. ნაშრომში ისტორიულ-სამართლებრივი კვლევა განხორციელებულია, ასევე, დანაშაულის მტკიცებულებებთან მიმართებით და გაანალიზებულია მტკიცებულებათა ერთობლიობის ის მინიმალური სტანდარტები, რომელთაც ეყრდნობოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში მოსამართლეები გადაწყვეტილების გამოტანისას. კვლევის ფარგლებში განხორციელებულია სამოხელეო დანაშაულში ცრუ დასმენის ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი. განხილულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითები, რომელთა სამართლებრივი ანალიზისას ნაშრომში ადაფიქსირებულია პოზიცია, რომ სამოხელეო დანაშაულში ცრუ დასმენისას დანაშაულის ობიექტად უნდა მოიაზრებოდეს არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი, ადამიანის თავისუფლება, მისი პატივი და ღირსება, არამედ სახელმწიფოს კანონიერი ინტერესიც. კვლევაში, ცრუ დასმენასთან ერთად, გაანალიზებულია ცილისწამების, როგორც დანაშაულის, დასჯადობის მიზანშეწონილობის საკითხი და ამ კუთხით

წარმოდგენილია მთელ რიგ საკანონმდებლო ცვლილებათა გასატარებლად საჭირო არგუმენტირებული რეკომენდაციები.

ნაშრომში გაანალიზებულია ძალადობით ჩადენილი სამოხელეო დანაშაულების სპეციფიკა. კვლევაში კონკრეტული პრაქტიკული მაგალითის მიხედვით განხილულია იძულების, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის შემადგენლის თავისებურებანი და მისი საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. განხილულია ძალადობის ფორმები. წარმოდგენილია რეკომენდაცია, რომლის მიხედვით სსკ-ის 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას, ფსიქოლოგიური იძულების შემთხვევაში, პრაქტიკაში არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, დანაშაულის კვალიფიკაცია მოხდეს ზემოთ აღნიშნული მუხლების მე-3 ნაწილით.

ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირებისას, მკვლევარი ახდენს მათ 10 პირობით კატეგორიად დაყოფას. ავტორის აზრით, იმისათვის, რომ ეფექტურად იქნას გამოძიებული სამოხელეო დანაშაული, საჭიროა, პირველ ყოვლისა, სწორად დაიგეგმოს ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებათა სტრატეგია და ტაქტიკა, გამოიკვეთოს ფაქტობრივი გარემოებები, რაც მტკიცების საგანი გახდება. სამოხელეო დანაშაულთა ჩადენის სპეციფიკის ანალიზით, ნაშრომის ავტორი გვთავაზობს გამოძიებისას დასადგენ ფაქტობრივ გარემოებათა 5 პირობით კრიტერიუმს, რომლებიც ნებისმიერი სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას უნდა იქნას შესწავლილი და დადგენილი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნას, მტკიცებულებათა მოპოვებასა და სისხლის სამართლის საქმეზე მათ პროცესუალურად დამაგრებას.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა სამართალწარმოებისას პირდაპირი და ირიბი მტკიცებულების როლსა და მნიშვნელობის ანალიზს. განსაკუთრებით ხასგასმულია მათი ერთობლიობის სტანდარტის მნიშვნელობა სამოხელეო

დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე. გაანალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიდგომები სასამართლოში საქმის განხილვისას გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში, ირიბ მტკიცებულებათა დასაშვებობისა და მათი განხილვის კრიტერიუმები. განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ დამკვიდრებული არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ირიბი მტკიცებულებების გამოყენებასთან მიმართებით. კვლევაში მოყვანილია კონკრეტული მაგალითები და დასახელებულია ირიბი (არაპირდაპირი) მტკიცებულებების გამოყენების აუცილებლობის არგუმენტები, სამოხელეო დანაშაულის განხილვისას, ამ დანაშაულის ხასიათისა და სპეციფიკიდან გამომდინარე. არსებული ბუნდოვანებისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით დასმულია საკითხი დადგენილი იქნას მოსამართლის დისკრეციის კრიტერიუმები ირიბი მტკიცებულებების გამოყენებასთან მიმართებით.

კვლევის დასასრულს, ნაშრომში მოცემულია ის დასკვნითი დებულებები, რომლებიც ავტორის მიერ მიღებულია დასმული საკითხების შესწავლისა და სამეცნიერო დამუშავების შედეგად. ავტორი დასკვნის სახით განმარტავს, რომ პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებათა სტანდარტის მიმართებაში, სადისერტაციო ნაშრომი ახლებურად დაანახევებს პრაქტიკული მაგალითებისა და კონკრეტული საქმეების ანალიზის შედეგად, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ახალი მეთოდების დანერგვა ამგვარი კატეგორიის საქმეების გამოძიებასა თუ სამართლებრივ შეფასების განხორციელებისას. ავტორი იმედოვნებს, რომ ნაშრომი თავის არსით, მეთოდოლოგიითა და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით სასარგებლო როლს შეასრულებს და ერთგვარი სარეკომენდაციო ნაშრომის სახეს მიიღებს სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმებულ და

მართმსაჯულების განმახორციელებელ საჯარო მოხელეთათვის, ასევე ადვოკატთა კორპუსისა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

Annotation

The dissertation work refers to the main cornerstone of the criminal process – evidence and its standards concerning the official misconduct. Within the scope of the work, the study was conducted on official misconducts for the first time, which has covered both the monuments of secular and religious law of Georgia and other countries of the world. The particular attention was paid to the recordings of ancient law monuments, which were regulating the principles of penalization of criminal acts such as abusing of official powers and exceeding official powers. Also, these recordings were defining the types of sentences and the size of penalty for abovementioned crimes. The work analyzes the concept and the importance of an official misconduct according to different phases of human development, on examples of different countries from Europe and Asia. Author also provides the specific analyses, classifications and describes methods of combatting on the basis of existing historical sources. Historical-legal research has been held concerning the crime evidence and therefore analyzes were made on the minimum standards of the totality of evidence, based on which judges of different countries delivered justice.

The work also provides the historical-legal reports concerning the false testimony in official misconduct cases. The specific examples are given and author declares his view that the objective of false testimony crime, conducted within the official misconduct case, should also be the lawful interest of the government besides the interest of justice, personal freedom, honor and dignity. Besides the false testimony, author also produces the analysis on making the defamation act punishable

by law and provides recommendations for conducting relevant legislative amendments.

Report includes specific analyzes of an official misconduct that has been committed using violence. On the basis of specific case, reporter has reviewed the peculiarity of the Coercion as the constituent of psychological violence and the socially dangerous nature of the action. Report also contains the discussion about the diverse forms of the coercion. In order to eliminate the ambiguities in practice the recommendation has been presented that an official misconduct, prescribed by the article 332 and 333 of the Georgian Criminal Code, that has been committed using psychological coercion, should be qualified as an act established by the third paragraph of the abovementioned articles.

The Author of the article identifies the causative factors of official misconduct perpetrated by using violence and breaks down into 10 categories. According to the author, in order to carry out the effective investigation of criminal cases concerning the official misconduct, on the first hand it is vital to accurately prepare strategies and tactics of an investigative plan, outline the factual circumstances, which later will become the subject of proof. Based on analyzes regarding the specifics of official misconduct the Author offers 5 conditional criteria. These criteria must be determined and studied on each official misconduct case, which will afterwards consecutively promote to resolve the criminal case, obtain and secure the evidence in accordance with the established procedures.

The great part of the work is dedicated to the role and importance of direct and indirect evidence. The importance of the body of consistent and convincing evidence, at the stage of investigation and when hearing the case at court, is particularly underlined by the author. The work also covers the attitudes of different countries and the European Court on Human Rights, concerning the admissibility of indirect evidences and its criteria when delivering the justice. Author also discusses the judgment of the Constitutional Court of Georgia which was followed by the dissimilar

court practice on application of indirect evidence. Research provides the concrete examples and stipulates argumentations on necessity to apply indirect evidences when hearing the cases concerning official misconduct. Author argues that it is vital to list the criteria of discretion on applying indirect evidences by the judge, In order to eliminate vagueness and dissimilar practice.

At the end of the study, the work provides the final provisions that the author has obtained from studying and researching the abovementioned issues. As a conclusion, author explains that on the bases of discussed practical examples and concrete cases, the dissertation work will provide the idea of importance of introduction of new methods in case of investigations or legal assessment of such cases.

The author hopes that the work will be useful in its essence, methodology and research findings and will play the role of the recommendation paper for public servants employed in law enforcement agencies, for lawyers and law faculty students.

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა: ნაშრომში განხილული თემის აქტუალობა, ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარებისა და სახელმწიფოს დაარსების დღიდან იღებს სათავეს და დღემდე სამოხელეო დანაშაულის რეგულაციისა და მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ მტკიცვეულ საკითხს წარმოადგენს.

სამოხელეო დანაშაულთა სამართლებრივი ანალიზი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში არსებული სისტემური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის გამო. გარდა ამისა, ამგვარ დანაშაულებში მხილებულ პირთა მიმართ დადგენილ, გამამტყუნებელ თუ გამამართლებელ სასამართლო განაჩენებში, მტკიცებულებათა სტანდარტის არაერთგვაროვანმა შეფასებითმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ საჭიროა საკითხის სიღრმისეული ანალიზი.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით გამამტყუნებელი განაჩენის სტანდარტად განმარტებულია: „ გონივრულ ეჭვს მიღმა - სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში“. როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა მართლმსაჯულებას საკმაოდ ფართო გაგების სტანდარტი დაუდგინა, რაც იმთავითვე იწვევდა კითხვებს, კერძოდ: 1. სასამართლო გადაწყვეტილება დამოკიდებული გახდა პირის ობიექტურობაზე, რაც, თავის მხრივ, უკვე სადავო საკითხია, ვინაიდან ადამიანი თავისი არსით და ბუნებით სუბიექტურია. 2. მტკიცებულებათა ერთობლიობა. რა სახის და რამდენი მტკიცებულება შეიძლება გახდეს განაჩენის დადგენისათვის აუცილებელი პირობა? განსაკუთრებით კი ისეთი დანაშაულისათვის, როგორიც სამოხელეოა? ასეთი დანაშაულები ხომ, როგორც წესი, დახურულ კარს მიღმა

და დაზარალებულთან ერთი-ერთზე, პირისპირ შეხვედრისას ხორციელდება. აქედან გამომდინარე, უნდა ჩაითვალოს თუ არა დაზარალებულის ჩვენება, როგორც პირდაპირი მტკიცებულება სხვა ირიბ მტკიცებულებებთან ერთად მტკიცებულებათა იმ ერთობლიობად, რომელიც საკმარისი იქნება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად? რა უნდა მოვიაზროთ „ერთმანეთთან შეთანხმებულ აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობაში“ სამოხელეო დანაშაულის ასპექტში? ამდენად, გამოიწვია და გამოიწვევს თუ არა მომავალშიც ეს სტანდარტები არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას?

ფაქტია, რომ დღეის მოცემულობით, არსებობს განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა, განსხვავებული მიდგომები და შეფასებები მტკიცებულებათა ერთობლიობის საკმარისობის კუთხით სამოხელეო დანაშაულების მიმართ, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, და ეს საკითხი სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. ხსენებულიდან გამომდინარე, საკვლევი თემა, ვფიქრობ, აქტუალურია, იგი ნამდვილად შეიტანს წვლილს ქართული სამართლის სამეცნიერო დარგის განვითარებაში და დაეხმარება, როგორც თეორიტიკოს ისე პრაქტიკოს იურისტებს მათ საქმიანობაში და გააჩენს ერთიან აღქმას სამოხელეო დანაშაულის მტკიცებულებათა სტანდარტის ასპექტის მიმართებით.

კვლევის მიზნები და ამოცანები: კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულის მტკიცებულებათა სტანდარტის კომპლექსური კვლევა და დადგენა. სისხლის სამართლის გამოძიების პროცესში უდიდეს როლს თამაშობს მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრება და შემდგომ მათი გამოკვლევა-შეფასების საკითხი. ძალზე მნიშვნელოვანია ამ სფეროში ერთიანი სტანდარტის არსებობა, რადგან სწორედ ეს სტანდარტი განაპირობებს ერთიან სასამართლო პრაქტიკას, რაც, საბოლოოდ, სამართლიანი მართლმსაჯულების

ფუნდამენტური საყრდენია. გარდა ამისა, ნაშრომი მიმოიხილავს სამოხელეო დანაშაულს, მის არსს, როგორც დანაშაულის სპეციფიკურ სახეობას, და წარმოაჩენს მისი გამოძიების პროცესში გამოვლენილი პრობლემების პრაქტიკულ ანალიზს. კვლევის მიზანია სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კონკრეტული წინადადებები ერთგვაროვანი სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის დასადგენად. კვლევის მიზანია, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ქართული მართლმსაჯულების მიერ სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებების შედარებითი და მიმოიხილვითი ანალიზის შედეგად შემუშავდეს წინადადებები კანონმდებლობის სრულყოფისა და თავსებადობის კუთხით.

კვლევის საგანი და ობიექტი: სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების არაერთგვაროვნებამ არსებითად იდენტურ დანაშაულებრივ ფაქტებზე, მტკიცებულებათა გაზიარება-შეფასების ნაწილში არაერთგვაროვანმა მიდგომამ, უპასუხო კითხვები გააჩინა საზოგადოებაში და პრაქტიკოს იურისტთა შორის დაუსრულებელი პოლემიკის სახე მიიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირდაპირი და ირიბი მტკიცებულების სტანდარტი სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპული სასამართლოს პრაქტიკისაგან. ამდენად, ნაშრომის საგანი და ობიექტია, ერთი მხრივ, სამოხელეო დანაშაული, როგორც ფენომენი და, მეორე მხრივ, იმ მტკიცებულებათა აუცილებელი სტანდარტი, მათი მოპოვება დამაგრების მეთოდები და ხერხები, რაც აუცილებელია ამგვარ დანაშაულთა სამართლებრივი შეფასებისათვის. სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკა და ანალიზი. ასევე, ქართული მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

თემის შესწავლის მდგომარეობა და კვლევის სამეცნიერო სიახლე:

სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით არაერთი კვლევაა ჩატარებული და ამ საკითხისადმი არაერთი სამეცნიერო ნაშრომია მიძღვნილი. ასევე, მრავლად მოიძიება ნაშრომები, რომლებიც, ზოგადად, მტკიცებულებათა მნიშვნელობასა და მათი მოპოვება-დამაგრებისა და შეფასების ასპექტებს მოიცავს. მიუხედავად ამისა, ჩვენი კვლევის საგანი კონკრეტული სამოხელეო დანაშაულის დასადასტურებლად ან უარსაყოფად საჭირო მტკიცებულებათა სტანდარტის ანალიზს მოიცავს და არა, ზოგადად, მტკიცებულებათა სტანდარტს, მის ცნებასა და შეფასებას, რომლებიც საერთოა, როგორც სამოხელეო, ისე ქონებრივი თუ ნარკოტიკული დანაშაულებებისათვის და ამ კუთხით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არაერთი სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული სამოხელეო დანაშაულის, როგორც სისიხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული ნორმებით რეგულირებული სფეროს, ისე პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებათა სტანდარტის მიმართებით, სადისერტაციო ნაშრომი ახლებურად დაანახვებს პრაქტიკული მაგალითებისა და კონკრეტული საქმეების ანალიზის შედეგად, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ახალი მეთოდების დანერგვა ამგვარი კატეგორიის საქმეების გამოძიებასა თუ სამართლებრივი შეფასების განხორციელებისას. ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე დღის წესრიგში დადგა აქამდე დადგენილი მეთოდების, მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრებისა და მათი სამართლებრივი შეფასების კრიტერიუმების ახლებურად განსაზღვრის საჭიროება, რაც, იმავდროულად, სრულ შესაბამისობაში უნდა მოექცეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტანდარტებთან.

სიახლე ის გახლავთ, რომ ნაშრომი გვევლინება ქართულ ენაზე ერთ-ერთ პირველ სამეცნიერო კვლევად, რომელშიც განხილული იქნება სრულიად ახლებურად მტკიცებულებათა მოპოვება გამოკვლევის სამართლებრივი საფუძვლები, სამოხელეო დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, პრაქტიკაში არსებული პრობლემები და ამ თემატიკასთან დაკავშირებული სხვა სირთულეები.

სამეცნიერო სიახლედ უნდა ჩაითვალოს ის შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც მიღებულია საკვლევი საკითხის შესწავლის შედეგად, სადაც გათვალისწინებულია დღეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მათი შესაძლო კოლიზიური ასპექტების დამუშავება და, ასევე, გადაჭრის გზების მიღების მიზნით წარმოდგენილი წინადადებები.

მეცნიერულ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ იმ პრაქტიკული ხერხებისა და საშუალებების შეთავაზება, რომლებიც სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელსა და ადვოკატს გაუადვილებს მოიპოვოს, გაანალიზოს და შეაფასოს ისეთი სახის მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოში გადალახავს მტკიცებულებათა დასაშვებობის სტადიას და ხელს შეუწყობს ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

კვლევის მეთოდები: კვლევაში გამოყენებულია რამდენიმე სახის სამეცნიერო კვლევის მეთოდი, ესენია: ანალიზისა და შედარების მეთოდი, ისტორიულ-სამართლებრივი, ლოგიკური მსჯელობისა და აზროვნების მეთოდი, სოციალური კვლევის მეთოდი, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებისა და დადგენილი განაჩენების შესწავლისა და განზოგადების მეთოდი, სტატისტიკური მონაცემების კვლევის და ანალიზის მეთოდი.

კვლევის თეორიული ბაზა: სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებულია, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები და

მითი კომენტარები, საქართველოს კონსტიტუცია, სხვადასხვა ნორმატიული აქტები, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, კონკრეტული სამართლებრივი კაზუსები პრაქტიკიდან, სასამართლოს განაჩენები, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილებები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ შესრულებული კვლევები და ნაშრომები სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი თავის არსით და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით, სასარგებლო როლს შეასრულებს და ერთგვარი სარეკომენდაციო ნაშრომის სახეს მიიღებს სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმებულ და მართლმსაჯულების განმახორციელებელ საჯარო მოხელეთათვის. ასევე, ადვოკატთა კორპუსისა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ნაშრომში დასმულია სამოხელეო დანაშაულის ყველაზე პრობლემატური საკითხები კონკრეტული კაზუსების ფორმით. დადგენილია შესაბამისი კვლევებითა და ანალიზით პრობლემატურ საკითხთა გადაწყვეტის ხერხები და მეთოდოლოგია, რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შედგება ექვსი თავის, ათი ქვეთავისა და დასკვნისგან. ნაშრომის მოცულობაა 198 გვერდი.

პირველი თავი მოიცავს სამოხელეო დანაშაულის ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვას და სამოხელეო დანაშაულისა და სასჯელის სახეების ანაღზს ქართულ და მსოფლიო სამართლის ისტორიაში.

მეორე თავში გაანალიზებულია: მტკიცებულებათა სტანდარტი სამოხელეო დანაშაულის შეფასებისას, მტკიცებულებათა მოპოვების წყაროები,

მტკიცებულების რელევანტურობა, მტკიცებულებათა ავთენტიკურობა და მტკიცებულებათა დასაშვებობის ასპექტები.

მესამე თავი ეთმობა პირდაპირი და ირიბი მტკიცებულების როლს სამართალწარმოებაში. ადამიანის უფლებათა სტანდარტებს დაზარალებულებთან მიმართებით. ადამიანის უფლებათა სტანდარტებს ბრალდებულის პოზიციიდან და მოწმის ირიბი ჩვენების გადამწყვეტ მნიშვნელობას განაჩენის გამოტანისას.

მეოთხე თავში განხილულია ცრუ დასმენის ფენომენი სამოხელეო დანაშაულში. ცრუ დასმენის დანაშაულებრივი ბუნება და მისი ობიექტი, მსგავსება, განსხვავება და ურთიერთგადაფარვის ელემენტები ცრუ დასმენისა და ცრუ ჩვენების ანალიზისას. ცილისწამების სისხლის სამართლის წესით დასჯადობის მიზანშეწონილობის საკითხი.

მეხუთე თავი ეთმობა ძალადობისა და იძულების გამიჯვნა/გადაფარვის პრობლემატიკას სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციისას, ძალადობის ხერხებსა და მეთოდებს.

მეექვსე თავში წარმოდგენილია სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკური ანალიზი შესაბამისი დასკვნებით.

ნაშრომის დასკვნითი ნაწილი მოიცავს სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას ახალი მეთოდების დანერგვის, მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრებისა და მათი სამართლებრივი შეფასების კრიტერიუმების ახლებურად განსაზღვრის წინადადებებს. საკანონმდებლო ცვლილებათა განხორციელების მიზნით წარმოდგენილი და დასაბუთებულია მთელი რიგი რეკომენდაციები, რომლებიც, ავტორის აზრით, ხელს შეუწყობს სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით ობიექტური მართმდსაჯულების განხორციელებას.

თავი I

სამოხელეო დანაშაულის ისტორიულ-სამართლებრივი მიმოხილვა და სამოხელეო დანაშაულისა და სასჯელის სახეები ქართულ და მსოფლიო სამართლის ისტორიაში.

სახელმწიფო (საჯარო) მოხელის ინსტიტუტი სათავეს პირველი სახელმწიფოებრივი ჩანასახის დაარსებისთანავე იღებს. ამგვარ პირველ სახელმწიფოებრივ ჩანასახს საქართველოში კოლხა და დიაოხი წარმოადგენდა. შესაბამისად პირველი სამოხელეო თანამდებობებიც სწორედ ამ დროიდან ჩნდება და მათ ერისთავები (ერისმთავრები) წარმოადგენდნენ. ერისთავს (ძველი ქართული „ერი“ - ხალხი, ჯარი და „თავი“ - უფროსი, გამგებელი) - სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლის უფლება-მოვალეობებისა და, იმავდროულად, ჯარის სარდლის ფუნქციების განხორციელებაც ეკისრებოდა. უფრო გვიან პერიოდში, ყოველივე ეს ორგანიზებული სახელმწიფო სისტემის ფორმებს იღებს. კერძოდ: ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის მეფემ ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) განაწესა 7 ერისთავი და 1 სპასპეტი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ნათლად ჩანს საჯარო სამსახურის უფლება - მოვალეობების დანაწილების პრინციპები. მეფის მიერ სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის რეგულაციისა და გარკვეულ პირთა წრისთვის, კონკრეტული უფლებამოსილების მინიჭების აუცილებელ პირობად გარკვეულ ვალდებულებათა განხორციელება წარმოადგენდა. შესაბამისად, დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და განსაზღვრული უფლებამოსილების გადამეტების საფრთხეებიც ისტორიის წიაღიდან იღებს სათავეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კაცობრიობის განვითარების ადრეული სტადიებიდან, სასამართლო ფუნქციებს უმაღლესი, საერო თუ სასულიერო

იერარქიის მქონე პირები ითავსებდნენ. ასეთებად ისტორიულად მეფეები, უმაღლესი ქურუმები და მთავრები გვევლინებიან. აღნიშნული გამოწვეული იყო იმ ფაქტორით, რომ ისინი უპრეცედენტო ნდობითა და ძალაუფლებით სარგებლობდნენ, რაც ერთგვარი გარანტია იყო მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობისა და მისი აღსრულების გარდაუვალობისა. მაგალითად, ძველ ინდოეთში, ჩვ.წ.აღ-მდე მე-2 საუკუნეში მოქმედი მანუს კანონები 12 თავისა და 2685 მუხლისგან შედგებოდა. მისი მე-8 თავის 1 პუნქტის მიხედვით, მეფე სასამართლო განხილვისთვის უნდა გამოცხადებულიყო მომზადებული, თავისი ბრძანებისა და საუკეთესო მრჩევლების თანხლებით, ჩაცმული მოკრძალებულად და ზედმეტი სამკაულების გარეშე, რაც მისი უბრალოებისა და სამართლიანობის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო. მანუს კანონების მიხედვით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქმის განხილვისას მოწმის ინსტიტუტს, როგორც უტყუარ მტკიცებულებას. ცრუ მოწმეობა წარმოუდგენელ ცოდვად მიიჩნეოდა და მას სამუდამო ტანჯვა ელოდა ღმერთებისაგან. მე-8 თავის მე-14, მე-18, 81-ე პუნქტის მიხედვით „Где на глазах [у судей] дхарма губится адхармой, а правда — ложью, там гибнут [сами] судьи Четверть вины от [совершения] адхармы идет виновнику, четверть — [лживому] свидетелю, четверть — всем судьям, четверть — царю..... Свидетель, говорящий правду в показаниях, достигает высших миров, а в этом мире — высшую славу; такая речь уважается Брахмой.“¹ მანუს კანონების მიხედვით, ბრალდებული და მოწმე ერთი სტატუსის უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა გამონაკლისებიც დაიშვებოდა. აღსანიშნავია, რომ ქალს, მხოლოდ ქალის საქმეზე შეეძლო ჩვენების მიცემა. როგორც ვხედავთ, მანუს კანონების თანახმად, არა მხოლოდ მოსამართლეებს, თავად მეფესაც კი ეკისრებოდა პასუხისმგებლობა უდანაშაულო ადამიანის მსჯავრდებისთვის. აღსანიშნავია, რომ საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვისთვის 18

¹ მანუს კანონები http://www.bharatiya.ru/india/zak_manu

სახის საფუძველი არსებობდა, რომლებიც გაწერილი იყო კანონებში, ესენია: ვალის გადაუხდელობა, სხვისი ქონების გასხვისება, ვალდებულების შეუსრულებლობა, ხელფასის გადაუხდელობა, ხელშეკრულების დარღვევა, ყიდვა-გაყიდვის ჩაშლა-გაუქმება, პატრონისა და მწყემსის დავა, საზღვრის გამო დავა, ცილისწამება, შეურაცხყოფა სიტყვით და საქმით, ძალადობა (მკვლელობა, დასახიჩრება, ცემა ...), მრუშობა, ცოლ-ქმრის დავა, სამემკვიდრეო დავა, აზარტული თამაშები. სასჯელებიდან აქტიურად გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა, კიდურების მოკვეთა, ენის მოკვეთა, კასტრაცია, სარზე გასმა, კოცონზე დაწვა, ძაღლებით დაგლეჯა, ქონების კონფისკაცია, ჯარიმა, ჯოხით ცემა და ა.შ. არასაკმარისი მტკიცებულებების შემთხვევაში გამოიყენებოდა, ასევე, საღვთო ორდალები.

ინდოეთში არსებული სახელმწიფო წყობილება ემყარებოდა ოთხ ვარნას (ფენას), მათგან ბრაჰმანთა (ქურუმთა) და ქშატრიათა (სამხედრო დიდებულები, მოხელეები, არისტოკრატია) ვარნებს გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. „ოფიციალური წარმოდგენებით ბრაჰმანი უპირველეს ხალხთაგანაა. მათი საქმიანობა საღვთო წიგნების შესწავლა, სასამართლოსა და მმართველობაში მონაწილეობა, კანონებისა და წერილობითი განკარგულებების შემუშავება. მას ეკუთვნის ყველაფერი, რასაც ხედავს; მას შეუძლია მოითხოვოს, რასაც მოისურვებს“.² როგორც ვხედავთ, ძველ ინდოეთში ბრაჰმანთა ვარნას, სხვა სახელმწიფო მოხელეთაგან განსხვავებით, იმუნიტეტი აქვს მინიჭებული და ერთადერთი სასჯელი, რომლითაც ისჯებოდა ბრაჰმანი, იყო გაძევება და გაკრეჭა. აღსანიშნავია, ბაბილონის სამეფოში ძვ. წ. XVII- XVIII საუკუნეებში შექმნილი ხამურაბის კანონები. მიუხედავად იმისა, რომ ის მესოპოტამიის ისტორიაში პირველი კანონთა კრებული არ ყოფილა, თავისი სისტემატიზაციით უნიკალურია. საინტერესოა

² ჩერნილოვსკი ზ.მ. 1992 წელი. „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა გვ. 24.

ის ფაქტი, რომ მოსამართლედ გამწესებული პირისადმი ნდობის ხარისხი იმდენად მაღალი უნდა ყოფილიყო, რომ ერთ საქმეზე სხვადასხვა გადაწყვეტილების გამოტანა წარმოუდგენელი იყო. მე-5 თავის 66-67 მუხლების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე საქმეს განიხილავდა და „ბეჭედს“ დაასვამდა, ხოლო შემდეგ შეცვლიდა გადაწყვეტილებას (რაც განზრახ ან თუნდაც გაუფრთხილებლობით დაშვებული შეცდომის შედეგად შეიძლება მომხდარიყო), მას საჯელის სახით დაზარალებულისთვის სარჩელში დაფიქსირებული თანხის (ქონების) 12 - მაგი ოდენობა უნდა გადაეხადა. გარდა ამისა, მასვე მომავალში ეკრძალებოდა სამოსამართლეო საქმიანობის გაგრძელება.

საკვლევი თემის ასპექტში საინტერესოა ბიბლიაში აღწერილი მოსეს კანონები და მტკიცებულებათა სტანდარტი უძველეს ისრაელში, კერძოდ: „იპოვოს თუ ვინმე შენ შორის, ანუ ქალაქთა შენთა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან შენმან მიგცეს შენ მამაკაცი, გინა თუ დედაკაცი, რომელმან ქმნეს ბოროტი წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა და გარდაჰკდეს მცნებათა მისთა, და აგრძნეთ, გამოიძიეთ, გამოიკითხეთ ფრიად და, თუ ჭეშმარიტად ყოფილიყოს სიტყუად ეგე ბილწებისად შორის ისრაელსა, განიყვანო კაცი იგი გარეშე ქალაქსა, გინა თუ მამაკაცი იყოს, გინა თუ დედაკაცი იყოს, ქვად დაჰკრიბონ მას და მოკუდეს. და, რომელი-იგი მოკუდებოდის, ორითა და სამითა მოწამითა მოკუდინ, ნუ ერთითა მოწამითა, გელნი პირველად მოწამეთა შეეხნედ. მოკუდინებად სიკუდილისა თანამდებისა მის, და მაშინდა ყოვლისა მის ერისანი შემდგომად მათისა, მოისპენ უკეთური იგი თქუნ შორის.“³ როგორც ვხედავთ, დანაშაულის ჩამდენი პირი სიკვდილით დასჯას ექვემდებარებოდა ჩაქოლვის გზით, თუმცა მოსეს კანონი ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე გასამართლებას კრძალავდა. 2-3 და მეტი მოწმე უნდა

³ ძველი აღთქმა, მეორე რჯული, თავი მე-17, მე-19.
<http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia/sarchevi.htm>

გამოჩენილიყო, რათა განაჩენი აღსრულებულიყო. გარდა ამისა, პირველ ყოვლისა, სწორედ დამნაშავეს წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიმცემ მოწმეს უნდა დაეწყო ჩაქოლვის პროცესი და შემდეგ მთელ იქ მყოფ ხალხს დაესრულებინა. იმ შემთხვევაში, თუ საქმე რთული იყო და გადაწყვეტილების მიღება ძნელდებოდა, ის მღვდლებსა და მსაჯულებს უნდა მიეღოთ. მოსეს კანონებში აღწერილია ცრუმოწმეობაც. ასეთ შემთხვევაში იგი უნდა დასჯილიყო იმავე სახის სასჯელით, როგორიც მის მიერ ცრუ ბრალდებით მხილებულს ელოდა.

ამ მხრივ საინტერესოა მუსლიმანური სამართალი. არაბთა სახალიფოში, მექა-მედინას პერიოდიდან მოყოლებული, აქტუალური ხდება შარიათის კანონები, რომელიც თავის მხრივ, ყურანიდან გამომდინარეობს. „შარიათს უწოდებდნენ ისლამის რელიგიურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კრებულს, დაფუძნებულს მუსლიმანთა საღვთო წიგნზე(ყურანზე), სუნასა და ფიკჰზე“.⁴ შარიათის დამუშავება VII-დან XII საუკუნემდე მიმდინარეობდა. მუსლიმანური სამართალი თეოლოგიურ ნორმებთან იყო გადახლართული და სამართლის ნორმათა გამოცალკევება მხოლოდ X საუკუნიდან ხდება, თუმცა კვლავაც ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს ყურანთან. სამართლის ნორმებად, არაბთა სახალიფოში, შარიათის კანონებთან ერთად, ხალიფის ბრძანებები და ფირმანებიც მოიაზრებოდა. არაბთა სახალიფოში მოქმედი შარიათის კანონების მიხედვით, სასამართლო შეჯიბრობითობის პრინციპებზე უნდა წარმართულიყო. ამასთან, მოდავე მხარეებს თავად უნდა ემართათ პროცესი და ადვოკატის აყვანა ეკრძალებოდათ. მუჰამედის შემდეგ უზენაესი სამართლიანობის სიმბოლოდ ხალიფები მოიაზრებოდნენ. არაბეთში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ერთმანეთთან შერწყმული იყო საერო და სასამართლო ხელისუფლება. ხალიფები ნიშნავდნენ მოსამართლეებს, რომელთაც გადაწყვეტილება სწორედ ხალიფისა და მუჰამედის სახელით

⁴ ნადარეიშვილი გ. თბილისი 2008 წ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია გვ-291

გამოჰქონდათ. სასამართლო მეჩეთში იმართებოდა. სასამართლო პროცესი ერთ დღეში უნდა დასრულებულიყო და არ არსებობდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლო. ამდენად, მუსლიმანური სამართალი გასაჩივრების შესაძლებლობას გამორიცხავდა. განაჩენი სისრულეში გამოცხადებისთანავე მოჰყავდათ. ცალკე აღსანიშნავია მტკიცებულებითი სტანდარტი არაბთა სახალიფოში მუსლიმანური სამართლის მიხედვით: „Особое внимание мусульманское право уделяло свидетельским показаниям. При этом отдавалось явное предпочтение показаниям мужчин: по преступлениям, за которые предусматривались строго определенные меры наказания, во внимание принимаются только свидетельские показания мужчин (четырех по прелюбодеянию, двух по иным деяниям). По менее значительным уголовным делам и обычным спорам показания одного свидетеля мужчины могли дополняться свидетельством двух женщин. В Коране по этому поводу сказано: "И берите в свидетели двух мужчин. А если не будет двух мужчин, то — мужчину и двух женщин, на которых вы согласны, как свидетелей, чтобы если собьется одна, то напомнила бы ей другая..."⁵ როგორც ვხედავთ, არაბულ სამყაროში მამაკაცის მიერ მიცემულ ჩვენებას უპირატესი ძალა ჰქონდა, რომელთა რაოდენობა 2 ან 4 უნდა ყოფილიყო. ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეების განხილვისას კი დასაშვები იყო მამაკაცის ერთი ჩვენება ორი ქალის ჩვენებით შევსებულიყო. მტკიცებულებად ითვლებოდა აღიარებითი ჩვენებაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წამების შედეგად არ იყო მოპოვებული. განაჩენის გამოტანა მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე დაუშვებელი იყო. სასამართლო იმართებოდა ღიად და მასზე დასწრება ყველას შეეძლო. X საუკუნემდე სასამართლო პროცესი მხოლოდ ზეპირი მოსმენით იმართებოდა, შემდეგ კი არაბთა სახალიფოში მისი დაოქმების კულტურაც გაჩნდა. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო ყურანის ნორმებზე

⁵ Ливанцев К.Е.. История средневекового государства и права-Мусульманское право. http://society.polbu.ru/livancev_gosprav/ch24_all.html).

დამყარებული. განსახილველი საკითხი არ იყო აღწერილი ყურანში ამ შემთხვევაში, მოსამართლეს (იგივე ყადი, მუფტი) უნდა ეხელმძღვანელა სუნას (ადათი, ტრადიცია) ნორმებით, ან ადრე ანალოგიურ საკითხზე სხვა მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით. როგორც ვხედავთ, მუსლიმანური სამართალი წარმოადგენდა წერილობით დოგმათა და პრეცედენტული სამართლის ნაზავს. ყველაზე რთული იყო იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც პირველად მიიღებოდა. მოსამართლეს არ ჰქონდა საშუალება, საკანონმდებლო ბაზას დაყრდნობოდა და იგი მხოლოდ შინაგანი რწმენით უნდა გამოეტანა. „Иджтихадом является либо вынесение независимых решений, исходя непосредственно из бесспорных источников, либо применение уже существующих решений. Независимые решения извлекали из Корана и Сунны ...“⁶ მუსლიმანურ სამართალში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სამოხელეო (კორუფციულ) დანაშაულს. მკაცრად ისჯებოდა ქრთამის აღება-მიცემა და ასეთი დანაშაულის (ცოდვის) ჩამდენი მოხელე ალაჰისაგან დაწყევლილად ცხადდებოდა. ცოდვად იყო გამოცხადებული, ასევე, ქრთამის მიცემაში შუამავლობა ან სხვა სახით დახმარება: „Согласно Священному Корану любое неправомерное присвоение чужого имущества является грехом. И тем более грехом является подкуп должностных лиц. «Не присваивайте незаконно имущества друг друга и не подкупайте этим [имуществом] судей, чтобы намеренно присвоить часть собственности [других] людей грешным путем», - говорит Всевышний Аллах в Священном Коране(2/188). ... «Да проклянет Аллах дающего и берущего взятку, а также посредничающего в этом».⁷ ყურანში ყურადღება გამახვილებულია ებრაელთა ძველ წესზე, რომლის თანახმად, სასამართლოში მიმავალ ორივე მხარეს მოსამართლეთათვის მიჰქონდათ ძღვენი და, რომელსაც მოსამართლეს

⁶ Петровский А.В. Мусульманское уголовное право и особенности уголовного законодательства мусульманских государств. Краснодар 2013. ст-14.

⁷ Габбасов Ринат. 20.02.2014г., „Что Ислам говорит о коррупции“. <http://islam-today.ru/obsestvo/kakovo-polozenie-korrupcii-v-islame/>).

განაჩენის გამოცხადების წინ აჩვენებდნენ. მოსამართლეს იმის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოჰქონდა, ვისი ძღვენიც უფრო მოსაწონი და ღირებული იყო. მუსლიმანური სამართალი გმობს ებრაელთა ამგვარ ტრადიციას და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცოდვასთან აიგივებს, რომლის ჩამდენს ჯოჯოხეთი ელის. ყურანი ერთმანეთისაგან განასხვავებს ქრთამის ორ ფორმას „რიშვას“ და „სუხტს“: „в последнем приведенном аяте используется не слово «пришва», а арабское слово «сухт». Согласно мнению сподвижника Пророка (мир ему) Ибн Масуда, следует отличать сухт от обычной взятки. «Сухт» означает взимание платы за оказание помощи в противозаконной деятельности“.⁸ ეს უკანასკლი მოიაზრება სახელმწიფო მმართველობისა და პოლიტიკის სფეროში განხორციელებულ დანაშაულად. ყურანი განმარტავს, რომ ქურდობა მძიმე დანაშაულია, ხოლო ქურდობა, ჩადენილი მოხელის მიერ განსაკუთრებით მძიმე.

რომის სამართალი, უდავოდ, მიეკუთვნება უძველეს ევროპული სამართლის ძეგლებს, რომელიც, თავის მხრივ, გახდა წყარო და საფუძველი მთელ რიგ ევროპის ქვეყნებში დღემდე მოქმედი სამართლის სისტემებისა. რომის სამართალში სიტყვა *Crimina* - სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს აღნიშნავდა, რომელიც, თავის მხრივ, ოთხ კატეგორიად იყოფოდა. ჩვენთვის საინტერესო, ამ შემთხვევაში, პირველი კატეგორიაა, რომელშიც შედიოდა: „ღალატი, შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, ან მეფის ხელისუფლებისა თუ სახელმწიფოს სხვა გამგებელთათვის წინააღმდეგობის გაწევა, ხაზინის გაქურდვა, მექრთამეობა, არჩევნების გაყალბება, პროდუქტებით სპეკულაცია, იმპერატორის მიერ აკრძალულ კავშირებში მონაწილეობა, ყალბი ფულის დამზადება, წონისა და ზომის ერთეულების გაყალბება და სხვა“.⁹ უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობამდელ რომში

⁸ იქვე

⁹ მეტრეველი ვ. თბილისი 2009 წ. „რომის სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი გვ.111-133

საკმაოდ მკაცრი სასჯელები მოქმედებდა. მაგალითად, ფართოდ გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯის სხვადასხვა ფორმა, საკატორღო სამუშაოები და ქონების კონფისკაცია. იდენტური დანაშაულისათვის მაღალი და დაბალი კლასის მოქალაქეების მიმართ განსხვავებული მიდგომები იყო. მაგალითად, თუ დიდგვაროვანს გასახლებით სჯიდნენ, ამავე დანაშაულისათვის ქვემდგომი კლასის წარმომადგენელს მხეცებს მიუგდებდნენ ხოლმე დასაგლეჯად. სასამართლო განხილვის სტადიაზე მეტად საინტერესოა მტკიცებულებათა სტანდარტის არსებობის ფაქტი ძველ რომში, კერძოდ „testis unus, testis nullus” - რაც ნიშნავდა ერთი მოწმე-არა მოწმე, ნოლი მოწმე. ამგვარად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე ფაქტობრივად გამორიცხული იყო. მტკიცებულებებად ითვლებოდა მოქალაქის ფიცი და მისი ჩვენება, წერილობითი დოკუმენტები, მონის გამოკითხვის ოქმები. როგორც ზემოთ ხსენებულიდან ირკვევა, ძველ რომში სამართალი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ და საჯარო მოხელის მიერ ჩადენილ და გაწერილ დანაშაულთა უფრო ფართო წრეს იცნობდა, ვიდრე ინდოეთისა, თუ მესოპოტამიის სამართლის ძეგლები.

საკმაოდ საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული დიმიტრი სუროვენს ძველ იაპონიაში სამოხელეო დანაშაულებისა და მათთვის განსაზღვრული სასჯელების შესწავლის კუთხით. III-IV საუკუნეების მიჯნაზე ცენტრალური იაპონიის ტერიტორიაზე შექმნილ იამატოს სახელმწიფოში დაიწყო ძველი იაპონური სამართლის ცალკეული ნორმებისა და იმპერატორთა სხვადასხვა ბრძანების სისტემატიზაცია-კოდიფიკაცია და ერთიანი სამართლის ფორმირება. იამატოს სამართალი იცნობდა სამოხელეო დანაშაულის სახეებს და მათ კლასიფიკაციას. ტაიხო რიცუს კანონებში (702-718 წწ.) სამოხელეო დანაშაული განისაზღვრებოდა ტერმინით „კუდზაი“. „კუდზაი“ მოიცავდა: ქრთამის აღება-მიცემას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,

სამსახურებრივ გულგრილობას, თუ მის შედეგად მოქალაქეს, ან საზოგადოებას ზიანი მიაღებოდა. ცნობილია სამსახურებრივი გულგრილობისთვის დასჯილთა ვინაობებიც მაგ: იმპერატორ ინგეს ბრძანებით, 442 წელს გარდაცვლილი იმპერატორის დაკრძალვის რიტუალების მომზადება დაევალა შესაბამის უფლებამოსილ პირს - ტომატანო სუკუნეს, რომელიც არ გამოცხადდა და ამისთვის სიკვდილით დასაჯეს. 527 წელს ცუკუსის გუბერნატორი ივაი დასჯილი იქნა სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობისთვის. 608 წელს იაპონიის ელჩმა დაუდევრობით დაკარგა ჩინეთის იმპერატორის წერილი, რისთვისაც სასამართლომ მას გადასახლება მიუსაჯა. იაპონიაში მეშვიდე საუკუნიდან სამოხელეო დანაშაულებათა მოზღვავება შეიმჩნევა, რის გამოც 645 წელს გამოიცა იმპერატორის ბრძანება, სადაც ეწერა, რომ სახელმწიფო მოხელეები ავლენდნენ „სიზარმაცესა და დაუდევრობას, მაშინ, როცა მათ გულმოდგინეობა და უანგაროება ევალებოდათ.“ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, იმპერატორის ბრძანებით, შეიქმნა „საჩივრების ყუთი“, სადაც თავსდებოდა ნებისმიერი სახის საჩივარი იმპერატორის დაქვემდებარებაში მყოფ მოხელეებზე. სამსახურებრივი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, 646 წელს საცავიდან მოპარული იქნა სახელმწიფო ხმალი, რის გამოც დასაჯეს საცავზე პასუხისმგებელი მოხელე, ხოლო 3 ოლქის გამგებელი დასჯილი იქნა საჩივრის უპასუხოდ დატოვების გამო. ისტორიიდან არ ჩანს, თუ რა სახის სასჯელები დაედოთ მათ, თუმცა დაფიქსირებულია, რომ ზემოთ ხსენებულმა მოხელეებმა გამოავლინეს „არაჯანსაღი (სულელური) მიდგომები დაკისრებული მოვალეობებისადმი“. 430 წელს ქარავნის (ურმების) მთავარმა მცველმა, კურუმა მოტი ნომ, თვითნებურად მიატოვა სამსახური და თან წაიყვანა სხვა მცველები. იმპერატორმა საქმის განხილვის შემდეგ იგი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. 646 წლით თარიღდება, ასევე, იმპერატორის ბრძანება, რომლის მიხედვით, მან გაასამართლა ორი გუბერნატორი: ოტი ნო

მურადში და ნაკოტომი-ნო, იმის გამო, რომ მათ გადაამეტეს თავიანთ უფლებამოსილებას და, თავის მხრივ, თვითნებურად გაასამართლეს დამნაშავეები. 645 წლის კანონი სასჯელს აწესებდა საჯარო მოხელეთა შტატების გაბერვის გამოც. კანონით ასევე დადგენილი იქნა გუბერნატორთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები, როდესაც ისინი მათ ქალაქში შესულ სხვა ოლქის მცხოვრებლებს აიძულებდნენ თავიანთი შეხედულებისამებრ სხვადასხვა დროით მძიმე სამუშაოების შესრულებას. იმპერატორის ბრძანებით, ამგვარი ქმედება სასტიკად აიკრძალა და დასჯადი გახდა. იაპონური სამართლისათვის ცნობილია ისეთი დანაშაულის სახეები, როგორებიც იყო ქრთამის აღება და მოსყიდვა (ქრთამის მიცემა). 527 წელს ცუკუსის გუბერნატორი მოსყიდული იქნა სილლას სახელმწიფოს მაცხოვრებლების მიერ. ისინი პერიოდულად უგზავნიდნენ მას ძღვენს, რათა ამ უკანასკნელს გადაევადებინა ჯარის გამგზავრება კორეაში. ასევე, ცნობილი იყო ქრთამის აღების სანაცვლოდ მომჩივანთათვის უპირატესობის მინიჭების ფაქტები. კერძოდ, ძღვენის სანაცვლოდ მათი საჩივრები უპირატესად განიხილებოდა, ვიდრე სხვა საჩივრები. ასეთ შემთხვევაში, ქრთამის ამღებს სასჯელად ედებოდა აღებული ქრთამის ორმაგი ოდენობის სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდა. როგორც ირკვევა, აღნიშნულმა ნორმამ არ იმუშავა და იმპერატორი იძულებული გახდა, 1 წლის შემდეგ, 646 წელს, გაემკაცრებინა სასჯელი. ჯარიმასთან ერთად, დამნაშავე უნდა დაქვეითებული რანგით, ხოლო დაბალი რანგის ჩინოვნიკი ბამბუკის ჯოხების ცემით დაისჯებოდა. მიუხედავად ამისა, იაპონიაში მექრთამეობამ მყარად მოიკიდა ფეხი და სასახლის კარზეც აქტუალური გახდა. ქრთამის აღებაში შემჩნეულნი იყვნენ პრინცები და ე.წ სეფე ქალებიც კი. აღნიშნულის გამო 681 წელს იაპონიის იმპერატორმა გამოსცა ბრძანება, რომ დაისჯებოდა ყველა, მიუხედავად სტატუსისა და იმპერატორის კარზე დაკავებული სამოხელეო რანგისა. (კონკრეტული სასჯელი მითითებული არ არის.) ძველ

იაპონიაში, ასევე, ცნობილი იყო მითვისება სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებითა და სამსახურებრივი გაფლანგვის დანაშაულთა სახეები. ძირითადად აღწერილია იარაღის, ცხენებისა და თივის მითვისება-გაფლანგვის ფაქტები. სასჯელად განისაზღვრებოდა რანგით დაქვეითება, ხოლო დაბალი ჩინის მოხელეთა მიმართ გამოიყენებოდა ფიზიკური სასჯელები. ამასთან, დამნაშავე ვალდებული იყო, ორმაგად დაებრუნებინა მითვისებული ქონება. ანალოგიური ფორმით ისჯებოდა მოხელის თანამზრახველიც. ცალკე დანაშაულად განიხილებოდა სამსახურებრივი სიყალბე. იაპონიაში ამ კონტექსტში ოფიციალურ დოკუმენტში არასწორი მონაცემის შეტანა მოიაზრებოდა. ტაიხო რიცუს კანონებით დადგენილი იყო ოფიციალური დოკუმენტაციის წარმოებისა და შევსების ფორმები, როგორებიც იყო წერილობითი განაჩენები, კერძო სააღრიცხვო(საანგარიშო) წიგნები, დაკარგული და მოპარული ქონების სიები, საბაჟო საშვები, იმპერატორის სასახლეში შესასვლელი საშვები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელეთა გასაკონტროლებლად იმპერატორის კარზე შექმნილი იყო ცენზორთა პალატა, რომელიც თანამედროვე გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი. როგორც ვხედავთ, ძველ და ადრეფეოდალურ იაპონიაში, სახელმწიფოებრივ დონეზე იყო აყვანილი და რეგულირებული სამოხელეო დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა და ის, საკმაოდ, დახვეწილ და სრულყოფილ კანონებად იყო გაწერილი. იაპონური სამართალი იცნობდა თითქმის ყველა სახის სამოხელეო დანაშაულის ფორმას.¹⁰

ასევე, საინტერესოა, საფრანგეთის მეფე ფილიპე მე-2 ავგუსტესის სამართალი (1180-1223 წწ.) აღნიშნული სამართლის აქტი გამოიკა იმ წესების დასადგენად, რომლითაც უნდა ემოქმედათ მონარქის ქვეყანაში არყოფნის

¹⁰ Суровень Д.А. Год: 2011. Должностные преступления в древней и раннесредневековой Японии Издательская группа "Юрист" (Москва) Номер: 20 Страницы: 39-44

პერიოდში. მართლმსაჯულებას საფრანგეთში ე.წ ბაიები ახორციელებდნენ, რომლებსაც ირჩევდნენ კეთილსინდისიერების, გონიერებისა და საზოგადოებაში დამკვიდრებული სახელის მიხედვით. სამართალს პარიზში 6 ბაია, ხოლო სხვა ქალაქებში 4 ბაია აღასრულებდა. ასევე, ადგილობრივ მოსამართლეებად გვევლინებიან პრევოები. საქმის განხილვას 2 ბაია მაინც უნდა დასწრებოდა. გარდა ამისა, ოთხ თვეში ერთხელ, თავად დედოფალს, მეფის ბიძასა და მთავარეპისკოპოსს უნდა განეხილათ სამეფოში წარმოშობილი დავები და დანაშაულები. მე-5 მუხლის მიხედვით, თუ ბაია ჩაიდენდა დანაშაულს, ასეთ საქმეებს უშუალოდ დედოფლის შემადგენლობით განიხილავდა სასამართლო, თუმცა თანამდებობიდან ვერ გადააყენებდნენ ბაიას, გარდა მკვლელობის, ძარცვისა და ღალატის შემთხვევებისა. დანარჩენ შემთხვევებში კი მხოლოდ წერილით უნდა ეცნობებინათ მეფისთვის. ასეთი ქმედებისთვის სასჯელად მე-7 მუხლში ნათქვამია: „ჩვენ კი, ღვთის განგებით, უფლება გვაქვს, როცა გავიგებთ ჭეშმარიტებას, შური ვიძიოთ იმგვარად, რომ ის გაკვეთილი გახდეს სხვებისთვის“.¹¹ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი ჩანაწერი საკმაოდ მკაცრი სასჯელის გამოყენებას მოასწავებდა. ანალოგიური უფლებები და ვალდებულებები ჰქონდათ ბაიებს პრევოების მიერ დანაშაულის ჩადენისა და მათი მხილების შემთხვევაში.

გვერდს ვერ ავუვლით XVI საუკუნეში რუსეთში, ივანე IV (მრისხანე)-ის მეფობის დროს გატარებულ სამართლებრივ რეფორმას. მეფის ცალკეულ ბრძანებათა და სამართლის ნორმათა თავმოყრა-სისტემატიზაციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოში 1550 წელს შეიქმნა სამართლის წიგნი, რომელიც „Судебник Ивана IV, Судебник 1550 года“-ს სახელითაა ცნობილი.

¹¹ დოლიძე ი. თბილისი 1962 წ. „შუა საუკუნეების სამართალი“ გვ.58-59

ივანე მრისხანეს სამართლის წიგნი 100 მუხლისაგან შედგება და მასში ასახული ნორმათა ნაწილი ჩვენთვის საინტერესო სამოხელეო დანაშაულისაგან ეთმობა.

სამართლის წიგნის პირველივე მუხლში ფიქსირდება იმპერატიული აკრძალვა მოსამართლეთა მხრიდან ქრთამის აღებისა და სხვა ანგარებითი მიზნით სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით: „судьям запрещается брать за производство суда и ходатайств взятки; а также решать дело несправедливо из-за мести или дружбы со стороной.“¹² სამართლის წიგნის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები ბოიარებს და სხვა მოხელეებს, რომელთაც მეფისგან მინიჭებული ჰქონდათ მოსამართლეო ფუნქციები, უკრძალავს საქმის საფუძვლიანი განხილვის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანას. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ქრთამის სანაცვლოდ, მიკერძოებულად იქნებოდა გამოტანილი და ეს დადასტურდებოდა, საქმის განმხილველი მოსამართლე სამმაგი ოდენობით უნაზღაურებდა დაზარალებულს ზიანს და იგი ექვემდებარებოდა მეფის შეხედულებისამებრ დასჯას. მე-4 მუხლში საუბარია სამსახურებრივ სიყალბეზე: „Ст.4. Если дьяк подделает список или дело запишет не так, как было на суде, без ведома боярина или дворецкого или казначея, и подтвердится, что он брал взятку, то на него налагается штраф, удовлетворяющий истца и он должен быть боярином посажен в тюрьму.“¹³ როგორც ვხედავთ, განზრახ სასამართლოს სხდომის ოქმის გაყალბება უცხო არ იყო რუსული სამართალწარმოებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელს ცილს დასწამებდა ქრთამის აღებაში, მას, ფინანსურ სანქციასთან ერთად, გამათრახება და პატიმრობა ემუქრებოდა. სასამართლო წარმოებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფიცის ქვეშ მიცემულ მოწმის ჩვენებას. მხარეს თავისი სიმართლის

¹² Цыганова В.Б Перевод „Судебник Ивана IV“

http://russiahistory.ru/download/library/istochniki/1073676_96334_sudebnik_1550_goda.pdf

¹³ იქვე

დასამტკიცებლად შეეძლო აერჩია ე.წ „სასამართლო ორთაბრძოლის“ (იგივე დუელი) მოწყობა. თუ მოპასუხე ან მომჩივანი ხანდაზმული, ავადმყოფი ან ინვალიდი იყო, მათი სახელით ორთაბრძოლაში სხვა პირის დაშვება ხდებოდა. დამარცხებულ მხარეს სრულად უნდა აენაზღაურებინა როგორც ზიანი, ისე სასამართლო ხარჯები. საინტერესოა ერთი გარემოებაც: რუსული სამართლის ნორმებში, თუ საჩივარი მმართველზე ან მის დაქვემდებარებაში მყოფ პირზე შევიდოდა, საჯარო მოხელეს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა არა მხოლოდ მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, არამედ დაქვემდებარებაში მყოფი პირების ბრალეულობის გამოც.(მუხ. 22) ბოიართა და სხვა წარჩინებულთა (მოიაზრება ყველა ის პირი, რომელიც სახელმწიფოს კმაყოფაზე იყო) მიერ ჩადენილი სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის, ცრუ დასმენისა და ცრუ ბრალდებისათვის ისჯებოდნენ ჯარიმით მათი შემოსავლის გათვალისწინებით (ხელფასის ოდენობით), ხოლო მათი ცოლები, ანალოგიური ქმედებისათვის ისჯებოდნენ მეუღლის შემოსავლის ორმაგი ოდენობით. (მუხ. 26.) იმ შემთხვევაში, თუ თავად მეფე ან ბოიარი ახდენდა საქმის განხილვას და სასამართლო ვერ დასრულდებოდა, ან საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა ვერ მოხერხდებოდა, წერილობითი სხდომის ოქმი ილუქებოდა და ინახებოდა გადაწყვეტილების გამოტანამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქმის მასალები დაიკარგებოდა, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მოხელეს, რომელსაც ებარა საქმე და ზიანიც მას უნდა აენაზღაურებინა სრული მოცულობით. ამასთან, იგი ექვემდებარებოდა გამათრახებას. საქმის განხილვისათვის და სხვა სახის დოკუმენტაციის გაცემისათვის სამართლის ნორმებით დადგენილი იყო შესაბამისი გადასახადი. ზედმეტის გადახდევინება იჯებოდა საამმაგი ოდენობით თანხის უკან დაბრუნებით: „Ст.33. А пошлин брать от правых грамот: боярину за печать с рубля по девяти денег, дьяку за подпись с рубля по алтыну, подьячему за написание грамоты с рубля по три деньги. Больше ничего не брать. А кто возьмет - вернуть нужно втрое больше; если выяснится, что жалобщик солгал,

его наказать торговой казнью и посадить в тюрьму... Ст.37. А за суд Царя и Великого Князя и его детей пошлины берутся с виноватого (проигравшего), также как и за боярский суд - с рубля по одиннадцати денег, кому Государь укажет, а дьяку семь денег, подьячему две деньги.”¹⁴ - შესაბამისად, პატიმრობით იყო დასჯადი ამგვარი დანაშაულის დაბრალეზაც. სამართლის წიგნში აღწერილია საპოლიციო უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის აღებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის საკითხებიც. მაგალითად, თუ დამნაშავის დასაპატიმრებლად წარგზავნილი მოხელე ქრთამის აღების ან სხვა მიზეზით არ დააპატიმრებდა დამნაშავეს, ან დაპატიმრებულს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გაანთავისუფლებდა, მას ფინანსური სასჯელი და ციხე ელოდა, ხოლო სხვა სასჯელის დადებას თავად მეფე გადაწყვეტდა. (მუხ. 53-54.) ბოიართა და სხვა წარჩინებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს მეფის მიერ დანიშნული პირი - მეფისნაცვალი იხილავდა. სამღვდლო პირთა დანაშაულებები განიხილებოდა მიტროპოლიტის, ან მის მიერ დანიშნულ მოსამართლეთა მიერ. თუ დავა ეკლესიასა და საერო პირს შორის წარმოიშობოდა, მაშინ საქმეს განიხილავდა შერეული სასამართლო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შუასაუკუნეების რუსეთში კორუფციული და სამოხელეო დანაშაულებები მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა და სამეფო კარს მათი რეგულაციის მიზნით დასჭირდა, მთელი რიგი სამართლებრივი ნორმების შემუშავება და სამართლებრივი რეფორმის გატარება .

ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს და ჩვენს ისტორიაშიც მრავლად მოიპოვება საეკლესიო, თუ საერო სამართლის ძეგლები. სამართლის ისტორიაში ფართოდაა განხილული და გაანალიზებული

¹⁴ Цыганова В.Б Перевод „Судебник Ивана IV“

http://russiahistory.ru/download/library/istochniki/1073676_96334_sudebnik_1550_goda.pdf

ისტორიულ-სამართლებრივი ძეგლები, თუმცა ყურადღებას გავამახვილებ ისეთ ძეგლებზე, როგორებიცაა: „ოპიზის სიგელი“ (1027-1072 წწ.), დავით აღმაშენებლის „სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი“ (1123 წ.), გიორგი მესამის სიგელი (1170 წ.), „ხელმწიფის კარის გარგება“ (მე-14 საუკუნე), გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება“ (1334-1335 წწ.), ბექა აღბუღას სამართლის წიგნი, სვიმონ მეფის განწესება მეკობართმძებნელის შესახებ (1590 წ.) და „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ - იგივე ვახტანგ მე-6 სამართლის წიგნი (1704-1709 წწ.).

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული სამართლის ძეგლები ნათელი დადასტურებაა საქართველოში სამოხელეო და საჯარო ინსტიტუტების არსებობისა და მათ შორის უფლება-მოვალეობათა დანაწილების პრინციპების კუთხით. სახელმწიფოს მართვა-გამგეობას კუთხით, მეფეს, ცხადია, თანამდებობის პირები ეხმარებოდნენ. ამ მიზნით შექმნილი იყო სხვადასხვა დაწესებულება. იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც მეფის ბრძანებსა და კანონებს აღასრულებდნენ და სამეფოს მართვა-გამგეობაში ეხმარებოდნენ მეფეს, „მოხელენი“ ეწოდებოდათ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ხელი“ მნიშვნელობით ლათინური manus „მანუს“-იდან წარმოდგებოდა და უფლებასა და საქმეს აღნიშნავდა. „ხელი“-დან არის ნაწარმოები „ხელმწიფე“ და „ხელისუფალი“ ანუ რაიმე თანამდებობისა და უფლებების მქონე მოხელე. თავად დაკავებულ თანამდებობასაც კი, ამ ტერმინის აზრობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, „სახელო“ ეწოდებოდა. ბაგრატ IV-ის მიერ ოპიზის მონასტრისადმი ნაბოძები სიგელის მიხედვით, სახელმწიფო მოხელეები ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ „ხელისუფალნი“ და „საქმის-მოქმედნი“. იერარქიულად, ხელისუფალნი ზემდგომ თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ. თავად „საქმის-მოქმედნი“, თავის მხრივ, კიდევ ორ კატეგორიად იყოფოდნენ - „დიდნი და მცირენი“. ასევე, ორ ჯგუფად იყოფოდნენ „მოხელენიც“ დაკისრებული უფლება-მოვალეობების მიხედვით.

მთავარ ჯგუფში მოიაზრებოდნენ „დარბაზის კარს მყოფნი“, ხოლო მეორე ჯგუფის განმარტებას უკვე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი იძლევა და მათ „საქვეყნოდ გამრიგენი“-ს სახელით მოიხსენიებს. შუა საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში „დარბაზის კარს მყოფთა“-ში ცხადია, მწიგნობართ უხუცესი ჭყონდიდელი და სხვა ვეზირები იგულისხმებოდნენ. თანამედროვე გაგებითა და მმართველობის ფორმებით თუ გავავლებთ პარალელს, მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელი - პრემიერ მინისტრის უფლებებით აღჭურვილ პირად, ხოლო ვეზირები - მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობად გვევლინებიან. მათ, თანამედროვე გაგებითა და სსკ-ის ტერმინოლოგიის მიხედვით, შეგვიძლია იმდროინდელი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები ვუწოდოთ. ისინი სამართლის სპეც. სუბიექტებს წარმოადგენდნენ. საქართველოში ვეზირების თანამდებობებს მწიგნობართ უხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მანდატურთუხუცესი და მსახურთ-უხუცესი იკავებდნენ.¹⁵ როგორც უძველეს უცხოურ სამართლის ძეგლებში, ისე ქართულში, უზენაეს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს მეფე წარმოადგენდა, ხოლო მისი ძალაუფლების დასუსტების ჟამს ამ ფუნქციას ადგილობრივად ერისთავები ახორციელებდნენ. გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ისტორიის მიხედვით, გამოკვეთილია ორი უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების სამეფო და საკათალიკოსო სასამართლოების არსებობა-ფუნქციონირების ფაქტი. მეფის სასამართლოს „სამართალი სამეუფეო“ ეწოდებოდა. მეფის სასამართლო ფუნქციებისგან განტვირთვის მიზნით, დაარსებული იყო „სააჯო კარი“, რომელიც, ასევე, ახორციელებდა უმაღლესი სასამართლო ინსტანციის ფუნქციებს და მას მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი ხელმძღვანელობდა. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით - „ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დასჯდების. ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა

¹⁵ ჯავახიშვილი ივ. თბილისი 1928 წ. „ქართული სამართლის ისტორია“ წიგნი მე-2 გვ. 83-92.

მოჩივართა განიკითხავს“.¹⁶ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი მეფის კარზე განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა. მეფეც კი მის დაუკითხავად არ მოქმედებდა, მაგრამ არც მწიგნობართუხუცესს შეეძლო მეფესთან შეთანხმების გარეშე გარკვეული საკითხების გადაწყვეტა. „საურავთა ქმნა“ მწიგნობართ-უხუცესს ჭყონდიდელს და ვაზირთა უპირველესს არც შეეძლო თვინიერ მეფესა კითხვისა“.¹⁷ თანამედროვე გაგებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ქართველი ჟამთააღმწერლის მიერ აღწერილი ერთი ისტორიული მომენტი. ბასილ ჭყონდიდელს უსარგებლია მეფე დავით ლაშას მის მოუცლევლობით და „იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფესა კითხვისა“, მეფის მიერ სიკვდილად იქმნა დასჯილი. როგორც ვხედავთ, მეფის უფლებამოსილებებში შეჭრა და დელეგირებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება თავად მეფის კარზე „უპირველესსაც“ კი არ ეპატიებოდა და სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

სამეფო კარზე ვაზირთა, სპასალართა, ამირახორთა, მეაბჯრეთუხუცესთა, ზარდახნის უხუცესთა, აჩუხითა, ამირჩქართა, მერემეთუხუცესთა, სახლთუხუცესთა, მწიგნობართუხუცესთა, მეჭურჭლეთუხუცესთა, მამასახლისთა, მოურავთა, გამგებელ-ერისთავთა, ხევისბერთა, გზირთა თანამდებობების არსებობა სამოხელეო სამსახურის კარგად განვითარებული ინსტიტუტების მაჩვენებელია. ხაზგასასმელია საპოლიციო-სამძებრო ინსტიტუტების არსებობის ფაქტიც. მაგალითად: გიორგი მე-3-ის სიგელში მოხსენიებულია „სამპარავთმძებნელის“ ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაც ქონებრივ დანაშაულებათა (ქურდობა/ყაჩაღობა) გამოძიებითა და დამნაშავე პირთა მხილება - შეპყრობით იყო განსაზღვრული. მოგვიანებით „სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელით“ ამ ინსტიტუტმა ცვლილება განიცადა და

¹⁶ ჯავახიშვილი ივ. თბილისი 1928 წ. „ქართული სამართლის ისტორია“ წიგნი მე-2 გვ. 93

¹⁷ იქვე

„მეკობართმძებნელად“ გადაკეთდა. კიდევ უფრო მოგვიანებით, კი აღნიშნული ფუნქციები („დასტურლამალი“-ს მიხედვით) ხევისბერებმა (ხევისთავებმა) შეითავსეს. ვახტანგ VI-ის პერიოდში გვხვდება სამოხელეო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი აპარატის მოხელეების ახლებური კლასიფიკაცია. ადმინისტრაციულ - სამეურნეო ფუნქციებს სახლთუხუცესი, ნაზირები და მოლარეები ასრულებდნენ, საპოლიციო უფლებამოსილება ემიკასბაშს, ბოქაულთუხუცესს, ბოქაულსა და იასაულს ებარათ. სასამართლო შედგებოდა მდივანბეგის, მდივნის და სასამართლოს იასაულისაგან. სამდივნოში შედიოდა მდივანი, მორდალი, მწერალი და სხვები. ადგილობრივი მოხელეობის ფუნქციები ჰქონდათ სარდლებს, არაგვისა და ქსნის ერისთავებს, ზოგადად ფეოდალებს, მოურავებს, ნაცვლებსა და მამასახლისებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხევისთავის სახელო, რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ. ქალაქის მმართველობის სათავეში იდგა მოურავი, რომელსაც ჰქონდა ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები. მას ჰყავდა მოადგილე-მოურავის ნაცვალი. ქალაქის მოხელეები იყვნენ, აგრეთვე, მელიქი და მამასახლისი. ზემოთ აღნიშნული სამოხელეო თანამდებობების განვითარება-ფორმაციის ფონზე, ასევე საინტერესოა, სამოხელეო დანაშაულთა სახეებისა და დადგენილი საჯებლების მცირედი მიმოხილვაც. „ძეგლის დადებაში“ სპეციალური მუხლითაა განსაზღვრული ერისთავთა, გამგებელთა და ხევისბერთა სამხედრო ვალდებულებები და ამ ვალდებულებათა არშესრულების, ან არაჯეროვანი შესრულებისთვის დაწესებულია შესაბამისი სანქციებიც: „სალაშქრო საქმე ასე გავაჩინეთ: რომელიც ქუეყანა და თემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან და ჟამიერად არ გამოვიდნენ, ქუეყანამან თუ სოფელმან და თუ ერთმან კაცმან და რაზომცა და კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფეოდ და თუითო ჯარი წაეგვაროს სასეფეოდ და მეორეს წელიწადს მამული ისევ ებოდოს ერისთავისა და გამგებლისაგან

საურავითა, ესე ჰეროვნისა და მსოფლიონისა იყოს და თუ ჰევის ბერმან დააკლოს და არ გაჰყვეს, ჰევის ბერობა და მამული წაეღოს და ერთს წელიწადს უკან მამული ისევ ებოდოს, თუ ნამსახური იყოს და სხვა არა შეეცოდოს რა.“¹⁸

როგორც ვხედავთ, ასეთი დანაშაულისათვის სასჯელის სახედ, ძირითადად, ქონებრივი სანქცია მოქმედებდა, იგი დროებით ედებოდა დამნაშავეს და თუ სხვა დანაშაულში არ იმხილებოდა, ერთი წლის შემდეგ სასჯელისაგან თავისუფლდებოდა. ქართული სამართლის ძეგლები იცნობენ სამოხელეო დანაშაულის ისეთ სახეს, როგორც ქრთამია. ბექა აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით: „თუ ბჰისაგან ქრთამის აღება გამოჩნდეს, იგი ნაბჰობი ტყუილი იყოს და მას ბჰესა სიავისა ხელნი დაესხნენ ... და ოდესცა გამოსჩნდეს, იგი კაცნი ახლად გაინჰენო“(მუხ. ჟა).¹⁹ როგორც ვხედავთ ქრთამის მიცემის გამოვლენისას, სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებულად ჩაითვლებოდა და საქმე ხელახლა უნდა განხილულიყო. ქრთამის აღების ფაქტზე რამე კონკრეტული სასჯელის სახე დადგენილი არ იყო და ამგვარი მხოლოდ უნდა ვივარაუდოთ. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისთვის სიტყვა ქრთამს ორგვარი გაგება ჰქონდა, როგორც კანონიერი საზღაური-გასამრჯელო, ისე უკანონო საზღაური რაიმე ქმედებისა თუ მიკერძოებისათვის. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის იმჟამინდელი საჯარო მოხელეები (ერისმთავრები, სპასალარები, ხევისბერები, გამგებლები და ა.შ) შესაძლებელია უფრო მკაცრი სასჯელებითაც დასჯილიყვნენ, ვიდრე ყმა-გლეხისა, თუ მამულის ჩამორთმევა ან/და შერისხვა იყო. კერძოდ, მძიმე სასჯელთაგან ქართული სამეფო სამართალი იცნობდა თვალების დამანთვას, ენის, ცხვირისა თუ სხვა კიდურის მოკვეთას, ქვეყნიდან გაძევებას და იშვიათ შემთხვევაში თავის მოკვეთას, ხაროში, დილეგსა და საპყრობილეში ჩაგდებას.

¹⁸ ჯავახიშვილი ივ. თბილისი 1928 წ. „ქართული სამართლის ისტორია“ წიგნი მე-2 გვ. 93-95

¹⁹ იქვე

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თამარის მეფობის ჟამს სხეულის კიდურების მოკვეთით დამახინჯების სასჯელი, თითქმის, აღმოიფხვრა.

ივ.ჯავახიშვილის აზრით, ისტორიულად ცნობილია სახელმწიფოსა და სახელმწიფო მმართველობის წინააღმდეგ განხორციელებული ორი სახის დანაშაული. ესენია: 1. განდგომა და ღალატი. 2. მეფის შეურაცხყოფა. განდგომასა და ღალატს შორის, ავტორი, მიუხედავად მათი ერთად მოხსენიებისა, მკვეთრ ზღვარს ავლებს. განდგომა თავის თავში მოიაზრებს დაუმორჩილებლობას არსებული მმართველობის წინააღმდეგ, როდესაც ირღვევა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა და იწყება შიდა ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად, ან ამგვარის გასაფართოებლად. განდგომას იგი მოიხსენიებს „აშლილობად“, „შფოთად“, „ორგულობად“ (განდგომა/ღალატის მაგალითები უხვად გვხვდება საქართველოს ისტორიაში, ბაღვაშთა დინასტია განდგომის კლასიკური მაგალითია). რაც შეეხება ღალატს, იგი გაცილებით მძიმე და ვერაგულ დანაშაულადაა აღქმული და სასჯელიც შესაბამისია - სიკვდილით დასჯა. ღალატად მიჩნეულია მტერთან გარიგება, ან/და სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად შეთქმულების მოწყობა, ან შეიარაღებული გამოსვლა. მეფის შეურაცხყოფისთვის ისტორიულად სასჯელის სახით ენის მიკვეთა იყო დაწესებული, რის შემდეგაც, შესაძლოა სიკვდილითაც კი დასჯილიყო შეურაცხმყოფელი. დიდგვაროვანთა თვითნებობისა და ურჩობა/განდგომისათვის სასჯელად საპრობილეში ჩასმის მრავალი ისტორიული ფაქტი არსებობს, რიგ შემთხვევებში ქვეყნიდან გაძევება, თვალების ამოშანთვა და სიკვდილით დასჯაც გამოიყენებოდა. ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, ლიპარიტ ბაღვაშისა და მეფე დავით აღმაშენებლის ურთიერთდამოკიდებულება. „ინება გაწურთა მისი, ამისთვისცა პერობილ ყო იგი ჟამსა რაოდენსამე, რომელი კმა იყო განსასწავლებლად გონიერისა ვისმე“- იუწყება მემატთანე (გვ 521, 288). მიუხედავად ამისა, „ლიპარიტ ამირამან აწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სვლა“. როგორც ვხედავთ, საპრობილეში

ყოფნამ ურჩ ერისთავზე დიდი გავლენა ვერ მოახდინა და „ორგულობისთვის“ ბაღვაში საბოლოოდ გააძევეს ქვეყნიდან 1097 წელს.²⁰

ცნობილია, რომ განდგომის გამო დემეტრე 1-ლმა დავით აღმაშენებლის ძემ, თავისი შვილის დავითის მომხრე დიდებულები ამოწყვიტა - „ამისა სამეფოსა დიდებულნი რომელმენი ექსორია ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განმპატიჟებით“.²¹ მემკვიდრე განდგომად მოიხსენიებს 1177 წელს გიორგი მესამის დასამხობად დემნა ბატონიშვილის მიერ მოწყობილ შეთქმულებას. „დემნას, ვითარცა განდგომილს, უფლისწულს თვალები დასთხარეს და გამოასაჭურისეს, რომ შთამომავლობა არა ჰყოლოდა“;²² ხოლო მისი მომხრე ორბელები, მეფის ბრძანებით, დაუხოცავთ. გიორგი მესამის სახელს უკავშირდება 1179 წელს საკანონმდებლო კრების მოწვევაც, რომელმაც გახშირებული ქურდობა - ავაზაკობის აღმოსაფხვრელად სასჯელად ჩამოხრჩობა დაადგინა. ხაზგასმულია, რომ კანონი ერთნაირად ეხებოდა „აზნაურსაცა და უაზნოსაც“.

ისტორიაში დიდგვაროვან აზნაურ-მოხელეთა გაფიცვად არის მოხსენიებული ყუთლუ-არსლანის (გეზირი) დასის პოლიტიკური გაფიცვა (განდგომა) თამარ მეფის წინააღმდეგ, რომლებიც წოდებრივი უპირატესობების აღდგენას მოითხოვდნენ, რაც, თავის დროზე დავით აღმაშენებლმა გააუქმა და „პატივის მიგება“ (თანამდებობაზე დანიშვნა-დაწინაურება) მხოლოდ დამსახურებისამებრ დაადგინა. მიუხედავად დასის მარცხისა, როგორც ჩანს, მხოლოდ ყუთლუ-არსლანი დაისაჯა, თუმცა კონკრეტულად რა სახის სასჯელი დაედო მას, ამის შესახებ ისტორიაში ცნობები არ მოიპოვება. აღნიშნული ფაქტი ხაზგასასმელია იმ კუთხითაც, რომ განდგომილ მოხელეებს თავიანთი

²⁰ ჯავახიშვილი ივ. თხზ 12 ტომად 1979 წ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა ტ. II. გვ. 194-195.

²¹ ჯავახიშვილი ივ. 1929 წ. „ქართული სამართლის ისტორია“ წიგნი მეორე, გვ. 95.

²² ჯავახიშვილი ივ. თხზ 12 ტომად 1979 წ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა ტ. II. გვ. 242

მოთხოვნა შეიარაღებულ ამბოხში არ გადაუზრდიათ, პოლიტიკურ ქმედებებს არ გასცილებიან და მათ აბსოლუტური მონარქიის „ჩარჩოებში“ მოქცევა სურდათ. გარდა ამისა, განდგომილთა ეს მცდელობა, რეალიზაციის შემთხვევაში, რევოლუციური სიახლე იქნებოდა მსოფლიო ისტორიაში, არა მხოლოდ მმართველობის ფორმის შეცვლის კუთხით, არამედ სამოხელეო სამართალი და რეგულაციები რადიკალურად სხვა განვითარებას ჰპოვებდა.

საქართველოში, განსაკუთრებით კი მის მთიან ნაწილში, მოქმედებდა, ასევე, ჩვეულებითი სამართლის ნორმები. ამ კუთხით საინტერესოა ე.წ. „ფშაური რჯულის“ მიმოხილვა. მთიან საქართველოში მოქმედებდა განსხვავებული სასჯელთა სისტემაც, მაგალითად, აქტიურად გამოიყენებოდა ჩაქოლვა იგივე „ჩაქვავება“ - ამ სასჯელს ძირითადად ხატისა და თემის ღალატის დადასტურების შემთხვევაში იყენებდნენ, რაც, თავის მხრივ, სამშობლოს ღალატს უტოლდებოდა. ასევე, ჩაქოლვით ისჯებოდა „უკუნელთა შეგმანვა“, რაც სისხლიერ ან სულიერ ნათესავთან სექსუალური კავშირს გულისხმობდა. ჩაქოლვით ისჯებოდა „ძალით გაბიჭიანებაც“, იგივე გაუპატიურება, თუმცა, ამ შემთხვევაში, დამნაშავე ჩაქოლვას შესაძლოა გადარჩენოდა მსხვერპლთან დაქორწინების შემთხვევაში. გამოიყენებოდა გვემითი და გამაწილებელი სასჯელებიც: „ღუედითა მიმთხვევაი, დაჯგანაგის კვრა, კუერთხითა ცემა, ჯოხის კვრა, გახეიბრება, გაჯულურება (ცხვირის ან ყურის მოკვეთა. გამოიყენებოდა მოღალატე ცოლების მიმართ). გამაწილებელი სასჯელები იყო: ბოძზე გაკვრა, ყელსაბლიანი ჩამოტარება, ნაქურდალის ზურგზე აკიდება, სახალხოდ სილის გაწვნა, ვირზე უკუდმა შესმა და ა.შ. ცალკეა აღსანიშნავია ფეოდალურ საქართველოში არსებული სამართლის მიხედვით დადგენილი მტკიცებულებათა სტანდარტი და მტკიცებულებათა სახეები. ვახტანგ მეფის სამართლის წიგნის მეექვსე თავში აღწერილია იმჟამინდელ მტკიცებულებათა 6 სახე, კერძოდ: 1. ფიცი, 2. შანთი, 3. მდუღარე, 4. ხმალი, 5. მოწმე, 6. ცოდვის მოკიდება. არსებობდა, ასევე,

მტკიცებულების ისეთი სახე, როგორცაა - ორდალი, იგივე ღვთის მსჯავრი, თუმცა, იგი, ისევე როგორც შანთითა და მდულარით გამოცდა, იშვიათად გამოიყენებოდა. გამოყენებად მტკიცებულებათა ძირითადი სახეებს წარმოადგენდა მოწმე, ფიცი (ხატზე დაფიცება) და ხმალში გამოწვევა (დუელი). მნიშვნელობა ჰქონდა მოფიცარის სოციალურ და იერერქიულ მდგომარეობასაც, შესაძლებელი იყო ფიცის დამდებთა რიცხოვნობის განსაზღვრაც.

ეს მცირე ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზიც ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, ამისთვის სამართლის სპეციალური ნორმების დაწესებას და დანაშაულის შესაბამისი მტკიცებულებათა სტანდარტების დადგენას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ადრეული და ფეოდალური ეპოქის ძეგლები სამოხელეო დანაშაულების გამიჯვნა-დიფერენციას არ იცნობდა და ის ასოცირდებოდა მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხთან, სამხედრო დანაშაულთან, ქრთამთან და ღალატთან, რაც იმით აიხსნება, რომ საერო მოხელე, იმავდროულად, სამხედრო ფუნქციებსაც ითავსებდა.

თავი II

მტკიცებულებათა სტანდარტი სამოხელეო დანაშაულის შეფასებისას

სისხლის სამართლის პროცესში ტერმინის, მტკიცებულების ცნებაში მოიაზრება ნებისმიერ სახის ინფორმაცია ან ინფორმაციის მატარებელი საგანი, რომლის საშუალებით გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო და დაცვის მხარე ადგენს ან გამორიცხავს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებსა და ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მტკიცებულებად განიხილება:

1. დაზარალებულის, მოწმის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჩვენება;
2. ექსპერტიზის დასკვნა, ექსპერტის ჩვენება, სპეციალისტის ჩვენება;
3. ნივთიერი მტკიცებულება;
4. დოკუმენტური მტკიცებულება;
5. სასამართლო და საგამომიებო მოქმედებათა ამსახველი ოქმები;
6. პრეიუდიციული ფაქტები და მტკიცებულებები;
7. საქმესთან შემხებლობის მქონე სხვა დოკუმენტები;

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე -3 მუხლის 23-ე ნაწილი მტკიცებულებას შემდეგნაერად განმარტავს: „მტკიცებულებაა – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო

სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო, კინო, ვიდეო, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.²³

ამდენად, სწორედ მტკიცებულებაა სისხლის სამართლის პროცესის ის ძირითადი არსი და ქვაკუთხედი, რომლის გარშემოც იკვრება და იქმნება სხვადასხვა მოქმედებათა ამსახველი სამართლებრივი ნორმები თუ რეგულაციები. მტკიცებულებათა ერთობლიობა ქმნის და შესაძლებელს ხდის კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი ან გამამართლებელი ვერდიქტის დადგენის შესაძლებლობას. იმისთვის, რომ ამა თუ იმ სახის ინფორმაციას მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა იგი უნდა აკმაყოფილებდეს რელევანტურობის, ავთენტურობისა და დასაშვებობის კრიტერიუმებს.

სამოხელეო დანაშაულებთან მიმართებით ინდივიდუალური ან ჩამონათვალისგან განსხვავებულ-განყენებული მტკიცებულებები არ არსებობენ, თუმცა სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით აქვთ თავისი შინაარსობრივი და სპეციფიკური თავისებურებანი. საკვლევი თემის ასპექტში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სწორედ ამ კუთხით და წარმოვაჩინთ მათი მოპოვება/დამაგრების პრობლემატურობის საკითხებს, პრაქტიკაში არსებულ

²³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=98>

მათ ძირითად სახეობებს და მტკიცებულებათა ერთობლიობისთვის საკმარისი სტანდარტის ასპექტებს.

2.1 მტკიცებულებათა მოპოვების წყაროები.

გამოძიების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებათა მოპოვების წყაროს და ამ კუთხით მტკიცებულებები შეიძლება დავყოთ პირველწყაროდან მიღებულ და წარმოებულ, დამუშავებულ ე.წ. შექმნილ მტკიცებულებებად.

პირველ წყაროდან მიღებული მტკიცებულებებია ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ჩვენება, დაზარალებულის ჩვენება, თვითმხილველი მოწმის ჩვენება, ვიდეოკამერის ჩანაწერები და ა.შ.

ბრალდებულის ჩვენებად უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ მის მიერ გამოძიებაში გამოკითხვისას ან სასამართლო პროცესზე დაკითხვისას მიცემული ჩვენება არამედ, ყველა იმ საგამოძიებო თუ სასამართლო ოქმში არსებული ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ მის მიერ არის გაცხადებული. მაგალითად ჩხრეკა/ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, სასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის თუ განცხადების გაკეთებისას გაჟღერებული და ოქმში დაფიქსირებული ნებისმიერი ინფორმაცია არის ერთგვარად ბრალდებულის ჩვენება, რომელიც აღქმული და გაანალიზებული უნდა იყოს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში მისი სანდოობის კუთხით. გამოკითხვა/დაკითხვისას მიღებული ჩვენების, როგორც მტკიცებულების, პირველწყაროდ ითვლება თავად ბრალდებული, ხოლო მის მიერ სხვა საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედებებისას გაჟღერებული ინფორმაციის, როგორც მტკიცებულების პირველწყაროდ, უნდა ჩაითვალოს სწორედ ის

ოქმები, რომლებშიც ასახულია მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულის ჩვენებად და, შესაბამისად, მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ბრალდებულის მიერ გაკეთებული კომენტარები ან ბრიფინგები პრესაში, ტელევიზიასა თუ ინტერნეტ სივრცეში.

გადაწყვეტილებაში საქმეზე ელ-მასრი იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განავითარა შემდეგი მსჯელობა, რაც, ვფიქრობთ, მეტად ყურადსაღებია: „სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში სიფრთხილით მოეკიდება მინისტრების ან სხვა მაღალი რანგის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულ განცხადებებს, ვინაიდან ეს განცხადებები, როგორც წესი, იმ სახელმწიფოს მხარდამჭერია, რომელსაც ისინი წარმოადგენენ ან წარმოადგენდნენ წარსულში. მაგრამ, სასამართლოს, ასევე, მიაჩნია, რომ მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები, მათ შორის ყოფილი მინისტრების და სხვა პირების, რომლებმაც ითამაშეს ცენტრალური როლი სადავო საკითხში, სარგებლობენ განსაკუთრებული მტკიცებულებითი ღირებულებით, როდესაც ისინი აღიარებენ ფაქტებს ან ქცევას, რომელიც სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებს არასახარბიელო პოზიციაში აყენებს. ეს, შეიძლება, აღიარების გარკვეულ ფორმას წარმოადგენდეს.“²⁴

ანალოგიური მიდგომა უნდა გავრცელდეს დაზარალებულისა და მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ჩვენებად ითვლება მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვისას ან მაგისტრატ მოსამართლის თანდასწრებით ფიცის ქვეშ მიცემული ინფორმაცია (სსსკ-ის მე-3 მუხ. 24 ნაწ.), საქმის ფაქტობრივი გარემოებისა და სწორი სამართლებრივი დასკვნების

²⁴ El-Masri v. “the former Yugoslav. Republic of Macedonia” საჩივარი No. 39630/09, 13.12.2012

გასაკეთებლად სასამართლომ შინაგანი რწმენით გადაწყვეტილების მიღებისას, სწორედ აღნიშნულ ინფორმაციებითა და ოქმებით უნდა იხელმძღვანელოს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

პირველწყაროდან მოპოვებულ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს სათვალთვალო კამერით ან სხვა ტექნიკური საშუალებით დაფიქსირებული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს დამნაშავის მაიდენტიფიცირებელ თუ დანაშაულის ფაქტობრივი გარემოების აღმწერ ქრონოლოგიურ ან ეპიზოდურ ინფორმაციას. აღნიშნული მტკიცებულება გაცილებით მაღალი სანდოობის სტანდარტისაა, ვიდრე თვითმხილველი მოწმის ჩვენება, ვინაიდან მოვლენებს აღწერს რეალურ დროში და მისგან მიღებული ინფორმაცია დაზღვეულია ადამიანის სუბიექტური აღქმითი ან/და სტრესული გავლენებისგან.

წარმოებულ (იგივე შექმნილ) მტკიცებულებებში მოიაზრება ისეთი სახის მტკიცებულება, რომელიც მიღებულია პრველწყაროდან მიღებული ინფორმაციის ან საგნებისა და ნივთიერებების თვისობრივი მაჩვენებლების დამუშავების, კვლევის შედეგად და თავისი არსით წარმოადგენს ახალ მტკიცებულებას.

ასეთი სახის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სახის ირიბი მტკიცებულება, ჩხრეკის, ამოღებისა და დათვალიერების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება, ექსპერტიზის დასკვნა, რევიზიის აქტი, ექსპერტისა და სპეციალისტის ჩვენება და სხვა სახის წერილობითი დოკუმენტაცია, რომელიც დამაგრებული იქნება საქმეზე, შევა მტკიცებულებათა ნუსხაში და წარედგინება დასაშვებ მტკიცებულებად წინა სასამართლო სხდომის მოსამართლეს.

მთელ რიგ შემთხვევაში შემთხვევის ადგილიდან ამოღებული საგანი თავისთავად ვერ შეიძენს მტკიცებულებით მნიშვნელობას, თუ არ იქნება მასზე ჩატარებული შესაბამისი ექსპერტიზა, რომლითაც მისი საქმესთან ან

ფაქტობრივ გარემოებებთან შემხებლობა დაფიქსირდება. მაგალითად, პირადი ჩხრეკისას ამოღებული საეჭვო აბი ან ნივთიერება ვერ გახდება პირის ბრალდების საფუძველი, ასეთად ის შეიძლება გადაიქცეს მას შემდეგ, რაც ჩატარდება ქიმიური ექსპერტიზა და დადგინდება, რომ ის კონკრეტულ ნარკოტიკულ საშუალებათა სახეობას განეკუთვნება და, რომ ამ ნივთიერების შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან მოხმარება დასჯადია კანონით. შესაბამისად, ამოღებიდან მის ნივთიერ მტკიცებულებად გადაქცევამდე საჭიროა ჩატარდეს მთელი რიგი პროცესუალური მოქმედებები და შედგეს შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის ისეთი, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. სწორედ აღნიშნული დოკუმენტი, ამ შემთხვევაში ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, ჩხრეკის ოქმთან და ჩხრეკის კანონიერად ცნობის სასამართლო განჩინებასთან ერთობლიობაში, ხდება საქმეზე მტკიცებულება.

იგივე შეიძლება ითქვას მოპოვებულ ბიოლოგიურ მასალასა თუ ვიდეო კამერით დაფიქსირებულ ინფორმაციაზე. თუკი არ დადგინდება შემდგომი საგამოძიებო მოქმედებებითა და კვლევებით, რომ ბიოლოგიური მასალა ან დნმ-ი ეკუთვნის დაზარალებულს ან/და ბრალდებულს, თუკი არ დადგინდება ვიდეო ჩანაწერის ავთენტურობა ან მასზე ასახული პირის მიმართებაში არ ჩატარდება ჰაბიდოსკოპიური და ფონოსკოპიური ექსპერტიზები, თუკი არ დადგინდება, რომ ინფორმაცია არის უწყვეტი, არ შეინიშნება მონტაჟისა და სხვა ტექნიკური საშუალებების ზემოქმედების კვალი, ასეთი სახის ვერც პირველწყაროდან მიღებული პირდაპირი და ვერც ირიბი მტკიცებულება ვერ ჩაითვლება ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

თავისი არსით ნივთიერი მტკიცებულებები შეგვიძლია დავყოთ შემდეგ კატეგორიებად;

1. ნივთები/საგნები, რომლებიც გამოყენებული იქნა დანაშაულის იარაღად (მაგალითად მკვლელობის იარაღი დანა, მომწამვლელი ნივთიერება,

ცეცხლსასროლი იარაღი, ასაფეთქებელი მოწყობილობა ან სხვა ტიპის ბლაგვი ან ზასრი საგანი და ა.შ).

2. ნივთები/საგნები, რომლებზეც დატოვებულია დანაშაულის კვალი (მაგალითად, ტანსაცმელი სისხლის ლაქებით, ფიზიკური ძალის ზემოქმედებით დაზიანებული საგნები ან ნივთები ტანსაცმელი, ცეცხლსასროლი იარაღის ზემოქმედებით დაზიანებული ნივთები ან საგნები, გატეხილი საკეტი და ა.შ).

3. ნივთები და საგნები, რომელთა დაუფლებისაკენაც იყო მიმართული დანაშაულებრივი ქმედება (ფული, ძვირფასი ლითონის ნაკეთობები, ტექნიკა და ა.შ).

4. სხვა სახის ნივთები ან საგნები და დოკუმენტები (მაგალითად, დამნაშავის მიერ შემთხვევის ადგილზე დატოვებული სიგარეტის ნამწვი, ფანარი, სათვალე ან სხვა ნივთი, რომელიც დაუვარდა ან დარჩა დანაშაულის ადგილზე.).

ცალკე უნდა აღინიშნოს დოკუმენტი, როგორც ნივთიერი მტკიცებულების სახეობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს.“²⁵ შეუნაცვლებადობა გულისხმობს ანალოგიური დოკუმენტის მოპოვების შეუძლებლობას. „თუ დოკუმენტი როგორც მატერიალური სამყაროს საგანი, შეიცავს დანაშაულის შესახებ ინფორმაციას (მაგალითად გაყალბების კვალი, ცრუ დასმენის შემთხვევაში-ყალბ ინფორმაციას პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ,

²⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=98>

მუქარის ტექსტის შემცველი გზავნილი) ის შეუნაცვლებადი ინფორმაციის წყაროა და ამიტომ წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას.“²⁶

იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია დოკუმენტის ხელახლა მოპოვება და ამით მისი თვისობრივი მონაცემები და შინაარსობრივი მხარე არ იცვლება მაშინ ამგვარი ინფორმაციის მატარებელი მიეკუთვნება დოკუმენტის კატეგორიას და არა ნივთიერ მტკიცებულებას. მაგალითად, დაბადების მოწმობის ასლი, ცნობა ნასამართლობის შესახებ ან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-333-ე მუხლები განასხვავებენ ერთმანეთისაგან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ამგვარის ბოროტად გამოყენებს მცნებებს. აღნიშნული ნორმებით რეგულირდება საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ყველაზე ფართო სფერო. მათ შორის მაღალი და უმაღლესი იერარქიის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულები. რიგით საჯარო მოხელეთაგან განსხვავებით, სწორედ ამ კატეგორიის და დიდი ძალაუფლების მქონე დამნაშავეთა მიმართ წარმოებულ საქმეებზე აწყდება ყველაზე ხშირად გამოძიება საკმარის მტკიცებულებათა მოპოვების სირთულეს და უმეტეს შემთხვევაში პირველწყაროდან მიღებული ინფორმაციის მოპოვება და დამაგრება თითქმის შეუძლებელია.

განსახილველ დანაშაულებთან მიმართებით, ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების მოპოვება გამოძიების პირველ ეტაპზე, როგორც წესი ვერ ხერხდება. მინისტრები, საშუალო და ქვედა რგოლის მოხელეები საჯაროდ, ხალხმრავალ ადგილას, როგორც წესი, არ სჩადიან დანაშაულს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ადგილი ყველაზე ხშირად სწორედ საკუთარი

²⁶ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები“. „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“. თბილისი, 2015 წ. გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 278.

კაბინეტია. ადგილი, რომელიც დაცულია შემთხვევითი შემსწრის, ვიდეო ან აუდიო ჩაწერის და თვითმხილველი მოწმის არსებობის რისკფაქტორისგან. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება, თუ მას არ ახლავს მაკვალიფიცირებელ გარემოებად ძალადობა, პრაქტიკის მიხედვით, ძირითადად გამოხატება უკანონო ბრძანების/დავალების გაცემაში და, როგორც წესი, უშუალო ხელქვეითის მეშვეობით ხორციელდება. ასეთი ხელქვეითი კი, უმეტესად, დამნაშავის მოადგილე ან სხვა რანგის მქონე დაახლოებული პირია და მათგან დანაშაულებრივი ბრძანების მამხილებელი ჩვენების მიღება საკმაოდ რთულია, მთელ რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელი, ვინაიდან ასეთი პირები ძირითადად დანაშაულის თანამონაწილენი ხდებიან და საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენების მიცემის ვალდებულება არ გააჩნიათ.

განსაკუთრებით რთული და სპეციფიკურია იმ დანაშაულთა გახსნა და გამოძიება, რომელთაც სჩადიან ისეთი საჯარო მოხელეები, როგორებიც არიან: პროკურორები, მოსამართლეები, გამომძიებლები, პოლიციის თანამშრომლები ან სხვა სამართალდამცავი თუ ძალოვანი სტრუქტურის საჯარო მოხელეები. ამ კატეგორიის საჯარო მოხელეებს აქვთ იურიდიული განათლება, ფლობენ ყველა იმ უნარჩვევას და იცნობენ დანაშაულის გამოძიების ტაქტიკას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს და აწარმოოს გამოძიება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის გამომძიებელმა. ხშირ შემთხვევაში კი გაცილებით დიდი პრაქტიკული გამოცდილება და კვალიფიკაცია გააჩნიათ, ვიდრე ბრალდების მხარეს (გამომძიებელს, პროკურორს). ამ სპეციფიკის დამნაშავეები, როგორც წესი, არ ტოვებენ კვალს ან მტკიცებულებას და, თუ ტოვებენ, იმდენად მწირსა და ირიბს, რომ ისინი ხშირად არასაკმარისია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტისა და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის. ცალკე უნდა აღინიშნოს წარსულში ჩადენილი სამოხელეო დანაშაულებების გამოძიების სირთულე, როცა გასულია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენიდან ხუთი და მეტი წელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა - რა სახის მტკიცებულებების მოპოვებაა შესაძლებელი პირველწყაროდან სამოხელეო დანაშაულის გამოძიების პროცესში? პირველ ყოვლისა, ესაა საჯარო მოხელის ნამსახურების ნუსხა (ცნობა სამუშაო ადგილისა და დაკავებული თანამდებობის შესახებ), რომლითაც დადასტურდება, რომ ის დანაშაულის ჩადენის მომენტში ნამდვილად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს და წარმოადგენდა ამ დანაშაულის სუბიექტს. შესაძლებელია, გამოთხოვილი/ამოღებული იქნას ბრძანების, განკარგულების ან/და სხვაგვარი დოკუმენტის დედანი, რომლითაც დადასტურდება უკანონო განკარგულების გაცემა (თუკი ასეთი არსებობს). შესაბამისად გამოძიებამ უნდა მოიპოვოს ყველა იმ პირის ჩვენება, რომელთაც, მათი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა, კავშირი ჰქონდეთ უკანონო დავალების მიღებასთან ან შესრულებასთან. ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება/ზოროტად გამოყენებისას პირველწყაროდან მიღებულ მტკიცებულებაა თავად დაზარალებულის ჩვენება, ის საგანი, რომლითაც განხორციელდა ძალადობა ან ამგვარის მუქარა (თუ ადგილი არ ჰქონდა ფსიქოლოგიურ ძალადობას და მუქარას) და მისი საჯარო დაწესებულებაში შესვლა-გასვლის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი, თუკი ასეთი არსებობს. ასევე, სხვა სახის მტკიცებულებები ან კვლები, რომელებიც, შესაძლოა, დატოვებული იქნას შემთხვევის ადგილას იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაციას იძლევა დაზარალებული და სად და რა სპეციფიკის დანაშაულია ჩადენილი.

პირველწყაროდან მოპოვებულ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს საჯარო სივრცეში სოციალურ ქსელებში თუ მედიის საშუალებებში საჯარო მოხელეების მიერ გაკეთებული განცხადებები ან კომენტარები, თუკი ამგვარი ინფორმაცია შემხებლობაშია საქმესთან და ფაქტის ერთგვარი შეფასება-აღიარებითი ხასიათისაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კუთხით სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებაც მნიშვნელოვანია მაღალი

თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას, საჯარო სივრციდან, მედიასაშუალებიდან ან სოციალური ქსელებიდან მოპოვებული ინფორმაციის პირდაპირ მტკიცებულების სახის სტანდარტად პრაქტიკაში დამკვიდრების თვალსაზრისით.

2.2 მტკიცებულების რელევანტურობა.

რელევანტური (relevant) - უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს - არსებითს, ფასეულს, მნიშვნელოვანს. რელევანტურობა სისხლის სამართლის პროცესში ფასდება არა მხოლოდ ინფორმაციის ღირებულებისა და ფასეულობის, არამედ მისი საქმესთან შემხებლობითი კრიტერიუმებით. სწორედ ისეთი მტკიცებულებაა რელევანტური და გასაზიარებელი, რომელიც თავისი შინაარსით რელევანტურია და მას პირდაპირი ან ირიბი შემხებლობა აქვს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და ქმედების დანაშაულებრიობის დამადასტურებელ ან უარსაყოფად საჭირო ინფორმაციასთან.

მტკიცებულების რელევანტურობის განსაზღვრისას: პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს:

1. ექვემდებარება თუ არა მტკიცებას ის გარემოება, რომელსაც ადასტურებს ან უარყოფს მტკიცებულება 2. არსებობს თუ არა კავშირი დასამტკიცებელ გარემოებასა და მტკიცებულებას შორის.

მტკიცებულება რელევანტურია, თუ ის ადასტურებს ან/და მიუთითებს ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე; ირიბად ან პირდაპირ ადასტურებს იმ ფაქტებს ან ინფორმაციას, რომლებიც დადგენილია სხვა მტკიცებულებებით; მიუთითებს სხვა მტკიცებულებების არსებობაზე და მათი მოპოვების შესაძლო ადგილზე; ახასიათებს ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების წარმოების

კანონიერებას ან პროცედურას და ხელს უწყობს ადრე შეკრებილი მტკიცებულებების შემოწმებას; ადგენს ფაქტებს, რომელიც ეწინააღმდეგება ან ადასტურებს საგამოძიებო ვერსიას;

ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების არარსებობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია არ დაუშვას და წინა სასამართლო სხდომაზე ამორიცხოს მტკიცებულებათა ნუსხიდან იმ კატეგორიისა და შინაარსის მტკიცებულებები, რომელიც კავშირში არ არის საქმესთან, ანუ ცნოს ისინი არარელევანტურად.

მტკიცებულებები საქმეზე მათი შემხებლობის ასპექტით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. დანაშაულის ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, საგნისა და იარაღის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელ მტკიცებულებებად;

2. პირის ბრალეულობის, ბრალის ფორმის, მისი მიზნისა და მოტივის დამადასტურებელ მტკიცებულებებად;

3. ზიანის მოცულობისა და ოდენობის დამადასტურებელ მტკიცებულებებად;

4. დანაშაულებრივი ქმედების გამომრიცხავ მტკიცებულებებად;

5. დანაშაულის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების დამდგენ მტკიცებულებებად;

6. დანაშაულებრივი ქმედების დადგენისას პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისგან განთავისუფლების გარემოებების დამდგენ მტკიცებულებებად.

საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე აღნიშნული მტკიცებულების კანონით დადგენილი წესით მოპოვება, დამაგრება და

გამოკვლევა პირდაპირ ემსახურება საქმეზე სამართლიანი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. ის მნიშვნელოვანია, როგორც სისხლისამართლებრივი დევნის დასაწყებად, ისე დევნის შეწყვეტისა და უდანაშაულობის დასადგენად, სასჯელის ზომისა და მოცულობის დასადგენად.

თავისი არსით რელევანტური მტკიცებულებები ასევე იყოფა პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებათა კატეგორიებად.

პირდაპირი სახის მტკიცებულებებად ითვლება ისეთი სახის მტკიცებულება, რომლის პირველწყაროც უშუალოდ მიუთითებს დამნაშავეზე ან დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებაზე. მაგალითად, დაზარალებულის ჩვენება, დანაშაულის თვითმხილველი მოწმის ჩვენება, დაზარალებულის სხეულზე (ში) აღმოჩენილი ბიოლოგიური მასალისა თუ დნმ-ის ექსპერტიზის დასკვნა, კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა და ა.შ

ირიბ მტკიცებულებად ითვლება მოწმის ირიბი ჩვენება და ისეთი გარემოების დამდგენი მტკიცებულება, რომელიც აჩენს ვარაუდის მაღალ სტანდარტს, რომ, შესაძლოა, დანაშაული ჩაიდინა კონკრეტულმა პირმა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად: „ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.“²⁷

ირიბი მტკიცებულება მეტად მნიშვნელოვანია სამოხელეო დანაშაულის გამოძიებასთან მიმართებაში, ამიტომ მასზე და მისი მნიშვნელობის ფენომენზე ცალკე თავში გვექნება საუბარი.

²⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=98>

2.3. მტკიცებულებათა ავთენტიკურობა.

ავთენტური (authentic) - განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს - ნამდვილს, უტყუარს, ჭეშმარიტს და პირველწყაროდან აღმოცენებულს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მტკიცებულებათა ავთენტიკურობას და 77-ე მუხლის მე-4 ნაწილში განმარტავს, რომ: „საქმის არსებითი განხილვის დროს მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება.“²⁸ მტკიცებულების ავთენტიკურობის დადგენის აუცილებლობას კანონმდებელი უკავშირებს სასამართლო განხილვას და მტკიცებულების დაშვებისა და გამოკვლევის მთავარ პირობად ასახელებს.

სისხლის სამართლის პროცესი მტკიცებულების ავთენტიკურობის საკითხს ყოფს სანდოობის ორ ასპექტად: შინაარსობრივი უტყუარობისა და მტკიცებულების წარმომავლობის უტყუარობის ნიშნებით. შინაარსობრივ უტყუარობად უნდა მივიჩნიოთ დოკუმენტში ასახული ინფორმაციის უტყუარობა, რომ მასში გადმოცემული ინფორმაცია არის სანდო მაღალი ხარისხით. წარმომავლობით უტყუარობად განიხილება, თუ ვინ შექმნა, ვინ მოიპოვა, სად ინახებოდა, ხომ არ შეცვლილა მისი ნიშანთვისებები ან ხომ არ ჰქონდა ადგილი მის გამოცვლას.

ავთენტიკურობის საკითხი, როგორც წესი, დგება დოკუმენტურ მტკიცებულებებთან მიმართებით: „მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც

²⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=98>

მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.“²⁹

მტკიცებულების ავთენტიკურობა როგორც წესი, დგინდება:

„პირდაპირი მტკიცებულებით - მაგალითად, იმ პირის მიერ, ვისაც გააჩნია დოკუმენტის შესახებ პირადი ცოდნა. ვინც შექმნა, ვისთანაც ინახებოდა დოკუმენტი, ვინც დაინახა, როგორ და ვის მიერ იწერებოდა დოკუმენტი და სხვა. მათ შეუძლიათ ჩვენებით დაადასტურონ ავთენტიკურობა.

- მოწმე-ექსპერტის ჩვენებით;

- მოწმის ჩვენებით, რომელიც იცნობს ბრალდებულის ხელწერას. მისი ცოდნა შესაძლებელია ემყარებოდეს რამდენიმე გარემოებას: მან თავისი თვალთ ნახა, როგორ წერდა ამ დოკუმენტს ბრალდებული, მდივანი-რომელიც კარგად იცნობს თავისი უფროსის ხელწერას, ვინაიდან ყოველდღიური შეხება აქვს აღნიშნულთან; მეუღლე/მშობელი, რომელიც კარგად იცნობს მეუღლის/შვილის/მშობლის ხელწერას;

- სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით - მაგალითად, დოკუმენტების ექსპერტიზა, კალიგრაფიული ექსპერტიზა, მელნის ან/და გამოყენებული კომპიუტერული ტექნოლოგიის ანალიზი, ხანდაზმულობის, დოკუმენტის ტექსტზე მექანიკური ზემოქმედების კვალის (წაშლა, გადაწერა, ჩამატება და სხვა) და ა.შ არსებობის შემოწმება;

- ე.წ გარემოებითი მტკიცებულებებით - დოკუმენტის ავთენტიკურობის დადგენა იმ გარემოებებით, რომ ის მიღებული იქნა მისი ავტორისათვის გაგზავნილი წერილის/კომუნიკაციის საპასუხოდ; მასში მოცემულია ისეთი გარემოებები, რომლებიც, მაღალი ალბათობით, არ შეიძლება ყოფილიყო

²⁹ იქვე

ცნობილი მისი სავარაუდო ავტორის/ბრალდებულის გარდა, რომელიმე სხვა პირისათვის.

- თუ დოკუმენტი შესანახად არის გადაცემული/ინახება საჯარო დაწესებულებაში, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ასეთი დოკუმენტაციის შენახვის უფლება, მაშინ ამ დაწესებულებიდან ამ დოკუმენტის ოფიციალურად გამოთხოვით. მაგალითად, საჯარო რეესტრში ქონების შეძენის რეგისტრაციისას ხელშეკრულების დედნის ერთი ასლი ბარდება საჯარო რეესტრს, რომელიც მოგვიანებით შესაძლებელია გამოთხოვილი იქნას მხარის მიერ საქმეში არსებული დოკუმენტის ავთენტურობის დასადაგენად.³⁰

მტკიცებულების წარმომავლობის უტყუარობის ნიშნით ავთენტურობის დადგენას არ საჭიროებს ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც დამოწმებულია სახელმწიფო დაწესებულების თანამდებობის პირის ხელმოწერითა და ამ დაწესებულების ბეჭდით (მაგალითად, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი, გარდაცვალების მოწმობა და ა.შ). ასევე, ჟურნალები, გაზეთები, სავაჭრო ნიშანი, მარკა და სხვა ბეჭდვითი პუბლიკაციები და დოკუმენტები, რომლებზედაც დატანილია ლოგო ან სპეციალური შტრიხკოდი. შესაძლებელია, დადგეს ამგვარი დოკუმენტური მტკიცებულების შინაარსობრივი უტყუარობის საკითხი და მასში ასახული ინფორმაციის ან მასზე დატანილი რეკვიზიტების, ბეჭდისა და ხელმოწერის სიყალბის დადგენის შემთხვევაში ასეთი სახის დოკუმენტურმა მტკიცებულებამ, შესაძლოა, უკვე შეიძინოს ყალბი დოკუმენტის სტატუსი, იმავდროულად, ნივთიერი მტკიცებულების სტატუსი და დაექვემდებაროს შემდგომ სპეციალურ გამოკვლევას ექსპერტიზის სახით.

³⁰ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები“. „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“. თბილისი, 2015 წ., გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 277.

დოკუმენტების ამგვარი კლასიფიკაცია დოკუმენტურ მტკიცებულებებად და ნივთიერ მტკიცებულებებად გამოწვეულია მათი შენახვის განსხვავებული წესის არსებობითა და მათი შემდგომი ბედის გადაწყვეტის სამართლებრივი პროცედურებითაც.

დოკუმენტური მტკიცებულებების ცალკე კატეგორიად უნდა გამოვყოთ იმ სახის დოკუმენტები, რომლებიც შექმნილია საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებების შედეგად და შეიცავენ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ ინფორმაციას.

2.4 მტკიცებულებათა დასაშვებობა.

მტკიცებულება თავისი არსით გულისხმობს და მოიცავს მისი მოპოვებისა და საქმეზე დამაგრების, მხოლოდ კანონით დადგენილი და გაწერილი წესების განუხრელად დაცვით ჩატარებული პროცესუალური მოქმედებების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. კანონით დადგენილი წესების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ვერ გახდება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სხვა გზით ან კანონის მოთხოვნათა იგნორირებით მოპოვებული მტკიცებულება სასამართლო გამოკვლევაზე არ დაიშვება. სასამართლო განხილვისთვის საქმისა და შესაბამისად მტკიცებულებათა გადაცემის საკითხი წყდება წინა სასამართლო სხდომაზე და სწორედ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განსაზღვრავს და წყვეტს მტკიცებულებათა დასაშვებობა/დაუშვებლობის საკითხს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მიხედვით:

„1. არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება,

თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

2. მტკიცებულება, ასევე, დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.

3. ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.

4. მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ.

5. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

6. დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.³¹

როგორც განსახილველი ნორმის პირველი ნაწილიდან ირკვევა, მოსამართლის წინაშე გადასაწყვეტად დგება არა მხოლოდ მტკიცებულების კანონთან შესაბამისობაში მოპოვების საკითხის განსაზღვრა და შემოწმების აუცილებლობა, არამედ მის მიერ უნდა შეფასდეს რამდენად არსებითი იყო კანონის დარღვევის ხასიათი, რამდენად მნიშვნელოვანია მხარეთათვის თუნდაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოკვლევა, ხომ არ აუარესებს ამ შემთხვევაში ბრალდებულის მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს მისი სასამართლოსთვის გამოსაკვლევად გადაცემის საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ

³¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=98>

სასამართლო ჩათვლის, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისას არსებითად არ დარღვეულა კანონი, შესაბამისად, როგორც ეს მტკიცებულება, ისე ამ მტკიცებულების ანალიზისა და გამოკვლევის შედეგად მოპოვებული სხვა მტკიცებულებებიც ცნობილი იქნება დაშვებად, თუნდაც ასეთი აუარესებდეს ბრალდებულის მდგომარებას. ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება ე.წ „მოწამლული ხის“ პრინციპის გამოყენებას და მტკიცებულებაც გახდება მხარეთა მიერ შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვით გამოსაკვლევი.

მაგალითად, გამომძიებლის მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ოქმზე დატანილი იქნა თარიღი შეცდომით და 20 სექტემბრის ნაცვლად მითითებული იქნა 21 სექტემბერი. ადვოკატმა სასამართლოზე იშუამდგომლა აღნიშნულ ოქმის მტკიცებულებათა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ და აპელირება მოახდინა იმ გარემოებაზე, რომ ოქმზე დატანილ დღეს და საათებში იმავე გამომძიებლის მიერ ჩატარებული იყო სხვა საგამომძიებო მოქმედება, კერძოდ, გამოკითხული იყო მოწმე და, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა დათვალიერების ოქმის გაყალბებას. შესაბამისად დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი დათვალიერების ოქმით მოპოვებული და საქმეზე დართული სხვა დოკუმენტებიც და ამ დოკუმენტების საფუძველზე ჩატარებული კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნაც. ბრალდების მხარის არგუმენტი, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას ოქმზე, ამასთან, ოქმის შინაარსობრივი სისწორე დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებით და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირთა ჩვენებებითაც, გაზიარებული იქნა სასამართლოს მიერ და არ მოხდა აღნიშნული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა მისი შედგენისას დაშვებული შეცდომის არაარსებითი ხასიათის გამო.

სამართლის სფეროში ე.წ „მოწამლული ხის“ პრინციპის დამკვიდრება ანგლო-ამერიკული სამართლიდან იღებს სათავეს. „მოწამლული ხის ნაყოფი“,

როგორც სამართლებრივი ტერმინი დამკვიდრდა 1939 წლიდან და ის ეკუთვნის ა.შ.შ ფედერალური სასამართლოს მოსამართლეს ფელიქს ფრანკფურტერს. ამჟამად ა.შ.შ სამართალწარმოებაში მოქმედებს ეს პრინციპი, თუმცა სამართალწარმოებასა და სასამართლო პრაქტიკაში განვითარდა გამონაკლისები „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინისაგან“, რადგან: „ყოველთვის მარტივი არ არის უშუალო და შუალობით მტკიცებულებებს (ე.ი. ხესა და ნაყოფებს) შორის ურთიერთკავშირის დადგენა. სირთულეს წარმოადგენს განსაკუთრებით იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეუძლია კანონდარღვევით მოპოვებულ პირველად მტკიცებულებას (მოწამლულ ხეს) გამოიწვიოს სხვა მტკიცებულებების (ნაყოფების) დაუშვებლად ცნობა. არ იქნებოდა იმის მტკიცება მართებული, რომ კანონდარღვევით მოპოვებულმა მტკიცებულებებმა ყოველთვის უნდა დაბლოკოს მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებების დასაშვებობა და მტკიცებულებების ნაკლებობის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს აშკარად დამნაშავე პირის გასამართლების შესაძლებლობა. შესაბამისად, აშშ-ში „მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ არ არის აბსოლუტური ხასიათის და გააჩნია მთელი რიგი გამონაკლისები“.³²

ასეთ გამონაკლისებად ა.შ.შ საპროცესო სამართალი ასახელებს ოთხ ძირითად გამონაკლისს:

1. დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი (Independent source exception);
2. მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი (Inevitable discovery exception);
3. განწმენდილი/გამოსწორებული ნაკლის გამონაკლისი (purged taint exception);

³² „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები“. „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“. თბილისი, 2015 წ., გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 246.

4. კეთილსინდისიერების გამონაკლისი (good faith exception).

დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი თავად მოიცავს დასახელებაში განმარტებას, კერძოდ, როცა გამომძიებისას ორი სხვადასხვა ალტერნატიული წყაროდან, ორი სხვადასხვა საგამომძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებულია ანალოგიური მტკიცებულებები - ერთი კანონის დარღვევით, ხოლო მეორე კანონის მოთხოვნების დაცვით. მაგალითად: გამომძიებელმა მიმართა სასამართლოს განჩინების გამოთხოვნის შუამდგომლობით რათა დაედგინა და გადაემოწმებინა დაზარალებულის ჩვენება, თუ ვისთან ჰქონდა კონტაქტი დაზარალებულს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებამდე და მას შემდეგ. სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის შემდეგ, გამომძიებელს თავად წარმოუდგინა დაზარალებულმა საკუთარი მობილური ტელეფონის სააბონენტო ნომრიდან განხორციელებული შემაჯალი და გამაჯალი ზარების დეტალური ნუსხა. გამომძიებელმა განჩინებაში მითითებული ერთთვიანი ვადის დარღვევით მიმართა მობილური კავშირის ოპერატორს დაზარალებულის ნომრიდან შემაჯალი და გამაჯალი ზარების გამოთხოვის შედეგად. ხოლო ოპერატორიდან ინფორმაციის მიღების შემდეგ კანონის მოთხოვნათა დაცვით და დადგენილ ვადაში, ასევე, განჩინებით გამოითხოვა ნუსხაში დაფიქსირებულ კონკრეტულ აბონენტთა მფლობელების ვინაობის დასადგენად, ადგილმდებარეობისა და გადაადგილების მარშრუტის დადგენის მიზნით მომსახურე ანძების ადგილმდებარეობის ნუსხა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობს განჩინებით მიცემულ ვადის დარღვევით გამოთხოვილ ინფორმაციას და ნუსხას, ეს აპრიორი არ უნდა გახდეს სააბონენტო ნომრის მფლობელთა ვინაობისა და მომსახურე ანძების ადგილმდებარეობის დამდგენი ინფორმაციის გამოთხოვისა და მიღებული დოკუმენტების დაუშვებელ მტკიცებულებათა ცნობის გადაწყვეტილებისა, ვინაიდან ასეთი ინფორმაციის მიღება გამომძიებელს შეეძლო და განახორციელებდა კიდევ დაზარალებულის

მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დეტალური ნუსხის ამონაწერიდან გამომდინარე. ამდენად მაშინ, როდესაც უტყუარად დასტურდება, რომ გამოძიების ორგანოების ძალისხმევის შედეგად ასევე სხვა ლეგალური წყაროც იძლეოდა მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი.

მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი - გულისხმობს, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი მტკიცებულების დასაშვებობას ვერ შეზღუდავს მოწამლული ხის ნაყოფის დოქტრინა, თუკი იმავე მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო ასევე კანონიერი გზებითაც.

„მტკიცებულების დასაშვებობისთვის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კანონიერი გზით მისი აღმოჩენა დროის მოკლე მონაკვეთში დიდი ალბათობით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი და გარდუვალი. იმდენად მაღალი უნდა იყოს მტკიცებულების მოპოვების ალბათობა, რომ არსებულ სიტუაციაში მისი აღმოუჩენლობა ფაქტობრივად გამორიცხული უნდა იყოს. ამრიგად, ჰიპოთეტურად მტკიცებულება კანონიერი გზით მოკლე დროში ისედაც აღმოჩენილი იქნებოდა. ის, რომ მაღალი ალბათობით მტკიცებულება კანონიერი გზით იქნებოდა აღმოჩენილი, ბრალდების მხარემ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა დაამტკიცოს.“³³

მაგალითად, როდესაც ოპერატიული ინფორმაციითა და სხვა გარემოებით დასტურდება, რომ დამნაშავეს სარეალიზაციოდ გადააქვს საკუთარი ავტომობილის საბარგულით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი. პოლიციელების მიერ გაჩერებული იქნა დამნაშავე პირი, ხოლო

³³ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები“. „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“. თბილისი, 2015 წ., გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 247.

ავტომანქანის საბარგულის დათვალიერებისას ვერ იქნა აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება, რის შემდეგაც განხორციელდა ფიზიკური ძალის გამოყენებით დაკავებული პირისაგან სასურველი ინფორმაციის გამოძალვა, რის შედეგადაც მის მიერ ნარკოტიკების სამალავის ადგილად დასახელდა მძღოლის სავარძლის ქვეშ არსებული სივრცე, საიდანაც ნარკოტიკის ამოღება მოხდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. თავისთავად პოლიციელთა მხრიდან ცალსახად დაირღვა კანონი, რაც ცალკე კვალიფიკაციისა და სამართლებრივი შეფასების საკითხია, თუმცა ლოგიკური და გარდაუვალი იყო ძალადობით მიღებული ინფორმაციის გარეშე, რომ გაგრძელდებოდა ავტომანქანის სრული შესწავლა-დათვალიერება და წინა სავარძლის ქვეშ აღმოჩენილი იქნებოდა ნარკოტიკული საშუალება.

საათში ისევ გაათავისუფლეს. ჯეიმსი რამდენიმე დღეში საკუთარი ნებით გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში და ნებაყოფლობით მისცა აღიარებითი ჩვენება. მისი შემდგომი დაკითხვა კანონის სრული დაცვით განხორციელდა, მას განმარტა უფლებები (ე.წ. მირანდას წესები). მიუხედავად იმისა, რომ უკანონო ჩხრეკის დროს დაკავებული პირის აღიარებითი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი, ასეთი ჩვენების საფუძველზე აღმოჩენილი დანაშაულის ჩამდენი სხვა პირის ნებაყოფლობითი ჩვენება სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად აღიარა.

სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ნებაყოფლობით გამოცხადებული პირისთვის უფლებების განმარტების შედეგად უკანონო ჩხრეკასა და აღიარებით ჩვენებას შორის გაწყდა მიზეზობრიობის ჯაჭვი. ასევე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჩვენება ნებაყოფლობით იყო მიცემული და არ იყო დამოკიდებული პოლიციის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე. სასამართლოს მტკიცებით, ჩვენების მისაცემად სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებულ პირს საკმარისი დრო ჰქონდა, რომ გაეცნობიერებინა აღიარებითი ჩვენების შესაძლო შედეგები და ისე მიეღო გადაწყვეტილება.

კეთილსინდისიერების გამონაკლისის შემთხვევისას დასაშვებია კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, მიუხედავად იმისა, მოქმედებდნენ მტკიცებულების მოპოვებისას საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები განზრახ უკანონოდ თუ არა. აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევას საფუძველი ჩაეყარა 1984 მიღებულ ე.წ. „ლეონის“ გადაწყვეტილებაში.

გადაწყვეტილების თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება შესაძლოა, დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი, ვინაიდან პოლიცია კეთილსინდისიერად მოქმედებდა და ეჭვი არ ეპარებოდა სასამართლოს მიერ

გაცემული ჩხრეკის ნებართვის კანონიერებაში. მაშასადამე, მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ გაცემული ჩხრეკის ნებართვის გამოყენებით, დასაშვებია, თუ პოლიცია თავად კეთილსინდისიერად და ადეკვატურად მოქმედებდა. პოლიცია თავისი გადმოსახედიდან მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესებს იცავს. მათ არ უნდა მოვედავოთ სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის კანონიერებაზე, ვინაიდან,

„სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების ექვექვე დაყენება პოლიციის ამოცანას და ფუნქციას არ წამოადგენს. კეთილსინდისიერების გამონაკლისის საფუძველზე კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ შეცდომა დაშვებული უნდა ჰქონდეს არა საგამომიებო ორგანოების წარმომადგენლებს, არამედ მოსამართლეს ან სასამართლოს თანამშრომელს საგამომიებო მოქმედების განხორციელებაზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნული გამონაკლისი არ მოქმედებს, თუ პოლიცია საგამომიებო მოქმედების განსახორციელებლად ნებართვის მოპოვების მიზნით სასამართლოსთვის არასწორი მონაცემების მიწოდებით მას შეცდომაში შეიყვანს. იგი, ასევე, არ მოქმედებს მაშინაც, როდესაც საგამომიებო მოქმედების განხორციელების სასამართლო ნებართვის ხარვეზიანობა პოლიციისთვის აშკარად თვალშისაცემია.“³⁴

სამოხელეო დანაშაული და, ამ დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლო მოსაპოვებელ მტკიცებულებათა ბაზა მნიშვნელოვნად განსხვავდება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ან/და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიებისას მოსაპოვებელ მტკიცებულებათაგან, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახის მტკიცებულება მიმართული

³⁴ ჩომახაშვილი ქ. (ავტორთა კოლექტივი) მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი, 2016 წ., გვ. 54.

უნდა იქნას საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისკენ. „სისხლის სამართლის პროცესში ჭეშმარიტების დადგენა ნიშნავს შევიცნოთ წარსულის მოვლენა და ყოველი გარემოება ისე, როგორც ჰქონდა მას ადგილი სინამდვილეში, რა თქმა უნდა, თუ იგი ექვემდებარება აღდგენას.“³⁵

ამათან, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრების პროცესში კანონისა და პროცესუალურ ნორმებს განუხრელ დაცვას, ვინაიდან სამოხელეო დანაშაულის მამხილებელი მტკიცებულებები უნდა გამოირჩეოდნენ სანდოობის მაღალი ხარისხით. საგამომიებო უწყების მთავარი ამოცანა არა მხოლოდ დანაშაულში ცალკეულ საჯარო მოხელეთა მხილება და შემდგომი სისხლისამართლებრივი დევნა უნდა წარმოადგენდეს, არამედ მან ასევე უნდა იზრუნოს, რომ არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე და დაუსაბუთებელი ბრალდებისაგან არ მიადგეს ზიანი საჯარო სამსახურსა და სახელმწიფოს ინტერესებს, არ მოხდეს იმიჯის შელახვა და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ მოხელეთა დისკრედიტაცია. ამდენად, სსკ-ის 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაული ერთ-ერთ რთულად სამტკიცებელ და გამოსადიებელ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება.

³⁵ ლომსაძე მ. სისხლის სამართლის პროცესი (მეექვსე გამოცემა), თბილისი, 2016 წ., გვ. 83.

თავი III

პირდაპირი და ირიბი მტკიცებულების როლი სამართალწარმოებაში

ნებისმიერ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დამნაშავეს მიმართ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ლეგიტიმური ინტერესი არსებობს, რის თანმდევ შედეგადაც სამართლიანი სასჯელის დადება მოიაზრება. სასჯელის უმთავრეს მიზანს, სწორედ, დამნაშავეს გამოსწორება და შესაძლო პასუხისმგებლობის გამო ადამიანების მიერ დანაშაულის ჩადენის თავშეკავების იძულება-პრევენცია წარმოადგენს. ამავე დროს, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ სისხლისსამართლებრივმა დევნამ არ გამოიწვიოს უდანაშაულო პირის მსჯავრდება. უდანაშაულო პირის დამნაშავედ ცნობისა და მისი დასჯის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფომ ბრალდებულსა და დაცვის მხარეს განუსაზღვრა მთელი რიგი უფლებები. ამ უფლებების ძირითად კვაკუთხედს წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფცია და უტყუარ მტკიცებულებათა სტანდარტი, რომლებმაც ადამიანის დაუსაბუთებელი და მხოლოდ ეჭვზე დამყარებული დევნის შესაძლებლობები უნდა გამორიცხოვს.

როგორც დევნის დაწყების, ისე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისა და, შესაბამისად, სასჯელის განსაზღვრის უმთავრესი საფუძველია მტკიცებულება. სისხლის სამართლის პროცესში ტერმინის, „მტკიცებულების“ ცნებაში მოიაზრება ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ან ინფორმაციის მატარებელი საგანი, რომლის საშუალებით გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო და დაცვის მხარე ადგენს, ან გამორიცხავს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებსა და ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს. თავის მხრივ, მტკიცებულებები მათი მნიშვნელობიდან, უტყუარობიდან, შემხებლობიდან და შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად მათი

სამართლებრივი წონადობიდან გამომდინარე, იყოფა პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებად.

პირდაპირი სახის მტკიცებულებებად ითვლება ისეთი სახის მტკიცებულება, რომლის პირველწყაროც უშუალოდ მიუთითებს დამნაშავეზე ან დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებაზე. მაგალითად, დაზარალებულის ჩვენება, დანაშაულის თვითმხილველი მოწმის ჩვენება, დაზარალებულის სხეულზე (ში) აღმოჩენილი ბიოლოგიური მასალისა თუ დნმ-ის ექსპერტიზის დასკვნა, კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა და ა.შ

ირიბ მტკიცებულებად ითვლება მოწმის ირიბი ჩვენება და ისეთი გარემოების დამდგენი მტკიცებულება, რომელიც აჩენს ვარაუდის მაღალ სტანდარტს, რომ შესაძლოა, დანაშაული ჩაიდინა კონკრეტულმა პირმა.

ირიბი ჩვენება დასაბამს იღებს ბრიტანული სამართლიდან, რომელიც შეჯიბრებითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი პირველი განმახორციელებელია. ბრიტანულ სამართალსა და შემდგომ ინგლისურენოვან ქვეყნებში აღნიშნული ტერმინი მოიხსენიება, როგორც Hearsay ანუ მტკიცებულება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ზოგადად, ბრიტანული სამართალი ამ დოქტრინის ქვეშ ოთხ შემთხვევას მოაზრებს³⁶:

- მოწმის მიერ წერილობითი, ვიდეო ან აუდიო გადაღებით წარმოდგენილი ჩვენება არ დაიშვება ზეპირი ჩვენების მაგივრად;
- პირს არ აქვს უფლება მისცეს ჩვენება იმ ფაქტების გარშემო, რომელიც მას გაანდეს სხვა პირებმა;
- პირის მიერ ზეპირად მიცემული ჩვენება არ შეიძლება შეივსოს ან განივრცოს მის მიერ ადრე გაცხადებული ინფორმაციით;

³⁶ Spencer J.R. 'Hearsay Evidence In Criminal Proceedings' (Hart Publishing, 2008) 1.11.

- სადავო ფაქტი არ შეიძლება იქნას დამტკიცებული წერილობითი ჩანაწერით;

ეს ოთხი შემთხვევა წარმოადგენს ბრიტანული სამართლის ტრადიციების გამოვლინებას Hearsay-სთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოსთან მიმართებით და ამ ნაშრომის მიხედვით რელევანტურია მხოლოდ და მხოლოდ მეორე შემთხვევა, როცა ერთი პირი ავრცელებს სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. შესაბამისად, კონცენტრაციას მოვახდენთ მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაზე და მის გარშემო წარმოვადგენთ სამართლებრივ სივრცეში არსებულ სხვადასხვა მოსაზრებას.

ზოგადად, სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გადმოცემა, მიიჩნევა დაუშვებელ მტკიცებულებად. ამ მიდგომის მთავარი საზრისია პროცესის ჯეროვნად გამართვის უზრუნველყოფა. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადად, ემყარება იმ მიდგომას, რომ მაქსიმალურად შეჯიბრებით გარემოში წარმართოს პროცესი და მხარეებს ჰქონდეთ სამართლიანი ასპარეზის შესაძლებლობა. ამ პირობებში ირიბი ჩვენების აკრძალვა მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ მხარეებს არ მოესპოთ შეჯიბრებითობის შესაძლებლობა.³⁷

თუმცა, ამ პრინციპის უზრუნველყოფის პარალელურად, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ჯერემი ბენტამმა განავითარა მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ყველა მტკიცებულება უნდა იქნას გამოყენებული, რომელიც ეხმარება მოსამართლეს სიმართლის დამტკიცებაში და რომელიც ლოგიკურად რელევანტურია საქმის გარშემო. ამ წესიდან უნდა იქნას დადგენილი შესაბამისი გამონაკლისები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმგვარი მტკიცებულებების პროცესიდან გამოცალკევების შესაძლებლობას, რომლებიც იწვევენ ხარჯებს, დროის დანაკარგს ან სადავონი არიან შინაარსით.

³⁷ Spencer J.R. 'Hearsay Evidence In Criminal Proceedings' (Hart Publishing, 2008) 5.1

შესაბამისად, ზოგადი მიდგომა განვითარდა სამართლებრივ სივრცეში, რომლის მიხედვითაც, პირთა პასუხისმგებლობის დაკისრებისას უნდა იქნას გამოყენებული ყველა მტკიცებულება, გარდა იმათი, რომლებიც სამართლიანი პროცესის მიზნებს ეწინააღმდეგებიან.

ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან მიმართებით ძირითადად სამი მიდგომა არის დადგენილი. პირველი მიმართულება, მხარს უჭერს იმ მიდგომას, რომ ირიბი ჩვენება უნდა იყოს სრულიად დაუშვებელი და მისი გამოყენება უნდა აიკრძალოს.³⁸ მეორე მიდგომაც მხარს უჭერს ირიბი ჩვენების აკრძალვას, მაგრამ „ამავდროულად, მოითხოვს გამონაკლისების მკაფიო იდენტიფიცირებას და წარმოდგენას.“³⁹ ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, არსებობს, ასევე, განსხვავებული მიდგომა, რომელიც მოითხოვს ირიბი ჩვენების დასაშვებობას, ზოგადად, და პირიქით, დაუშვებლობის პირობების იდენტიფიცირებას.⁴⁰

ზემოაღნიშნული მსჯელობა, რომელიც შეეხება ირიბ ჩვენებას, რელევანტურია ზოგადად ანგლოსაქსური ტიპის პროცესის მიმართ, რომელიც შეჯიბრებითობას აღიარებს, თუმცა, აღნიშნულის პარალელურად, კონტინენტურ ევროპულ სამართალში მოქმედებს ე.წ. „პირდაპირობის პრინციპი“, რომლის მიხედვითაც მოწმის მიერ მიცემული ჩვენება უნდა იქნას წარმოდგენილი პირადად სასამართლო სხდომაზე და არ უნდა მოხდეს აღნიშნულის ჩანაცვლება წერილობითი დოკუმენტებით ან ოქმებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროცესზე პერსონალური გამოცხადება შეუძლებელია სხვადასხვა მიზეზთა გამო. ამ წესის მოქმედება, ზოგადად, მოიცავს სასამართლო განხილვას, მაგრამ „ამავდროულად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ კონტინენტურ ევროპული სამართლის ქვეყნები

³⁸ Archbold, 'Criminal Pleading, Evidence and Practice' (Sweet & Maxwell, 2007).

³⁹ Wigmore, 'A Treatise on the System of Evidence in Trials at Common Law' (3rd edn, Boston, Little Brown and Co, 1940).

⁴⁰ James B. Thayer, 'The Present and Future of the Law of Evidence' (1898) 3 Harvard Law Review, 285.

იყენებენ ე.წ. სისხლის სამართლის საქმის მასალებს (dossier), რომელიც მოსამართლეს მთლიანად გადაეცემა, ეცნობა მას და მისი მხედველობაში მიღებით ახდენს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.⁴¹ აქედან გამომდინარე, მხოლოდ პირდაპირობის პრინციპი სრულად და ამომწურავად ვერ მოახდენს იმ მიზნის მიღწევის უზრუნველყოფას რადგან ეს ირიბი ჩვენების აკრძალვით ან მისი მნიშვნელობის იგნორირებით შეუძლებელი იქნებოდა.

1997 წელს ინგლისსა და უელსში ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებული საკითხები სამართლის სპეციალური კომისიის განხილვის საგანი გახდა. კომისიის მოსაზრებით, „ირიბი ჩვენების წესის“ თეორიული არსი არის ის, რომ იგი იცავს ნაფიც მსაჯულებს ისეთი მტკიცებულების ნახვის ანდა მოსმენისაგან, რომელიც პოტენციურად შეიძლება, ტყუილი იყოს, ან სიმართლეს არ შეესაბამებოდეს. იქიდან გამომდინარე, რომ ირიბი ჩვენება არ ემყარება ფიცს და არც პირველწყაროს ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა არსებობს, შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, რამდენად არის მოწოდებული ინფორმაცია სიმართლე. კომისიამ განიხილა მოსაზრება, რომ ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება, არ არის „საუკეთესო მტკიცებულება“, რომელზე დაყრდნობაც არის შესაძლებელი. კომისიამ ეს მოსაზრება შეაფასა და მივიდა დასკვნამდე, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისების გათვალისწინებით, ხანდახან შესაძლებელია, სწორედ ასეთი მტკიცებულება წარმოადგენდეს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ერთადერთ ხელმისაწვდომ მტკიცებულებას.⁴²

ასევე, აღინიშნა, რომ, თუ ნებისმიერი ტიპის ირიბი ჩვენება არ შეიძლებოდა ყოფილიყო „საუკეთესო“ მტკიცებულება კონკრეტული

⁴¹ Spencer J.R. Evidence in Mireille Delmas-Marty, J.R. Spencer (eds) 'European Criminal Procedures' (CUP, 2005) 620

⁴² იმნაძე გ. „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი“ თბილისი, 2015 წ., - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, გვ. 6

საქმისთვის, მოსამართლეები და კანონმდებელი არ დასთანხმდებოდნენ მისი დასაშვებობის გამონაკლის პირობებს. შესაბამისად, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლეებმა და კანონმდებელმა სწორედ იმ გააზრებით შექმნეს ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისები, რომ ზოგჯერ, სწორედ ასეთი ჩვენებაა ერთადერთი და საუკეთესო ხელმისაწვდომი მტკიცებულება. კომისიამ, ამავდროულად, განიხილა ირიბი ჩვენების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები. ამ კუთხით, საყურადღებო იყო შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარე ეყრდნობოდა ირიბ ჩვენებას, რომლის მიხედვითაც, დანაშაული არა ბრალდებულმა, არამედ სხვა პირმა ჩაიდინა ასეთ დროს, შესაძლებელი იყო დამანაშავის გათავისუფლება, რადგან ირიბი ჩვენების გამოყენებით ბრალდებული გონივრულ ეჭვს შეუქმნიდა ნაფიც მსაჯულებს, რომ დანაშაული სხვა პირმა ჩაიდინა, თუმცა, კომისიამ მიიჩნია, რომ ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ირიბი ჩვენების დასაშვებობის შეზღუდვით. კომისიამ განიხილა ირიბი ჩვენების წესის ლიბერალიზაციის საწინააღმდეგო კიდევ ერთი არგუმენტი - ბრალდებულს აქვს უფლება, დაკითხოს მოწმე, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას. არგუმენტის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ უფრო ადვილია მოიტყუო ადამიანის ზურგს უკან, ვიდრე მის პირისპირ. აღნიშნულზე დაყრდნობით, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ერთადერთი გამოყენებადი არგუმენტი, რომელიც ირიბ ჩვენებას სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, ნაკლებად დამარწმუნებლად აქცევს, არის ის, რომ ვერ ხერხდება ინფორმაციის მომწოდებლის ჯვარედინი წესით დაკითხვა.⁴³

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების მიდგომებში ხასგასასმელია შემდეგი ფაქტორიც: „გაერთიანებულ სამეფოში, ზოგადი წესის თანახმად, ირიბი ჩვენება მტკიცებულებად არ დაიშვება, თუ

⁴³ იმნაძე გ. „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი“. თბილისი, 2015 წ., ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. გვ. 6-7.

საერთო სამართლის დებულებებით სხვაგვარად არ არის დადგენილი. ამასთან, მოქმედებს სამი ძირითადი პრინციპი: 1) მოსამართლეს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, საქმიდან ამოიღოს ნებისმიერი მტკიცებულება, თუ ჭეშმარიტების დადგენაზე მისი ზიანის მომტანი ეფექტი გადაწონის მის სამართლებრივ (მტკიცებულებით) ღირებულებას; 2) იმ შემთხვევაშიც კი, თუ ირიბი ჩვენება დაშვებული იქნება და მოისმენენ მას, მოსამართლე საბოლოო შეფასებისას ვალდებულია გააფრთხილოს მსაჯულები იმ საფრთხეების შესახებ, რაც შეიძლება გამოიწვიოს ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობამ. 3) მსაჯულებმა ბრალდებულის ბრალეულობის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინონ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის წესი, მათ შორის, აღნიშნულ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს ირიბი ჩვენებებით წარმოქმნილი მტკიცებითი ხარისხიც.⁴⁴

2003 წლის სისხლის სამართლის აქტმა (Criminal Justice Act 2003) განსაზღვრა რიგი გამონაკლისებისა ირიბი ჩვენების მტკიცებულებად დაშვების თაობაზე იგი. ძალაში შევიდა 2005 წლის 4 აპრილს და ვრცელდება მოცემული თარიღიდან წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. აქტი განსაზღვრავს იმ საკანონმდებლო საფუძვლებს, რომლებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც, ირიბი ჩვენება შეიძლება დაშვებული იყოს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებად. ასეთი საფუძვლებია: 1. აღნიშნული აქტით და ზოგადად კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევები. 2. პროცესის ყველა მხარის თანხმობა მტკიცებულების დასაშვებობაზე; 3. სასამართლოს დასკვნა, რომ აღნიშნული მტკიცებულების დაშვება შედის მართლმსაჯულების ინტერესში. კანონმდებლობით, აგრეთვე, დადგენილია, რომ მტკიცებულებების მართლმსაჯულებისთვის სარგებლიანობის საკითხის

⁴⁴ Relevant Domestic Law and Practise- Common Law Principles relevant to both cases/ Al-Khawaja and Tahery v United Kingdom; Judgment 15.12.2011

გადაწყვეტისას, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები: რამდენად აქვს ჩვენებას მტკიცებულებითი მნიშვნელობა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ან რამდენად ღირებულია იგი სხვა მტკიცებულების გაგებისთვის; სხვა რომელი მტკიცებულება არსებობს, ან შეიძლება არსებობდეს ამ საკითხთან დაკავშირებით; რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქმისთვის ხსენებული მტკიცებულება; გარემოებები, რომელშიც ჩვენება იქნა მიცემული; რამდენად სანდო ჩანს ჩვენების მიმცემი პირი; რამდენად სარწმუნოა თავად ჩვენება, რომელიც ამ პირმა მისცა; შეიძლება თუ არა პირდაპირი ჩვენების მიცემა (პირდაპირი მტკიცებულების წარმოდგენა სასამართლოზე) და, თუ არ შეიძლება, რატომ; რა სირთულეები იყო ჩვენების მიცემისას; რამდენად შესაძლებელია, რომ ამ სირთულეებს ემოქმედა წინასწარი აზრის შექმნაზე. ირიბი ჩვენების დასაშვებობის წესები, აგრეთვე, ვრცელდება გამოქვეყნებულ ისტორიულ თუ სამეცნიერო ნაშრომებზე, რომლებიც ეხება საჯარო ხასიათის ინფორმაციას; საჯარო დოკუმენტაციას (როგორიცაა საჯარო რეესტრის, სახელმწიფო ორგანოების პერიოდული ანგარიშების მონაცემები); სასამართლო სხდომის, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოსა თუ კომისიის სხდომების ოქმებს და სხვა.⁴⁵

ბრიტანული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ირიბი ჩვენება დაიშვება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: 1) დასაშვებ მტკიცებულებადაა ცნობილი პირდაპირი ჩვენება, რომელსაც ირიბი ჩვენება ეფუძნება; 2) ჩვენების მიმცემი პირი მისი ავტორიტეტისა და სხვა გარემოებების ერთობლიობით სასამართლოს მიერ მიჩნეულია სანდოდ. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს სასამართლოზე არდასწრების გამომწვევი ხუთი გარემოებიდან ერთ-ერთი მაინც:

⁴⁵ იმნაძე გ. „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი“ თბილისი 2015 წ. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. გვ 8.

1) დადგენილი პირის გარდაცვალების ფაქტი;

2) დადგენილი ფსიქიკური ან ფიზიკური მდგომარეობის გარემოება, რომელიც რომლის მიხედვითაც შეუძლებელია მოწმის გამოცხადება სასამართლოზე;

3) დადგენილი უნდა იყოს პირის მიერ ქვეყნის საზღვრების დატოვების ფაქტი, და მისი გამოცხადებისა და დასწრების უზრუნველყოფის შეუძლებლობა;

4) თუ ამოწურულია ყველა გონივრული მცდელობა პირის ადგილსაყოფელის დადგენის და მისი წარმოდგენის მიზნით;

5) დადგენილი შიშის ფაქტორი, რის გამოც პირი უარს აცხადებს სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემაზე;

სამართლის აქტის მიხედვით, ერთი ირიბი ჩვენებით მეორე ირიბი ჩვენების დადასტურება დაუშვებელია. თუმცა, აქტი ამ შემთხვევაშიც აკეთებს დათქმას, კერძოდ: ასეთი ირიბი ჩვენებები დასაშვებია, თუ მხარეები თანხმდებიან მათ დასაშვებობაზე ან/და ირიბი მტკიცებულებების ღირებულება და წონადობა იმდენად მაღალია, რომ მათი განხილვა პირდაპირ შედის მართლმსაჯულების ინტერესებში.

სასამართლოს განმარტებით, ირიბი ჩვენების დასაშვებობის ნებისმიერი პირობის არსებობისას, მოსამართლემ მაინც უნდა შეამოწმოს შემდეგი სამი გარემოება: „1) საქმისთვის ამ მტკიცებულების მნიშვნელობა; 2) რისკები, რომლებიც ამ მტკიცებულების ნაკლებ სანდოობას უკავშირდება და 3)რამდენად არის შესაძლებელი პირველადი მოწმის სანდოობის გადამოწმება. სასამართლომ დაადგინა, რომ ირიბი ჩვენება ავტომატურად დაუშვებელი მტკიცებულება არაა, თუმცა კანონით განსაზღვრული დასაშვებობის გამონაკლისი პირობების არსებობის შემთხვევებშიც, სასამართლომ უნდა

შეაფასოს კონკრეტული მტკიცებულება ზემოაღნიშნული სამი მიმართულებით“.⁴⁶

როგორც ვხედავთ, საბოლოოდ, ვერც დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების სისტემამ ვერ აუარა გვერდი ირიბი მტკიცებულებების მნიშვნელობას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პროცესში.

უფრო ვრცლად, შედარებისთვის, სხვადასხვა ქვეყნების სასამართლოების მიდგომას ირიბ მტკიცებულებებთან მიმართებაში ქვემოთ მიმოვიხილავთ.

ჩვენი ნაშრომის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ ირიბი მტკიცებულებების როლსა და მნიშვნელობაზე სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით, როგორცაა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადამეტება, ვინაიდან ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვებისას, მათი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ირიბ მტკიცებულებებსა და მათ შეფასებას საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

ირიბ მტკიცებულებასთან მიმართებით დადგენილი პრაქტიკის გადახედვის საჭიროება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ გამოიწვია: „არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის

⁴⁶ იმნაძე.გ „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი“ -თბილისი 2015 წ. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. გვ 10.

ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.⁴⁷

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლომ ირიბ მტკიცებულებებზე დაყრდნობით პირის ბრალეულობის დადგენისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შესაძლებლობა გამოიყენა, რასაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მტკიცებულებებთან მიმართებით გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები მოჰყვა და იურისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად: „ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.“⁴⁸ მაგალითად, მოწმის ჩვენება, რომელიც მიუთითებს, რომ დანაშაულის ჩადენისთანავე შეიტყო დაზარალებულისაგან დამნაშავის ვინაობის ან დანაშაულის სხვა გარემოების შესახებ; სატელეფონო ზარების დეტალური ნუსხა; სატელეფონო ოპერატორის ქსელში ჩართული აბონენტის გადაადგილების განმსაზღვრელი ანძების განლაგების შესახებ დოკუმენტი და ა.შ

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ირიბი მტკიცებულება ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირ

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/1/548 2015 წლის 22 იანვარი. ქ. ბათუმი

⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მტკიცებულებადაც. მაგალითად, მკვლელობის იარაღზე (დანაზე) აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი ან ბიოლოგიური მასალა, რომლითაც მოხდა პირის იდენტიფიცირება, არის პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ სწორედ ამ პირს ეჭირა დანა, მაგრამ ამ პირმა ჩაიდინა თუ არა მკვლელობა, ერთმიშვნელოვნად ამის დასადასტურებლად იგი საკმარისი არ არის და ჩაითვლება ირიბ მტკიცებულებად.

ირიბი ჩვენების გამოყენების პრაქტიკას, სხვა მტკიცებულებებისგან განსხვავებით, ქართულ კანონმდებლობაში არ აქვს ხანგრძლივი ისტორია და ის უკავშირდება სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებას. ირიბი ჩვენების განმარტებას მინიმალური ცვლილებაც არ განუცდია და ის დღესაც იმ ფორმით არის გადმოცემული საპროცესო კოდექსში, როგორსაც კოდექსის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მისი დასაშვებობისა და გამოყენების წესების განმსაზღვრელ ნორმებში.

ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და გამოყენების, ჩვენების შემოწმების შესაძლებლობა განიხილება ორ შემთხვევაში: წინასასამართლო სხდომაზე, სადაც მოწმდება ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს თუ არა ინფორმაციის წყაროს, მიუთითებს თუ არა პირი წყაროს მაიდენტიფიცირებელ გარემოებებზე და წყდება მისი დასაშვებობის საკითხი და მეორე-საქმის არსებითად განხილვისას მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს.

საპროცესო კანონმდებლობაში ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებული მიდგომა არის სიახლე და წარმოადგენს საკმაოდ მაღალ სტანდარტს ჩვენების უტყუარობისა და ავთენტურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე რეალურად ვერ მოახდენს წყაროს იდენტიფიცირებას და მისი ნამდვილობის გადამოწმებას, ამდენად, იგი ამოწმებს მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერების საკითხს

და მხარის შუამდგომლობის შემთხვევაში მსჯელობს მისი დასაშვებობის კრიტერიუმებზე.

ირიბი ჩვენების წონადობის და რელევანტურობის შემოწმება რეალურად მხოლოდ საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისას ხდება და ამ დროს მოწმდება მისი შემხებლობა სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით: „სასამართლოში არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.“⁴⁹

გურამ იმნაძის მოსაზრებით: „კანონის აღნიშნული ჩანაწერიც გარკვეულწილად ბუნდოვანია. კერძოდ, გაურკვეველია, რამდენად სრულად უნდა დასტურდებოდეს ირიბი ჩვენება, საჭიროა თუ არა, მასში მოყვანილი ყველა ფაქტობრივი გარემოება ინდივიდუალურად დასტურდებოდეს სხვა მტკიცებულებით (რომელიც არ იქნება ირიბი ჩვენება), თუ ჩვენების ზოგადი შინაარსის დადასტურებაც საკმარისია მისი ვარგისად მიჩნევისათვის. შეუძლია თუ არა მოსამართლეს ავტონომიურად ამ საკითხის გადაწყვეტა, თუ აღნიშნული საფუძვლით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისთვისაც, აუცილებელია მხარის შუამდგომლობა. ამავდროულად, პასუხგაუცემელია, რა ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ირიბ ჩვენებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების ნაწილი გამყარებულია სხვა მტკიცებულებებით, ნაწილი კი - არა. ასეთი ვითარების წარმოქმნა მთლიანად ირიბი ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველია, თუ მხოლოდ ნაწილის?“⁵⁰

აღნიშნულ კითხვებზე ამომწურავ პასუხს სამწუხაროდ ვერც სასამართლო პრაქტიკის ანალიზი იძლევა. კერძოდ, ირიბი ჩვენებების გამოყენება და მათი შეფასება ყოველ საქმეზე ინდივიდუალური მიდგომით და მოსამართლეთა

⁴⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

⁵⁰ იმნაძე გ. „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი“, 2015 წ., ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. გვ. 23.

შინაგანი რწმენით ხდება, მათი დასაშვებობა გამოყენების საკითხი ძირითადად მხარეთა შეჯიბრობითობისა პრინციპით აიხსნება და, თუ მხარე პირდაპირ არ შუამდგომლობს, მათ ამორიცხვას მტკიცებულებათა ნუსხიდან, ასეთი სახის ჩვენება ავტომატურად გადადის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გამოკვლევისათვის. სასამართლოს აღნიშნული პრაქტიკა განპირობებულია, ძირითადად, იმ მოსაზრებით, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ფუნქციონალურად ვერ შედის ირიბ მტკიცებულებათა სიღრმისეულ გამოკვლევაში და მხოლოდ არსებითი სხდომის მოსამართლეა ვალდებული გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს, გაიზიაროს ან უკუაგდოს ირიბი ჩვენებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაშიც გამოიყენება ორი ტერმინი: ირიბი მტკიცებულება და ირიბი ჩვენება. გარკვეულ მეცნიერთა აზრით, უფრო გამართული იქნებოდა ამგვარ მტკიცებულებათათვის ტერმინი - არაპირდაპირი მტკიცებულება დამკვიდრებულიყო, რაც არც თუ უსაფუძვლო მოსაზრებაა და გარკვეულწილად ამ მოსაზრებას მეც ვეთანხმები. არაპირდაპირი, ანუ ირიბი ჩვენება არაპირდაპირი მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა და არა ერთადერთი, რაც სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის მიხედვითაც აღიარებულია.

სსსკ-ის 2013 წლის 14 ივნისამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით: „ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.“ იმავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, „ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ ინფორმაციის წყაროს მითითებით.“ ძველი საპროცესო კოდექსის მიხედვით, ფაქტიურად, დაუშვებელი მტკიცებულება ხდებოდა იმ მოწმის ჩვენება, რომელიც, მაგალითად, მოისმენდა მეზობლად მცხოვრები ოჯახიდან გამოსული კონფლიქტის ხმას ოჯახური ძალადობისას და თუ ის ვერ

გაარჩევდა ზუსტად, თუ ვის ეკუთვნოდა ეს „ყვირილის“ ხმა, ანუ ვერ დაასახელებდა წყაროს და, იმავდროულად, თავისთავად, ის ვერ იქნებოდა შემდგარი ძალადობის თვითმხილველიც. სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილით, „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება უნდა დადასტურებულიყო მტკიცებულებათა ერთობლიობით. აღნიშნული მოწმის ჩვენება გასაზიარებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი დადასტურდებოდა სხვა მტკიცებულებით. აქვე ჩნდებოდა კითხვა, თუ რა სახის მტკიცებულებით გახდებოდა შესაძლებელი მისი დადასტურება? შესაძლებელი იყო თუ არა სხვა ირიბი ჩვენებით დადასტურება, ან ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი მტკიცებულების გამოყენება აღნიშნულის დასადასტურებლად?

აღნიშნული ბუნდოვანება, თითქოს, აღმოიფხვრა სსსკ-ში 2013 წლის 14 ივნისს შეტანილი ცვლილებებით, რომლის მიხედვით: „ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.“ აგრეთვე, „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.“⁵¹

მოცემული ნორმით, კანონმდებელმა განმარტა, რომ ირიბი ჩვენების დასადასტურებლად შეუძლებელია გამოყენებულ იქნას ირიბი ჩვენება, მაგრამ უწინდებურად ძალაში დარჩა კითხვა - სხვა სახის არაპირდაპირ მტკიცებულებებთან მიმართებაში. მაგალითად, შესაძლებელია თუ არა სატელევიზიო კომენტარის ჩანაწერის, საბუღალტრო ჩანაწერის, ხელნაწერის, ცნობა მეტეოროლოგიური სამსახურიდან ან სამედიცინო დაწესებულებიდან, საბანკო ჩეკი ან თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი,

⁵¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

სატელეფონო საუბრების შესახებ ანგარიში და ამონაწერი მომსახურე ანძების მითითებით გახდეს იმ სახის არაპირდაპირი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა. აღსანიშნავია, რომ ირიბ ჩვენების, როგორც მტკიცებულების დასაშვებობის საგამონაკლისო პრაქტიკას, იცნობს ა.შ.შ სასამართლო სისტემა და გარკვეულ კრიტერიუმებსაც ადგენს, თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

საგულისხმოა, ირიბ ჩვენებასთან მიმართებით საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციის, იგივე „სიფა“-ს კვლევების შედეგებიც. კერძოდ: „საკონსტიტუციო სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ მის გადაწყვეტილებას გარკვეული განსხვავებული ინტერპრეტაციები მოჰყვა, რეალურად, აკრძალა ირიბი ჩვენების გამოყენება ბრალდების დადგენილებისა და განაჩენის დასაბუთებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ სახელმწიფომ დაიწყო გარკვეული აქტივობა ირიბი ჩვენების დასაშვებობის დეტალური კრიტერიუმების ჩამოსაყალიბებლად, თუმცა, შესაბამისი ცვლილება სსსკ-ში ასახული არ არის.“ სიფა -ს მიერ შესწავლილი სასამართლო პრაქტიკის, მისი არაერთგვაროვნების გამო, ორგანიზაციის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციაც: „მიეცეს რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, დროულად განხორციელდეს უკვე მომზადებული კანონპროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში, რათა საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ირიბი ჩვენებისა და მისი დაუშვებლობის განსაზღვრა, აღნიშნული კი ხელს შეუწყობს ნორმების განჭვრეტადობას და თავიდან აგვაცილებს არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას.“⁵²

⁵² კვაჭანტირაძე დ. (ავტორთა კოლექტივი) „მტკიცებულებებთან დაკავშირებული პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის კუთხით“ (კვლევა . თბილისი, 2018 წ., გვ. 29).

ირიბი ჩვენების გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ, ასევე ჩაატარა კვლევა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურომ, რომლის რეკომენდაციის მიხედვით: „საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეიმუშაოს მკაფიო წესები მტკიცებულებებთან დაკავშირებით. ეს მოიცავს ინფორმაციას, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება მოწმის ჯვარედინი დაკითხვისას და იმას, თუ როგორ უნდა იქნას ეს ინფორმაცია გამოყენებული.“⁵³

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N 1/1/548 გადაწყვეტილების შესახებ გერმანიის მსოფლიო საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ჰანს-იორგ ალბრეხტის მოსაზრება. მის, როგორც ექსპერტის წინაშე დაისვა ორი საკითხი: „პირველი, როგორ გადაწყდებოდა გერმანული კონსტიტუციური სამართლით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არსებული საკითხები? და მეორე, თუ არსებობს გარკვეული ეჭვები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციაში?“⁵⁴

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სამართლის სისტემა აღიარებს საქმის გარემოებების გამოკვლევის აბსოლუტურობის ხასიათს. აქედან გამომდინარე, სასამართლოსთვის საერთო სურათის შესაქმნელად მნიშვნელოვანია თითოეული სამხილი, იქნება ეს არსებითი ინფორმაციის მატარებელი, თუ ნაკლებად წონადი ხასიათის, ამდენად, ჰანს-იორგ ალბრეხტის შეხედულების მიხედვით: „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განასხვავებს პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს. ირიბი ჩვენების მიმცემი მოწმეც (ყურმოკრული) მიიჩნევა პირდაპირ

⁵³ ჩომახაშვილი ქ.; თომაშვილი თ.; ძეგნიაური გ.; ოსეფაშვილი ს.; პატარიძე მ. მტკიცებულებები სს პროცესში; პატარიძე (პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისათვის) - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. თბ. 2016 წ. გვ.77.

⁵⁴ პროფესორ ჰანს-იორგ ალბრეხტის შეხედულება. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/albrexti.pdf>

მტკიცებულებად, რამეთუ ეს მოწმე, როგორც წესი, ჰყვება სხვა პირთან საუბრის შინაარსს და იძლევა (პირდაპირი) ჩვენებას, თუ რაზე ესაუბრა ამ პირს და რა განუცხადა მას ამ უკანასკნელმა. სასამართლო უნდა დარწმუნდეს ბრალდებულის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაში სასამართლოს მთავარი სხდომის ერთობლიობის საფუძველზე. სასამართლო თავისუფალია მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საკითხში. არ არსებობს სხვადასხვა მტკიცებულების შეფასებისა, ან თანმიმდევრობის კანონისმიერი დებულებები. ამის მიუხედავად, სასამართლომ უნდა განიხილოს ყველა ის გარემოება, რომლებიც გადამწყვეტია მტკიცებულებათა შესაფასებლად (უტყუარობა, სარწმუნოობა). ის გარემოებები, რომლებიც მეტყველებს მოწმეთა ჩვენებების უტყუარობასა თუ არაუტყუარობაზე, უნდა იქნას მოშველიებული სამოტივაციო ნაწილში. მსგავსი მსჯელობის არარასებობა სამოტივაციო ნაწილში განაპირობებს სასამართლოს შეცდომასა და, შესაბამისად, არის ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.“⁵⁵

პროფესორ ჰანს-იორგ ალბრეხტის, გერმანიის უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებებით, საბოლოოდ, ირიბი ჩვენებების დაშვებასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დადებითი პოზიცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ის დადასტურებადია სხვა სახის მტკიცებულებებითა და სამხილებით და „სავალდებულო არაა სასამართლოს მთავარ სხდომაზე ირიბი მტკიცებულებების შემოტანის კანონისმიერი აკრძალვა. ამგვარად, გასაგებია, რომ აბსტრაქტული კითხვა, კერძოდ: გამოყენებადია თუ არა ირიბი მტკიცებულებები? სხვაგვარად გადაწყდებოდა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გერმანიის ფედერალურ

⁵⁵ პროფესორ ჰანს-იორგ ალბრეხტის შეხედულება. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/albrexti.pdf>

საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ირიბი ჩვენების მიმართ არანაირი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ექვი, რომელიც განაპირობებს კანონისმიერ აკრძალვას.⁵⁶

ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ირიბ მტკიცებულებათა ფილტრს მათი დაუშვებლობის ასპექტში წინასასამართლო სხდომა წარმოადგენს. მხარეები წინასასამართლო სხდომაზე წარადგენენ მტკიცებულებათა ნუსხას, რომელსაც ამტკიცებს სასამართლო, რაც ავტომატურად მხარეს საშუალებას აძლევს მტკიცებულებათა ნუსხაში არსებული მტკიცებულებები საკუთარი შეხედულებისა და სტრატეგიის მიხედვით, გამოიკვლიოს საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე. გამოიკვლიოს სრულად, ან მოხსნას მტკიცებულებათა ნაწილი. თითოეული მტკიცებულების, მტკიცებულებათა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ (მნიშვნელობა არ აქვს იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი მტკიცებულება) მხარე აყენებს შუამდგომლობას, რომელიც განიხილება მხარეთა მონაწილეობით და ხდება მისი სასამართლოს მიერ რევიზირება კანონიერი გზით მოპოვების, ავთენტიკურობისა და რელევანტურობის კუთხით. მტკიცებულებათა ნუსხიდან მტკიცებულებათა ამორიცხვის შემდეგ, თუკი აღარ რჩება საქმეში საკმარისი მტკიცებულების ერთობლიობა, სასამართლო უფლებამოსილია შეწყვიტოს საქმე და არ გადასცეს იგი არსებითად განსახილველად. ირიბ ჩვენებასთან მიმართებაში, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მის გამოყენებასთან დაკავშირებით მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების, ჩხრეკა-ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების და საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საპროცესო/საგამომიებო მოქმედების ჩატარებაზე სასამართლოს ნებართვის გამოთხოვისას, საგამომიებო ვერსიების შემოწმების, ახალი მტკიცებულებების მოძიების, ექსპერტიზის დანიშვნის,

⁵⁶ პროფესორ ჰანს-იორგ ალბრეხტის შეხედულება. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/albrexti.pdf>

საგამოძიებო ექსპერიმენტის, ნიმუშის აღების და სხვა მიზნებისათვის შეზღუდვა არ არსებობს. ანუ, ზოგადად, ირიბ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, შეიძლება ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და მიღებული შედეგების საქმეზე პროცესუალური დამაგრება. მაგალითად, მოწმემ დაკითხვისას აჩვენა, რომ მისი ინფორმაციით, რომლის წყაროსაც ზუსტად ვერ იხსენებს ბ.გ-ს მკვლელობის იარაღი, სავარაუდოდ, დამალული უნდა იყოს მისი საცხოვრებელი კორპუსის მეორე სადარბაზოს ერთ-ერთ სარდაფში. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი საქმეზე იქნება დართული, ისევე, როგორც იარაღზე ჩატარებული ექსპერტიზები და ის გარემოება, რომ მტკიცებულება მოპოვებულია ირიბი ჩვენების საფუძველზე, ვერ გახდება მათი დაუშვებლად ცნობის საფუძველი. იმავდროულად, ირიბი ჩვენების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც პირდაპირი სახის მტკიცებულება, ისე არაპირდაპირი.

ირიბ მტკიცებულებას, როგორც მტკიცებულებათა ერთობლიობის განმსაზღვრელ ფაქტორს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას. საქართველოს სისხლის სამართლის 332-333-ე მუხლებთან მიმართებაში პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევებში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ამგვარის ბოროტად გამოყენებისას, როგორც წესი, მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების მოპოვებაა შესაძლებელი და პირდაპირი მტკიცებულებების სიმრავლის წარდგენა თეორიულადაც კი შეუძლებელია. განსაკუთრებით კი, თუ დანაშაულს სჩადან მაღალი რანგის საჯარო მოხელეები ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები. მაგალითად, როცა მინისტრი დეპარტამენტის უფროსს ავალებს ფიზიკურად გაუსწორდეს მისდამი დაქვემდებარებული დანაყოფის თანამშრომლების გამოყენებით, საკუთარ მეზობელს, რომელმაც მას სიმთვრალეში მიაყენა სიტყვიერი და

ფიზიკური შეურაცხყოფა. აშკარაა, რომ ადგილი აქვს შურისძიების ნიადაგზე განხორციელებულ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტს, მაგრამ რა სახის მტკიცებულებების შეგროვებაა შესაძლებელი პროცესუალურად და იქნება, თუ არა ისინი საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად? პირველ ყოვლისა თეორიულად გამოძიებამ შეიძლება მოიპოვოს დეპარტამენტის უფროსის ჩვენება და, თუ მან ამხილა ბრძანების გამცემი, სახეზე გვექნება ერთი პირდაპირი ჩვენება. ბუნებაში ვერ იარსებებს მეორე პირდაპირი სახის მტკიცებულება, თუკი დანაშაულებრივი ბრძანება გაცემული იქნა პირისპირ შეხვედრისას, რომელსაც სხვა პირი არ ესწრებოდა. შესაძლებელია მოპოვებული იქნას დანაშაულის უშუალო შემსრულებლების ჩვენებები, რომლებმაც, ასევე, შესაძლებელია განაცხადონ, რომ დეპარტამენტის უფროსმა დაავალა მათ ფიზიკურად გასწორებოდნენ მოქალაქე დ.დ-ს და ასევე უთხრა მათ, რომ ეს დავალება მოდიოდა მინისტრისგან. ნებისმიერ შემთხვევაში დანაშაულის ამრულებლების ჩვენება იქნება ირიბი ჩვენება მინისტრის მიმართ. სახეზე გვექნება დაზარალებულის ჩვენება, რომლითაც დადგინდება მასზე ფიზიკური ანგარიშსწორების მოტივი და ექსპერტიზის დასკვნა ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის მითითებით და ყოველივე ეს სასამართლო განხილვისთვის დააკმაყოფილებს კი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს? განვიხილოთ სხვა შემთხვევაც, როცა დეპარტამენტის უფროსი არ თანამშრომლობს გამოძიებასთან და მის მიმართაც დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა. ასეთ შემთხვევაში საქმეში არ იარსებებს არც ერთი პირდაპირი სახის მტკიცებულება, გარდა ირიბისა, მინისტრთან, როგორც დანაშაულის ორგანიზატორთან მიმართებით. ასეთ დანაშაულებთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარმა გადაწყვეტილებამ სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოს გამოაცალა ბერკეტი საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისა და გააჩინა ერთგვარი დაუსჯელობის სინდრომი თანამდებობის პირთა მიმართებით, ვინაიდან სასამართლოს

განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს, რაც უნდა დამაჯერებელი და წონადი იყვნენ ისინი. სახეზეა რეალური პრობლემა და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობის (რაოდენობის) განმარტება ან რამე დათქმა არ არსებობს, მაგალითად, თუ რამდენი პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებათა ერთობლიობა იქნებოდა საკმარისი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასადგენად. რიგ შემთხვევებში, ერთი პირდაპირი მტკიცებულების და სხვა არაპირდაპირი მტკიცებულებათა ერთობლიობის შემთხვევაში დგინდება გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან დაცვის მხარე ახდენს სწორედ ამ პირდაპირი ჩვენების დისკრედიტაციას და სასამართლოს წინაშე აყენებს არგუმენტს, რომ სასჯელისაგან თავის დაღწევისა და მასთან შემდგომში საპროცესო შეთანხმების მიღწევის გამო პირი (დეპარტამენტის უფროსი) ცრუ ჩვენებას იძლევა საკუთარი ხელმძღვანელის მიმართ.

განვიხილოთ კიდევ ერთი შემთხვევა, რომელზედაც საქალაქო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა და უგულვებელყო მთელი რიგი არაპირდაპირი მტკიცებულებები. ზ.ა აწარმოებდა ბიზნესს ქ.თბილისში, მისი საქმიანობა მოექცა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის თველთახედვის არეში, რომელსაც გაუჩნდა პირადი ინტერესი ზ.ა-ს მიმართ. თანამდებობის პირის მიერ გაიცა ბრძანება მისდამი დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო მოსამსახურეებზე, რათა მათ ზ.ა წამოეყვანათ საკუთარი ბინიდან და მიეყვანათ მასთან ერთ-ერთ რესტორანში, სადაც ის რამდენიმე მეგობართან ერთად ვახშმობდა. ორმა ხელქვეითმა შეასრულა ბრძანება, რომელიც მიიღეს ტელეფონის საშუალებით და ზ.ა მიიყვანეს დათქმულ ადგილას დაახლოებით 23:30 წუთზე. რესტორანში „საქმის გარჩევის“ დროს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირმა და მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა ზ.ა-ს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. გამოწვეული ხმაურის გამო რესტორანში, ე.წ. „კუპეში“ შევიდნენ ის ორი პირიც,

რომლებმაც ზ.ა მიიყვანეს რესტორანში, რა დროსაც შეესწრენ ფაქტს, რომ მათი ხელმძღვანელი აგინებდა ზ.ა-ს ხოლო მის მეგობარს ზ.ა მუხლებზე ჰყავდა დაყენებული იატაკზე. ზ.ა-ს ხელები ეკავა ზურგს უკან და არ აძლევდა ამ უკანასკნელს ადგომის საშუალებას. ამის შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ გაიცა მორიგი უკანონო ბრძანება საკუთარი დაცვის წევრების მისამართით, რათა ზ.ა. წაეყვანათ და დაემწყვდიათ მის განკარგულებამდე. მათ მიერ სისრულეში იქნა მოყვანილი აღნიშნული ბრძანებაც და ზ.ა. ორი დღის მანძილზე ჰყავდათ მიბმული ხელბორკილით ერთ-ერთი დაცვის წევრის მეუღლის ძმის ბინაში გათბობის მილზე (გარემოება, რომ ბინა ეკუთვნოდა დაცვის წევრის ოჯახის წევრს, დადასტურებული იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერითაც). საბოლოოდ ზ.ა-ს მიერ საკუთარი თავისუფლების სანაცვლოდ მოხდა მის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანის გადაცემაზე თანხმობის გაცემა და იგი გაათავისუფლეს, თუმცა, ვინაიდან ავტომანქანა იყო საბანკო ვალდებულებით დატვირთული, ვერ მოხდა მისი გადაფორმება და გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნეს მფლობელს - ზ.ა-ს.

შემთხვევიდან 3 წლის შემდეგ ზ.ა-მ მიმართა განცხადებით სამართალდამცავ ორგანოებს და დაწყებული იქნა გამოძიება. გამოძიების მიერ მოპოვებული იქნა ზ.ა-ს ჩვენება, სადაც ის დეტალურად აღწერდა მის მიმართ განხორციელებული დანაშაულის გარემოებებს და ამხელდა სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს დანაშაულის უშუალო ორგანიზებაში. მოპოვებული იქნა მისი მეუღლის ჩვენება, რომელიც აღწერდა ზ.ა-ს ღამის საათებში სახლიდან წაყვანის ფაქტს და მის 2 დღის შემდეგ დაბრუნებას, რა დროსაც ზ.ა-ს აღნიშნებოდა სისხლნაჟღენთები და დაზიანებები სახეზე და სხეულის სხვადასხვა ნაწილზე. იგი ადასტურებდა მისი მეუღლის მიერ მისთვის გამხელილ ინფორმაციას, რომ მის მეუღლეზე მოახდინა ანგარიშსწორება კონკრეტულმა პირმა და მისმა ხელქვეითებმა. მან

დაადასტურა ფაქტი, რომ ის თავად მკურნალობდა მეუღლეს სახლის პირობებში, ვინაიდან ჰქონდა სამედიცინო განათლება მიღებული და ზ.ა-ს ემინოდა საავადმყოფოსთვის მიმართვის. ზ.ა-ს ჩვენების გადამოწმების მიზნით ჩატარებული იქნა საგამოძიებო ექსპერიმენტი, რა დროსაც ზ.ა-ს მიერ მითითებული იქნა რესტორანი და ის ოთახი, სადაც განხორციელდა მასზე ფიზიკური ანგარიშსწორება, ასევე, მის მიერ საგამოძიებო ჯგუფი მიყვანილი იქნა იმ საცხოვრებელ ბინაში, სადაც ის იმყოფებოდა უკანონო თავისუფლების აღკვეთის პირობებში. დათვალიერებული იქნა ორივე შემთხვევის ადგილი. დაკითხული იქნენ ზ.ა-ს რესტორანში მიმყვანი საჯარო მოხელეები, რომელთაც დაადასტურეს ხელმძღვანელის მიერ ზ.ა-ს მიყვანაზე ბრძანების გაცემისა და შესრულების ფაქტი. ასევე დაადასტურეს, რომ, როცა ისინი ხმაურის გამო შევიდნენ რესტორანში, ნახეს, რომ მათი ხელმძღვანელი აგინებდა ზ.ა-ს ხოლო ეს უკანასკნელი იდგა მუხლებზე იატაკზე და მას იჭერდა მათთვის უცნობი პირი, ზ.ა-ს სახეზე ეტყობოდა სიწითლეები. ამოღებული იქნა სატელეფონო საუბრების ამასახველი დეტალური ანგარიში, რომლითაც დადასტურდა მათთან კომუნიკაციის ფაქტი, როგორც ხელმძღვანელის, ისე მათი მხრიდან ზ.ა-სთან განხორციელებული ზარების მეშვეობით, ასევე, დადგენილი იქნა ზ.ა-ს გადაადგილების მარშრუტი. გამოძიების მიერ დადასტურდა ავტომანქანის უკან დაბრუნების ფაქტი, რა დროსაც ერთ-ერთმა ხელქვეითმა ზ.ა-ს მისი მეგობრის თანდასწრებით დაუბრუნა ავტომანქანა. დაიკითხა ზ.ა-ს მეგობარი. ბრალდების მხარის მიერ დაიკითხნენ სახელმწიფო პოლიტიკური პირის დაცვის წევრები, რომლებმაც დაადასტურეს ბრძანების მიღებისა და შესრულების ფაქტი ზ.ა-ს უკანონო თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებით. დაიკითხნენ რესტორნის ოფიციანტები და დარაჯი, რომლებმაც დაადასტურეს ხმაურის ფაქტი და სტუმრების წასვლის შემდეგ დამტკრებული ინვენტარისა და ჭურჭელის ნახვის ფაქტი იმ კუპეში, სადაც იმყოფებოდა სახელმწიფო პოლიტიკური

თანამდებობის პირი სტუმრებთან ერთად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს წარედგინა ბრალდება, გათვალისწინებული საქ. სსკ-ის 333-ის მე-3 და 143 მუხლის 2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

სასამართლო განხილვისას ბრალდებულმა უარყო რამე სახის ძალადობის ფაქტი ზ.ა-ს მიმართ და, ასევე, უარყო მისი თავისუფლების აღკვეთის მიზნით ბრძანების გაცემის ფაქტი. მისმა დაცვის წევრებმა შეცვალეს გამოძიებაში მიცემული ჩვენება და უარყვეს მათ მიერ ზ.ა-ს თავისუფლების აღკვეთის ფაქტი და შესაბამისი ბრძანების მიღება. ბრალდებულის მეგობარმა დაადასტურა რესტორანში მომხდარი კონფლიქტის ფაქტი, თუმცა უარყო ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტი და განაცხადა, რომ ბრალდებული და ზ.ა ერთმანეთს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, რის გამოც კონფლიქტის განსამუხტავად ის იჭერდა ზ.ა-ს და ჰქონდა გამშველელის ფუნქცია. დანარჩენმა პირებმა დაადასტურეს გამოძიებისას მიცემული ჩვენებები. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის მტკიცებულებები და აღნიშნა, რომ ბრალდებულის მიმართ არსებობდა მხოლოდ ერთი პირდაპირი სახის მამხილებელი მტკიცებულება, დანარჩენი მტკიცებულებები კი წარმოადგენდა ირიბ მტკიცებულებებს და ვერ ქმნიდა საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტს. აქედან გამომდინარე, დაადგინა გამამართლებელი განაჩენი, თუმცა, ასევე, დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებული სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ ზ.ა-ს მიმართ განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი და განმარტა, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა არ წარმოადგენდა სსკ-ით დასჯად ქმედებას და წარმოადგენდა მორალურად გასაკიცხ ქმედებას.

როგორც ვხედავთ, დაზარალებულ ზ.ა-ს ჩვენების დასადასტურებლად სხვა მტკიცებულების მოპოვება ფიზიკურად შეუძლებელი იყო განსახილველ

შემთხვევაში და ამგვარი ბუნებაში ვერ იარსებებდა. სახეზე არსებულმა მტკიცებულებათა სტანდარტმა კი სასამართლოს „შინაგანი რწმენა“ და „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი“ ვერ დააკმაყოფილა. სასამართლო პრაქტიკაში არსებობს სხვა შემთხვევებიც, სადაც მსგავს საქმეებზე დადგენილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენები და შეიქმნა არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რამაც კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა ირიბ მტკიცებულებათა გამოყენებისა და სასამართლოს შინაგანი რწმენის გამოვლინების სტანდარტები. ამდენად, ირიბ მტკიცებულებათა ერთობლიობის გამოყენების საკითხი სამოხელეო დანაშაულთან მიმართებაში საკმაოდ აქტუალურ საპოლემიკო თემად არის გადაქცეული პრაქტიკოს იურისტებს შორის და აბსოლიტურად ვიზიარებთ მისი გამოყენების, ბუნდოვანების აღმოფხვრის და მეტი კონკრეტიზაციის კუთხით სათანადო განმარტებების გაკეთების აუცილებლობის რეკომენდაციას, რომელიც სიფას-სა და ეუთოს შესაბამისი კვლევების შედეგად იქნა გაცემული. ჩვენი მხრივ კი მივიჩნევთ, რომ ირიბ მტკიცებულებათა იგნორირება, როგორც ფაქტის, დამდგარი შედეგის, მოტივისა და მიზნის და სხვა გარემოებების დადგენასთან მიმართებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სისტემისთვის, განსაკუთრებით სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით და მათი არ დაშვება ან მტკიცებულებათა ერთიანი ჯაჭვიდან ხელოვნური გამიჯვნა ეწინააღმდეგება სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებს.

განსახილველ საკითხთან მიმართებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით: ზოგადად, ბრალდებულის უფლებებს ადამიანის უფლებათა ინსტიტუციები საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ, რადგან ამ შემთხვევაში ინდივიდის ინტერესები უპირისპირდება სახელმწიფოსას და შედეგად თვითნებობის რისკი მაღალია. აქედან გამომდინარე, ირიბი ჩვენების გარშემო არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და კომისიის

საკმაოდ დეტალური სამართალწარმოების პრაქტიკა და მასზე მოვახდენთ კონცენტრირებას, მაგრამ, ამავდროულად, ირიბი ჩვენების გამოყენება შეფასდება დაზარალებულის პოზიციიდან და იქნება იდენტიფიცირებული სამართალწარმოების პრაქტიკა, რომელიც უდგენს სახელმწიფოებს გარკვეულ სავალდებულო მინიმუმს ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით.

3.1 ადამიანის უფლებათა სტანდარტები დაზარალებულებთან მიმართებით

ადამიანის უფლება ზოგადად პერსონალური გარანტიაა, რომელიც ინდივიდს აქვს სახელმწიფოს წინააღმდეგ. მას აქვს იმის სრული შესაძლებლობა, რომ მოითხოვოს ამ უფლების რეალიზაცია, ან, დარღვევის შემთხვევაში, რეპარაცია, შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურებისგან. ეს უკანასკნელი გულისხმობს უფლებრივ მდგომარეობაში აღდგენას და კომპენსაციას. ზოგადად, იგი არ მოიცავს დაზარალებულის შესაძლებლობას მოახდინოს პირისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რადგან ეს შემთხვევა განიხილება უფლებით *actio popularis* სარგებლობად.⁵⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ გულისხმობდა დაზარალებულის პროცედურულ უფლებამოსილებას, მიემართა შესაბამისი იუსტიციური უწყებებისთვის და მოეთხოვა სხვა პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.⁵⁸

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს საკმაოდ ვრცელი პრაქტიკა სხვადასხვა უფლებასთან

⁵⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 12 თებერვლის განჩინება საქმეზე *Perez v. France*, par 70.

⁵⁸ იქვე

მიმართებით, სადაც პირდაპირ იქნა განსაზღვრული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებლობა კონკრეტულ უფლებათა ხელყოფის შემთხვევაში.

ჰოლანდიის წინააღმდეგ გამოტანილ ერთ-ერთ საქმეში მშობელი და მისი ფსიქიკური პრობლემების მქონე ქალიშვილი ჩიოდნენ, რომ ეს უკანასკნელი მოთავსებული იყო შესაბამის დაწესებულებაში და ხორციელდებოდა მის მიმართ გარკვეული სამედიცინო პროცედურები. ამ სახლის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ისარგებლა გოგონას ფსიქიკური პრობლემებით და დაამყარა მასთან იძულებითი სქესობრივი კავშირი. მომხდარის შესახებ ცნობილი გახდა მშობლისთვის, რომელმაც მიმართა შესაბამის პოლიციურ და იუსტიციურ ორგანოებს. სახელმწიფომ არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ამ საქმეში, რადგან, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ თავად მსხვერპლი იყო უფლებამოსილი მოეთხოვა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განცხადებით:

„სასამართლოს მიაჩნია, რომ ქალბატონი Y-ს წინააღმდეგ ჩადენილი სამართალდარღვევათა მსგავსი ქმედებების საპასუხოდ სამოქალაქო სამართლით განსაზღვრული გარანტიები არ იყო საკმარისი. აქ იგულისხმება შემთხვევები, როცა პირადი ცხოვრების ფუნდამენტურ ღირებულებებს ეხებათ საქმე. ამ სფეროში გარდაუვალი და აუცილებელია სამართალდარღვევათა ეფექტური აღკვეთა და ეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დებულებებით მიიღწევა; მართლაც ამგვარი ნორმებით ხდება ამ საკითხის დარეგულირება.“⁵⁹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირდაპირ დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა აუცილებელია გარკვეულ ქმედებათა

⁵⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1985 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე X and Y v. the Netherlands

მიმართ, როცა საკითხი ეხება ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებს. ევროსასამართლომ ეს მიდგომა პირდაპირ ჩამოაყალიბა კონკრეტული შემთხვევების მიმართ და სახელმწიფოთა მიმართ განსაზღვრა პოზიტიურ სამართლებრივი ვალდებულებები, რომელთა მიხედვითაც, სავალდებულოა სახელმწიფოს მიერ გამოძიების ჩატარება და ამ პროცესში გარკვეული სტანდარტის დაცვა. ეს ვალდებულება გავრცელდა კონკრეტულ შემთხვევათა მიმართ, როგორებიცაა, მაგალითად: ტრეფიკინგი, ოჯახური ძალადობა, წამება, არაადამიანური და არაჰუმანური მოპყრობა, მკვლელობა, გაუჩინარება და სხვა შემთხვევები. ასევე, დადგენილ იქნა მრავალი ხარისხობრივი მონაცემი, რომელსაც უნდა პასუხობდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმძღვრერი სახელმწიფო. მათგან ერთ-ერთის მიხედვით, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს იმ მტკიცებულებების დასაშვებად ცნობა, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული კონკრეტულ სასამართლო სხდომაზე. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, არ დაუშვან კონკრეტული პროცედურული გადაცდომები და აღნიშნული გზით უზრუნველყონ კონკრეტული მტკიცებულების გამოყენება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც ჩაიდინეს უფლებათა მძიმე დარღვევები. თუკი სახელმწიფოს კანონმდებლობით ხელთ არ ექნება შესაბამისი ბერკეტი, რომლის მიხედვითაც იგი უზრუნველყოფს გარკვეული მტკიცებულებების დასაშვებობას, სახეზე გვექნება მტკიცებულების ავტომატური დაუშვებლობა და დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი გამოძიების შესახებ.

3.2 ადამიანის უფლებათა სტანდარტები ბრალდებულის პოზიციიდან

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, დადგენილია შემდეგი სახის გარანტია: ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: ...(D) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი

ბრალდების მოწმეები, და, გამოამახვილოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში;⁶⁰ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განმარტებული აქვს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი არ აღგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის რაიმე წესს. მისი მიზანი არის, მოახდინოს სამართლიან საწყისებზე მტკიცებულების წარმოდგენის უზრუნველყოფა.

კონვენციის ზემოხსენებული მე-6 მუხლის მესამე პარაგრაფის D ქვეპარაგრაფის მიხედვით დადგენილია გარანტია, რომ ყველა ბრალდებულს უნდა ჰქონდეს უფლება დაკითხოს მოწმე, რომელიც ჩვენებას იძლევა მის წინააღმდეგ. სტრასბურგის ინსტიტუციების სამართალწარმოების საწყისი პრაქტიკის მიხედვით, ეს წესი ავტონომიური დატვირთვის მატარებელი იყო, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით მან შეიცვალა როლი და მისი განხილვა ხდება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით დადგენილი 'სამართლიანი განხილვის' (fair hearing) პრინციპთან ერთად.⁶¹

მოწმის გამოამახვილები და ჯვარედინი დაკითხვის გარანტია რელატიური უფლებაა, რომელსაც არ აქვს აბსოლუტურობის პრეტენზია. იგი არ გულისხმობს იმას, რომ მოწმის გამოამახვილებლობა ან დაუკითხავობა ავტომატურად იწვევს პირის უფლებების ხელყოფას. ამგვარი მიდგომა იქნებოდა საკმაოდ მძიმე დარტყმა მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესზე. შესაბამისად, რელატიური ბუნებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ საქმეში ფასდება მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლების გავლენა მთლიან სამართალწარმოებაზე. ზოგადად, ამ უკანასკნელი საკითხის შეფასებისას მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა რაოდენობა. თუკი სხვა მტკიცებულებები მრავლად არის სახეზე და ერთ-ერთი მტკიცებულების

⁶⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 12 მაისის განჩინება საქმეზე Khan v. UK პარ. 34

⁶¹ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

მიმართ ვერ განხორციელდა ჯვარედინი დაკითხვა, ეს მთელ პროცესზე არ ახდენს გავლენას, რადგან პირის ბრალეულობა სხვა ინფორმაციითაც დასტურდება. მაგრამ, როცა ალტერნატიული მტკიცებულება ცოტაა, პროცესის სამართლიანობაც უფრო მკაცრად ფასდება სასამართლოს მიერ. ანუ მე-6 მუხლის მესამე პარაგრაფის `D` ქვეპარაგრაფი წარმოადგენს შეფასებით გარანტიას, რომლის დაცვის ხარისხი და სიხისტე ექვემდებარება განმარტებას და შეფასებას კვანტიფიკაციური განზომილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენიმე საკითხი უნდა დადგინდეს ევროკონვენციის სტანდარტის შესაფასებლად: (1) რა იგულისხმება მოწინააღმდეგე მხარის მოწმის დაკითხვაში; (2) რა მოცულობით შეიძლება დაეყრდნოს გამამყუნებელი განაჩენი ისეთ ჩვენებას, რომლის გამოკვლევის საშუალებაც არ ჰქონდა დაცვის მხარე; (3) რა გამონაკლისები არსებობს ამ უფლებიდან. ამავდროულად, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ ვინ იგულისხმება ტერმინ „მოწმის“ ქვეშ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, მაგალითად, ირიბი ჩვენების მიცემისას, ბრალდებულს აქვს უფლება ჰქონდეს ხელმისაწვდომობა იმ პირის დაკითხვაზე, რომელიც ორიგინალი ინფორმაციის წყაროა. ეს დასკვნა გამომდინარეობს სასამართლოს განჩინებიდან Haaas--ის საქმეზე.⁶²

ზოგადად, ამ უფლებაში იგულისხმება ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შესაძლებლობა ზეპირ სხდომაზე მოახდინონ იმ მტკიცებულების შედავება, რომელსაც წარმოადგენს მოწინააღმდეგე ანუ ბრალდების მხარე. სხვადასხვა სამართალწარმოების ეტაპი ამ პრინციპის რეალიზაციის ფორმას სხვადასხვანაირად ადგენს. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ უფლების რეალიზაციის სუბიექტი არის როგორც უშუალოდ ბრალდებული, ისე მისი ადვოკატიც. დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს ადეკვატური და ჯეროვანი

⁶² მაკბრაიდი ჯ. „ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი“ – თარგმანი ევროსაბჭო, 2011 წ., გვ. 221.

შესაძლებლობა, რათა მოახდინოს მტკიცებულების შედავება სასამართლო პროცესზე. ამ უფლების იმპლემენტაციის რეალიზაციის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეყრდნობა მთლიან სამართალწარმოებას და ბრალდებულის უფლებებს აბალანსებს საჯარო ინტერესებთან და მოწმეთა და დაზარალებულთა კანონიერ უფლებებთან.⁶³

ამ უფლებიდან მოქმედებს გამონაკლისი, რომელიც ორსაფეხუროვანი ტესტის ფარგლებში მოწმდება. პირველ ყოვლისა უნდა განისაზღვროს ის, თუ რამდენად ჰქონდა ორიგინალი ინფორმაციის წყაროს პროცესზე გამოუცხადებლობის ჯეროვანი მიზეზი და შემდეგ მეორე ეტაპზე, დგინდება ის ფაქტი, იყო თუ არა ირიბი ჩვენება არსებითი, გადამწყვეტი (decisive) ერთადერთი (sole) მტკიცებულება საქმეში.

3.3 მოწმის ირიბი ჩვენების გადამწყვეტი მნიშვნელობა განაჩენის გამოტანისას

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინებაში Al-khawaja and Tahery v. UK დაადგინა სტანდარტი, რომელიც მოწმის ირიბი ჩვენების გამოყენებას ეხება განაჩენის გამოტანისას

ევროკონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები. აღნიშნული მუხლი დაცვას ანიჭებს უფლებას, დაიბაროს მოწმე და მოახდინოს მისი ჯვარედინი დაკითხვა. ამდენად, ის არ ცნობს მოწმის ჩვენების გამოქვეყნების შესაძლებლობას და ამ გზით მის, როგორც ირიბი მტკიცებულების გამოკვლევის ფაქტს

⁶³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე Doorson v. Netherlands, par 70.

სასამართლოზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ევროკონვენცია მოიცავს აკრძალვას ბრალდების მიერ წარმოდგენილი ირიბი მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ, თუმცა ევროპის სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა არ ტოვებს ასეთ ერთმნიშვნელოვან შთაბეჭდილებას.

ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ იქნა საქმე „ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში გაერთიანდა ორი განმცხადებლის აპლიკაცია: 1. ექიმს (ალ-ხავაჯა), რომელიც გაასამართლეს მდედრობითი სქესის 2 პაციენტის მიმართ უხამსი ძალადობისთვის და 2. ტაჰერი, რომელიც გასამართლებული იქნა განზრახ მძიმე სხეულის დაზიანებისათვის.

ევროპის სასამართლოს წინაშე ორივე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ეყრდნობოდა ნაფიცი მსაჯულების მიერ სასამართლოს მიღმა დაკითხული მოწმის ჩვენების გაზიარებას. მოწმე სასამართლოს წინაშე არ წარდგენილა და დაცვის მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას ჯვარედინი წესით დაეკითხა იგი. ორივე განმცხადებელი მიუთითებდა იმის შესახებ, რომ მოსამართლის მიერ ირიბი მტკიცებულების დაშვება არღვევდა ევროკონვენციის მე-6 მ უხლის პირველ პუნქტს და მესამე პუნქტის “დ” ქვე-პუნქტს.

საბოლოოდ, საქმე გადაეცა განხილვისათვის ევროპის სასამართლოს დიდ პალატას, რადგან გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება არ დაეთანხმა მე-6 მ უხლის მკაცრ განმარტებას, რომელიც უფლების აბსოლუტურ ხასიათს ეყრდნობოდა. „დიდ პალატას მოუწია ორი ცენტრალური საკითხის განხილვა: არის თუ არა ერთადერთი ან გადამწყვეტი მტკიცებულების სტანდარტი აბსოლუტური აკრძალვის ტოლფასი: დიდმა პალატამ აქამდე გამოყენებული მკაცრი ფორმულირებისგან განსხვავებით, განაცხადა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება შეიძლება დაირღვეს,

როდესაც განმცხადებელს საშუალება არ მიეცა შეესწავლა საქმეში არსებული ერთადერთი ან გადამწყვეტი (ე.წ. sole and decisive rule) მტკიცებულება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა მოწმის ჩვენებას. შესაბამისად, დიდი პალატის მიერ შემოთავაზებული შერბილებული ფორმულირების თანახმად, ირიბი მტკიცებულების გამოყენება ავტომატურად მე-6(1) მუხლის დარღვევად არ ჩაითვლება. ამავე საქმეში, ევროპის სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების თანახმად, მტკიცებულება “გადამწყვეტია”, თუ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ განმსაზღვრელი გავლენა შეუძლია იქონიოს საქმის საბოლოო შედეგზე. ყოველივე ეს კი შეფასების საგანია და დამოკიდებული იქნება საქმეში არსებულ გარემოებებზე. რამდენად არსებობდა კარგი მიზეზი, რომელიც გაამართლებდა მოწმის გამოუცხადებლობას სასამართლო სხდომაზე: ევროპის სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა მე-6(1) და 3(დ) მუხლის დარღვევა, როდესაც მოწმის ჩვენება არ წარმოადგენდა ერთადერთ ან გადამწყვეტ მტკიცებულებას, მაგრამ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ წარმოადგინეს კარგი მიზეზი მოწმის გამოუცხადებლობის გასამართლებლად. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც პირის გარდაცვალების ფაქტი (ალ-ხავაჯას მოწმის შემთხვევა), ასევე მოწმის შიშის ფაქტორი (ტაჰერის მოწმის შემთხვევა). ევროპის სასამართლომ მსჯელობისას განიხილა: შიშის ფაქტორი, რომელიც განპირობებულია/დაკავშირებულია დაცვის ქვეშ მყოფი პირის /პირთან ან მის სახელით მოქმედი პირების მიერ/პირებთან: ევროპის სასამართლო მიიჩნევს რომ მსგავს შემთხვევებში დასაშვებია მოწმის ჩვენება წარმოდგენილ იქნას სასამართლო სხდომაზე უშუალო დაკითხვის გარეშე. მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ მოწმის ჩვენება არის ერთადერთი ან გადამწყვეტი. შიშის ფაქტორი, რომელიც უფრო ზოგადია და დაკავშირებულია მოწმის აღქმასთან, თუ რა მოხდება მას შემდეგ, რაც ის ჩვენებას მისცემს სასამართლოზე: ევროპის სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ზოგადი ხასიათის შიში უფრო ხშირია და მას დაცვის ქვეშ მყოფი პირის „ან მისი

თანამზრახველების ცნობადობა განაპირობებს. სასამართლოს აზრით, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მოსამართლემ უნდა შეაფასოს, თუ რამდენად არსებობს შიშის არსებობის ობიექტური გარემოებები და რამდენად გამყარებულია ეს გარემოებები მტკიცებულებით. აღნიშნული საკითხის შეჯამებისას, დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოწმის ჩვენების ჩანაწერის გამოყენება საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე უნდა წარმოადგენდეს ბოლო ზომას: სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა შესაძლოა ალტერნატიული დაცვის საშუალების გამოყენება შეუსაბამო ან შეუძლებელია.“⁶⁴

2009 წლის 10 მარტს, დიდმა პალატამ საქმეზე „ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა ფარული ოპერაციის გზით მოპოვებული მასალების გამოყენებას, მტკიცებულებების დასაშვებობისა და სანდოობის საკითხებს, დარღვევა არ დაადგინა. პალატამ განმარტა, რომ: „89. შესაბამისად, სასამართლოს ფუნქციას პრინციპულად არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, შეიძლება თუ არა, რომ კონკრეტული სახის მტკიცებულება, მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, დასაშვებად იქნეს ცნობილი. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: იყო თუ არა მთლიანად საქმის წარმოება, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვების გზები სამართლიანი. ეს გულისხმობს „უკანონობის“ გამოკვლევასა და კონვენციის სხვა მუხლის შესაძლებელი დარღვევის დადგენას (იხ. ხანი § 34; პ.გ და ჯ.პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ N44787/98, § 76, ECHR, 2001 IX; ჰეგლასი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ N5935/02, §§ 89-92, 2007 წლის პირველი მარტი და ალენი § 42).

90. იმ საკითხის განსაზღვრისას, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, ყურადღება უნდა მიექცეს ასევე დაცვითი

⁶⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინება საქმეზე: Al Khawaja and Tahery v. UK, par 135.

უფლებების შესრულებას. განსაკუთრებით, უნდა შემოწმდეს, მიეცა თუ არა განმცხადებელს მტკიცებულებების ავთენტურობის გაპროტესტებისა და მათი გამოყენების გაპროტესტების საშუალება. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მტკიცებულებების ხარისხი, მათ შორის, აყენებდა თუ არა ეჭვის ქვეშ მათ საიმედოობას ან სიზუსტეს ის გარემოებები, რომლებშიც მათი მოპოვება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებები არ არის გამყარებული სხვა მასალით, მათი სანდოობა შეიძლება ეჭვქვეშ არ დადგეს, რადგან საკმაოდ მყარია და მათი სანდოობა არ არის საეჭვო, ამასთანავე, უფრო ნაკლებია ასეთი მტკიცებულებების სხვა მტკიცებულებებით გამყარების საჭიროება (იხ. ხანი, გვ. 35 , 37 და ალენი, გვ. 43).⁶⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ 2000 წლის 12 მაისს განიხილა საქმე „ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (განცხადება №35394/97). განმცხადებელი ამტკიცებდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას იმ საფუძველზე, რომ მის საქმეში კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მასალების ერთადერთი მტკიცებულების სახით გამოყენება არ შეესაბამებოდა მე-6 მუხლით გათვალისწინებული „სამართლიანი სასამართლო განხილვის“ მოთხოვნებს. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ: „სასამართლოს ფუნქცია არ არის განსაზღვროს მტკიცებულების კონკრეტული სახეები, მაგალითად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება დასაშვებია თუ არა, ან იყო თუ არა განმცხადებელი დამნაშავე. კითხვა, რომელსაც სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს არის შემდეგი: იყო, თუ არა სასამართლო პროცესები მთლიანობაში სამართლიანი, იმ საშუალების გათვალისწინებით, რომლითაც მოპოვებულ იქნა მტკიცებულებები. აღნიშნული მოიცავს „უკანონობის“ შესწავლას და აღმოჩენილი დარღვევის

⁶⁵ ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ . განაცხადი N4378/02. 10.03.2009 წ.
<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22CASE%20OF%20BYKOV%20v.%20RUSSIA%22%5D,%22languageisocode%22:%5B%22GEO%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-178574%22%5D%7D>

ხასიათის დადგენას, როდესაც სახეზეა კონვენციით დაცული სხვა უფლების დარღვევა.

37. სასამართლო შემდეგ აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში გასაჩივრებული მასალა იყო ერთადერთი მტკიცებულება განმცხადებლის წინააღმდეგ და განმცხადებლის განცხადება ბრალის აღიარების შესახებ ეფუძნებოდა მოსამართლის გადაწყვეტილებას, რომ მტკიცებულება დასაშვებად უნდა ყოფილიყო ცნობილი. თუმცა, მტკიცებულების არსებობის შესაბამისობა, გასაჩივრებული საკითხის გარდა, ეფუძნება საქმის გარემოებებს. მოცემულ სიტუაციაში, როდესაც ფირი მიჩნეულია უტყუარ მტკიცებულებად და არ არსებობს მასი არასაიმედოდ მიჩნევის რისკი, მტკიცებულების მხარდაჭერის საჭიროება, შესაბამისად, სუსტია. მართალია, შენკის საქმეში სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ფირზე ჩანაწერი იმ საქმეში არ იყო განმცხადებლის წინააღმდეგ არსებული ერთადერთი მტკიცებულება. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ შენკის საქმეში მოცემული ჩანაწერი, არ ყოფილა ერთადერთი მტკიცებულება, ვაუდის კანტონის სასამართლოს სისხლის სამართლის კასაციის განყოფილების მიერ მიჩნეულ იქნა, როგორც „სისხლის სამართლის პროცესის შედეგებზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ან სულ ცოტა, მნიშვნელოვან მტკიცებულებად“ (§ 28, გვ.19-22).⁶⁶

სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის სასამართლო პროცესზე ფარულად ჩაწერილი მასალის გამოყენება, რომელიც მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) დარღვევით მოხდა, არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანობის მოთხოვნებს.

⁶⁶ ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. განაცხადი №35394/97. 12.05.2000 წ. <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22KHAN%20v.%20THE%20UNITED%20KINGDOM%22%5D,%22languageisocode%22:%5B%22GEO%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-178582%22%5D%7D>

მოწმის ჩვენების, როგორც ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულების სანდოობისა და მისი გაზიარების კუთხით, საინტერესოა, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №72508/13). მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელ მისი საკნიდან უკანონო გაყვანის შესახებ წარდგენილი ჰქონდა მხოლოდ საკუთარი ჩვენება და სხვა არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი მტკიცებულება, რომელიც ფაქტს დაადასტურებდა, წარდგენილი არ ყოფილა, სასამართლომ დაადგინა: „§ 105. განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულების აშკარად ცხადი თავშეკავება, წარმოედგინათ ციხის სათვალთვალო კამერიდან შესაბამისი ვიდეომასალა, რაც, თავის მხრივ, ნათელს მოჰფენდა ინცინდენტს. ზოგადად, სასამართლო აღნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი და მთავარი პროკურორი აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ მომჩივნის მრავალგზის განცხადებას, აგრეთვე საზოგადოებისა და მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან მოწოდებას, დაწყებულიყო ობიექტური და საფუძვლიანი გამოძიება. მთავრობამ, სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტებით, ვერ უზრუნველყო 2013 წლის 14 დეკემბრის ინცინდენტის შესახებ დამაჯერებელი განმარტება, გარდა სასჯელაღსრულების მინისტრის მიერ შიდა დონეზე ჩატარებული ბუნდოვანი მოკვლევის შესახებ მითითებისა, რომლის თუნდაც მცირედი დეტალიც კი არ იქნა გაზიარებული სასამართლოსთვის. აღნიშნული საქმის ყველა კონკრეტული გარემოება სასამართლოს აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ ფაქტების ობიექტური შემფასებლის გადმოსახედიდან, აპლიკანტის მონათხრობი ინცინდენტთან დაკავშირებით მიჩნეულ უნდა იქნას, როგორც საკმაოდ ზუსტი და შესაბამისი რეალურ ფაქტთან (მაგალითად, მტკიცებულების მსგავსი სტანდარტის შესახებ განაცხადების მაგალითებისთვის - მაღალი დამაჯერებლობით დასკვნების გაკეთება მხოლოდ ირიბ მტკიცებულებაზე დაყრდნობით - ევროკონვენციის

მე-18 მუხლის ჭრილში შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, იხ. ზემოთ აღნიშნული - Ilgar Mammadov, § 142; და Gusinskiy, § 76).⁶⁷ ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სარწმუნოდ და დადგენილ ფაქტად მიიჩნია, არა რამე დამატებითი მტკიცებულებების არსებობის პირობებში, არამედ განმცხადებლის ჩვენებისა და სხვა გარემოებითი ფაქტორების (გარემოებითი მტკიცებულებების) ერთობლივი ანალიზის შედეგად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ირიბ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შესაძლებლობას, ისევე, როგორც ერთი განსაკუთრებით სანდო პირდაპირი მტკიცებულების არსებობის გამონაკლის შემთხვევაში და გარკვეული დათქმების არსებობისას, ევროპული სასამართლოც უშვებს.

მტკიცებულებათა სტანდარტის ანალიზისას, ასევე, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს (ICC) და სისხლის სასამართლოს საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) მიდგომები, რომელიც, ემყარება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, განსხვავებით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსგან, რომელიც თავის მხრივ ადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპს. ჰააგის სასამართლოს სახელმძღვანელო დოკუმენტია 1998 წლის 17 ივლისს მიღებული „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება“.

მტკიცებულებების მოპოვების პროცესში რომის სტატუტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს და განმარტავს, რომ წესდების ან

⁶⁷ მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №72508/13). 14.06.2014 წ.
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/merabishvili-saqartvelos-winaagmddeg.pdf>

საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ითვლება დაუშვებლად, თუ: „დარღვევა წარმოშობს სერიოზულ ეჭვს მტკიცებულების უტყუარობის თაობაზე; ან მტკიცებულების დაშვება პირდაპირ ეწინააღმდეგება და სერიოზულ ზიანს მიაყენებს განხილვის კეთილსინდისიერად წარმართვას (მუხ. 69).“⁶⁸

განაჩენის გამოტანის პროცესში რომის წესდება ადგენს რიგ მოთხოვნებს, რომელთა ფარგლებსაც მოსამართლე არ უნდა გასცდეს. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მის მიერ მტკიცებულებებისა და მთელი საქმის წარმოების შეფასების საფუძველზე და გადაწყვეტილება არ უნდა სცილდებოდეს ბრალდებების შემცველ დოკუმენტში ან ამ დოკუმენტის შესწორებებში ასახული ფაქტებისა და გარემოებების ფარგლებს. სასამართლოს შეუძლია, გადაწყვეტილება გამოიტანოს მხოლოდ იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც მის წინაშე წარმოდგენილი და განხილული იქნა სასამართლო გარჩევის პროცესში. მოსამართლეები უნდა ეცადონ გადაწყვეტილების გამოტანისას მიაღწიონ ერთსულოვნებას, რომლის არარსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლეთა უმრავლესობა (რომის წესდება, მუხლი 69).

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულების შეფასების პროცესში სასამართლო (როგორც საერთაშორისო სისხლის სასამართლო ICC, ასევე, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის ტრიბუნალი ICTY) ხელმძღვანელობს მისი წესდებითა და წესებით. ICC მოქმედებს 1998 წელს მიღებული რომის წესდების Tanaxmad, ხოლო ICTY კი 1993 წლის 25 მაისს მიღებული წესდების შესაბამისად. თუ მტკიცებულების შეფასებისას არ არსებობს სახელმძღვანელო წესები, მაშინ მტკიცებულება უნდა შეფასდეს საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპითა და სამართლის ზოგადი

⁶⁸ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi-axali2.pdf>

პრინციპების დაცვის სულისკვეთებით, რომელიც მოიცავს პრინციპს „in dubio pro reo“-ს პრინციპს, რომ ყველა ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (იხილეთ: ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის ტრიბუნალის (ICTY) გადაწყვეტილება „პროკურორი რადოვან კარადიჩის წინააღმდეგ“ (Prosecutor vs Radovan Karadzic) 2016 წლის 24 მარტი, პარაგრაფი 8-9).⁶⁹

სასამართლო ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობისა და დაუშვებლობის/ამორიცხვის წესებს, რომელიც ემსახურება პროცესის სწორად და ერთგვაროვნად წარმართვას. იგი დასაშვებად მიიჩნევს მტკიცებულებას, თუ იგი არის რელევანტური საქმისთვის და აქვს მტკიცებულებითი ღირებულება, რომლის მამტკიცებელ წონასაც აფასებს საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე.

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს წესდების 21-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ პროკურორს გააჩნია ბრალდების ტვირთი, რომელმაც უნდა დაადასტუროს პირისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა. თუ მტკიცება გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნებიდან, ასეთ შემთხვევაში, ეს დასკვნა უნდა იყოს ერთადერთი დასაბუთებული დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ადგენს, რომ პროკურორმა ვერ უზრუნველყო ბრალდების დადასტურება ასევე, სასამართლოს მიერ მოწმის ჩვენების გაუზიარებლობა არასანდოობის მოტივით, ავტომატურად არ გულისხმობს სასამართლოს მიერ საპირისპიროს გაზიარებას. მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას სასამართლო მხედველობაში იღებს დროის ხანგრძლივობას მომხდარი ფაქტიდან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოწმის ჩვენების სანდოობაზე. ასევე, მოწმეთა ჩვენებების

⁶⁹ Prosecutor vs Radovan Karadzic http://www.icty.org/x/cases/karadzic/tjug/en/160324_judgement.pdf

შეფასებისას, სასამართლო ითვალისწინებს, თუ რამდენად თანმიმდევრული და ურთიერთშეთანხმებულია მოწმეთა ჩვენებები და რამდენად დასტურდება ისინი სხვა მტკიცებულებებით (Prosecutor vs Radovan Karadzic) 2016 წლის 24 მარტი, პარაგრაფი 11).⁷⁰

ერთადერთ მოწმესთან მიმართებით, რომელიც საქმეზე ადასტურებს რამე მნიშვნელოვან გარემობას, ყოფილი იუგოსლავიის სასამართლომ რამდენჯერმე განმარტა, რომ, როგორც აპრიორი, არ არსებობს საკანონმდებლო მოთხოვნა, რომ ერთადერთი მოწმის ჩვენება გამყარებული იყოს სხვა მტკიცებულებით, თუმცა სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება ასეთი მოწმის ჩვენების სანდოობასა და უტყუარობას მტკიცებულების შეფასების სტადიაზე, რაც შესაძლებელია გახდეს პირის ბრალდების საფუძველი. სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ უმნიშვნელო შეუსაბამობები და უზუსტობები, რომლებიც გამოვლინდა ერთადერთი მოწმის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებასა და სასამართლომდე მიცემულ ჩვენებას შორის, მათ შორის საქმეზე გამოკვლეულ სხვა მტკიცებულებებს შორის, არ მიიღება მხედველობაში (იხილეთ: ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის (ICTY) სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება „ჩელებიჩის საქმეზე“ (Celebici Case“), 2001 წლის 9 ოქტომბერი, ჰააგა, პარაგრაფი 506 - აღნიშნული საქმე შეეხება ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ჩელებიჩის ციხის ბანაკში ჩადენილ ომის დანაშაულებს; ასევე: „პროკურორი რადოვან კარადიჩის წინააღმდეგ“ (Prosecutor vs Radovan Karadzic) 2016 წლის 24 მარტი, პარაგრაფი 12 , ICTY).⁷¹

იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ირიბი მტკიცებულება დასაშვებია მტკიცებულებაა და აღნიშნულზე სასამართლოს გააჩნია ფართო დისკრეცია. ირიბი მტკიცებულება

⁷⁰ Prosecutor vs Radovan Karadzic http://www.icty.org/x/cases/karadzic/tjug/en/160324_judgement.pdf

⁷¹ იქვე.

არის ნებისმიერი განცხადება/ჩვენება, რომელიც მისცა სხვა პირმა გარდა მოწმისა და რომელიც ადასტურებს მოწმის ჩვენებაში ასახულ კონკრეტულ ფაქტს და გარემოებას. რაც შეეხება მტკიცების წონას/ტვირთს რომელსაც სასამართლო ანიჭებს/აკუთვნებს ირიბ მტკიცებულებას, დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე და სასამართლო მათ აფასებს ინდივიდუალურად. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ირიბ მტკიცებულებას იზიარებს რამეს დასადასტურებლად, იგი უნდა დარწმუნდეს მის სანდოობაში იმ გაგებით, რომ პირმა ირიბი ჩვენება მისცა საკუთარი ნება-სურვილით, რომ ჩვენება არის სწორი და სანდო (იხილეთ: „პროკურორი რადოვან კარადიჩის წინააღმდეგ“ (Prosecutor vs Radovan Karadzic) (ICTY) 2016 წლის 24 მარტი, პარაგრაფი 13).⁷²

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ტრიბუნალი ადეკვატურად აფასებს ირიბი მტკიცებულების როლს და წონას სისხლის სამართლის საქმეზე და მათ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით განიხილავს ერთი მთლიანი ობიექტური სურათის შესაქმნელად. გარდა ამისა, იგი ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობის პირობებშიც არ გამორიცხავს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას, თუ იგი გამყარებულია სხვა ფაქტობრივი გარემოებებითი მტკიცებულებებით და არის სანდო.

ირიბ მტკიცებულებებთან მიმართებით საინტერესოა, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს პრაქტიკა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სამართლისა და კონტიტენტური სამართლის ქვეყნების სისხლის საპროცესო სამართალში ირიბი ჩვენების დასაშვებობის წესები და პრინციპები ერთმანეთისგან განსხვავებულია. ესპანეთსა და იტალიაში დადგენილია ირიბი ჩვენების (მტკიცებულების) საქმეზე დასაშვებობის მინიმალური პრინციპები,

⁷² იქვე.

ხოლო ესტონეთში ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები კონკრეტიზირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ამ კუთხით საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურ განყოფილებას, რომლის შედეგებიც მეტად მნიშვნელოვანია ირიბი ჩვენების, როგორც ირიბი მტკიცებულების მიმართებით.

„საერთო სამართლის ქვეყნებში ეს კონკრეტიზაცია ხდება სასამართლო პრაქტიკით, თუმცა განსხვავებულია პოზიცია კანადაში, სადაც ირიბი ჩვენების დაშვების წესი ზოგადია და სასამართლოს ეძლევა საშუალება ზოგადი პრინციპების საფუძველზე მოახდინოს ამა თუ იმ ჩვენების მტკიცებულებად დაშვება. ამერიკის ფედერალური წესებში, განსხვავებით სხვა საერთო სამართლის ქვეყნებისა, ირიბი ჩვენების წინააღმდეგ წესის გამონაკლისების ძალიან ფართო ჩამონათვალი არსებობს. ზოგ ქვეყანაში, სადაც სამართალწარმოება დაფუძნებულია ინკვიზიციურ პრინციპებზე (მაგ. საფრანგეთი, ბელგია, გერმანია), ირიბი ჩვენება დასაშვებია და მოსამართლე წყვეტს ასეთი ჩვენების ღირებულებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 710-ე მუხლის მიხედვით, ირიბი ჩვენება დასაშვებია, რადგანაც საპროცესო კოდექსის ასეთი ჩანაწერი განსხვავდება მტკიცებითი სამართლის ზოგადი წესებიდან, ესპანურმა სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა ირიბი ჩვენების დაშვების წესები, კერძოდ, ირიბ ჩვენებას მტკიცებითი ღირებულება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკურად შეუძლებელია პირის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის 1-3 ნაწილების მიხედვით, ირიბი ჩვენების არსებობის შემთხვევაში მოსამართლემ, მხარის შუამდგომლობის ან საკუთარი ნების საფუძველზე უნდა დაიბაროს პირდაპირი მოწმე სასამართლოში. ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ პირდაპირი მოწმე გარდაიცვალა, აქვს ფსიქიკური პრობლემები, ან ,თუ მისი მოძებნა შეუძლებელია.

ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი § 66. მოწმე (1) მოწმის ჩვენება, იმგვარ ფაქტებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია მტკიცების საგანთან, რომელიც მოწმემ სხვა პირისაგან შეიტყო, არ უნდა გახდეს მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა თუ: 1) მტკიცებულების პირდაპირი წყაროს დაკითხვა შეუძლებელია კოდექსის 291 (1) ქვეპარაგრაფში მოყვანილ მიზეზთა გამო; 2) მოწმის ჩვენების შინაარსი არის ის, რაც მან მოისმინა სხვა პირისაგან, იმ გარემოებების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ იყო აღქმული მის მიერ, საუბრის განმავლობაში, ჯერ კიდევ იმის ზეგავლენის ქვეშ ,რაც მას გაანდეს და თუკი არ არის რწმენის საფუძველი, რომ ის ამახინჯებს სიმართლეს; 3) მოწმის ჩვენების შინაარსი არის ის, რაც მან მოისმინა სხვა პირისაგან და, რომელიც შეიცავს დაშვებას სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენის შესახებ ან რომელიც არის ინტერესთა კონფლიქტში თანამოსაუბრესთან; 4) მოწმის ჩვენების შინაარსი შეიცავს გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულთან. [RT I, 23.02.2011, 1 - ძალაში შევიდა 01.09.2011]

ინგლისისა და უელსის სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი ირიბ ჩვენებას განსაზღვრავს, როგორც განაცხადს, რომლებიც „სამართალწარმოებაში არ არის გაკეთებული ზეპირად, თუმცა გამოიყენება, როგორც მტკიცებულება ნებისმიერ დადგენილ საკითხთან მიმართებით“.

იმისათვის, რომ განხილული იყოს ირიბი ჩვენება, უნდა არსებობდეს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: მოწმე უნდა იყოს გარდაცვლილი; ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოწმედ გამოცხადება; უნდა იმყოფებოდეს გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ და გონივრულად შეუძლებელი უნდა იყოს მისი პროცესზე

დასწრებუზრუნველყოფა; შეუძლებელი უნდა იყოს მისი მოძებნა თუ მიღებულია ყველა გონივრული ზომა მის მოსაძებნად; პირმა უნდა გამოთქვას ჩვენების მიცემის შიში ან ჩვენების მიცემის გაგრძელების შიში. ამას გარდა ირიბი ჩვენების დასაშვებობის გამონაკლისები დადგენილია პრეცედენტული სამართლით: gestae, ანუ ნათქვამი, რომელიც ეხება კონკრეტულ ქმედებას და იგი ახლავს ამ ქმედებას; ბრალდებულის აღიარება მესამე პირთან; გარდაცვლილის ბოლო კომუნიკაცია.

გარდაცვლილის ბოლო კომუნიკაცია სანდოდ ითვლება ინგლისურ სამართალში. სასამართლო განმარტავს, რომ, ზოგადი პრინციპის მიხედვით, სიკვდილის წინ გაცხადებული ინფორმაცია, რომელიც გაანდეს მესამე პირს, როგორც წესი არის ნამდვილი და მოკლებულია ტყუილის რისკ-ფაქტორებს. ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მიმართულია სიმართლის თქმის აუცილებლობისაკენ და გააჩნია ამგვარის მოთხოვნილება. გარკვეულწილად, ინგლისური კანონმდებლობის მიერ დადგენილი ამგვარი აღქმა სწორია და, თუ სხვა გარემოებებით გამოვრიცხავთ ე.წ. „მოტივირებული შურისძიების“ ფაქტორს ბრალდებულთან მიმართებით, მაშინ სიკვდილის პირას მყოფი ადამიანის ბოლო ინფორმაცია ერთგვარად „აღსარების“ ასოციაციას იწვევს და მოწმე, რომლისთვისაც პირობითად ამგვარი „აღსარება“ გახდა ცნობილი, ნამდვილად ფასდაუდებელი ინფორმაციის მატარებელია, მიუხედავად იმისა, რომ ის სასამართლოს წინაშე გადმოსცემს გაგონილ, მოსმენილ ინფორმაციას. ამგვარი მოწმის ჩვენება ქართულ სამართალწარმოების პროცესშიც უნდა შეფასდეს უტყუარ, პირდაპირ მტკიცებულების ანალოგიური წონის მტკიცებულებად.

კანადის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გაცილებით მოქნილია და ირიბ მტკიცებულებებთან მიმართებით ორ ძირიდან გარემოებას ითვალისწინებს: თუ მტკიცებულება აუცილებელი და

დამაჯერებელია და, თუ მტკიცებულების ღირებულება უფრო წონადია, ვიდრე მისი საზიანოობა ბრალდებულისთვის. „პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ კრიტერიუმები დაკმაყოფილებული იქნება, თუ ირიბი ჩვენება აუცილებლობას წარმოადგენს იმისთვის, რათა დამტკიცდეს კონკრეტული ფაქტი, თუ პირდაპირი მტკიცებულება არ არსებობს და იმავე ხარისხის მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელია.“ კანონმდებლის განმარტებით, დამაჯერებელი მტკიცებულება არ უნდა იქნას უარყოფილი მხოლოდ იმის გამო, რომ ის არ ექვემდებარება გადამოწმებას. ირიბი ჩვენება განიხილება მისი „დამაჯერებლობისა და მისი აუცილებლობის“ კრიტერიუმებით და მის შეფასებას მოსამართლე ინდივიდუალურად ახდენს.⁷³

შოტლანდიის სისხლის სამართლის პროცედურის აქტის 259-ე მუხლის მიხედვით დადგენილია ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები, რომლებიც მოწმდება მოსამართლის მიერ:

1) ორიგინალი ფაქტის შემსწრე ან ინფორმაციის მატარებელი ვერ იძლევა ჩვენებას, რადგან

ა) პირი გარდაიცვალა ან ფსიქიკური ან ფიზიკური მდგომარეობის გამო ვერ მისცემს ჩვენებას;

ბ) პირი იმყოფება გაერთიანებული სამეფოს საზღვრებს გარეთ და არ არის გონივრული მისი პროცესზე გამოცხადების უზრუნველყოფა; აუცილებელი მოთხოვნაა ამ დროს, რომ მოწმის საკმარისი სიცხადით იდენტიფიცირება ხდებოდეს;

⁷³ ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები -ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/iribi-chvenebebi1.pdf>

გ) პირის პოვნა შეუძლებელია და, ამავდროულად, ყველა გონივრული ნაბიჯი იქნა გადადგმული მის მოსაძებნად. აუცილებელი მოთხოვნაა ამ დროს, რომ მოწმის საკმარისი სიცხადით იდენტიფიცირება ხდებოდეს;

დ) პირის მიერ ჩვენების მიცემა გამოიწვევდა მისი მაინკრიმინირებელი ჩვენების მიცემას და იგი სასამართლოს მიერ არის გათავისუფლებული ამ ვალდებულების შესრულებისგან;

ე) ან პირი გამოძახებულია მოწმედ, მაგრამ არ იძლევა ჩვენებას სასამართლოს წინაშე;

2) ამ პირის მიერ ზეპირად მიცემული ჩვენება იქნებოდა დასაშვები მტკიცებულება;

3) ეს კონკრეტული პირი იქნებოდა რელევანტური მოწმე ამ კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში;

4) და რომ ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ მოხდა იმ ფაქტების პირდაპირი აღქმა, რომლებსაც იგი გადმოსცემს სასამართლოს წინაშე. ამ რეგულირების პარალელურად შოტლანდიის სასამართლოებმა დამატებით განავითარეს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მოსამართლეებმა დამატებით უნდა შეამოწმონ, რამდენად პასუხობს სამართლიანი განხილვის მოთხოვნებს კონკრეტული ირიბი ჩვენება. ანუ ფასდება ირიბი ჩვენების დადებითი და უარყოფითი მხარეები, დაცვის და ბრალდების მხარის ინტერესების შეპირისპირების მეთოდით. შემდგომ სასამართლო გადაწყვეტილებებში სასამართლომ დამატებით განსაზღვრა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება ასევე იზღუდებოდა არაჯეროვნად, როცა გამოყენებული ირიბი ჩვენება იყო გადამწყვეტი პირის მსჯავრდებისთვის. ტერმინი „გადამწყვეტი“ ასევე შეფასდა ერთ-ერთ საქმეში, სადაც სასამართლომ აირჩია ნეგატიური

არგუმენტაციის მეთოდი და განაცხადა რომ, უნდა შეფასდეს ის, თუ რამდენად საკმარისია სხვა მტკიცებულებები პირის მსჯავრდებისთვის.⁷⁴

ირლანდიის სამართლის კომისიამ უარყო აუცილებლობის და სარწმუნოების ტესტი და დაადგინა, რომ იგი არ იყო მკაფიო. კომისიის მოსაზრების მიხედვით, ირიბი ჩვენების გამოყენება მაქსიმალურად უნდა შეზღუდულიყო და, ამავდროულად, ბრიტანული მიდგომა, რომელიც ზემოთ არის წარმოდგენილი, ასევე არ ყოფილიყო გამოყენებული. ამ მიდგომის მთავარ გამართლებად დასახელდა კონსტიტუციური სტანდარტების – მოწმეთა პირდაპირი დაკითხვის შესახებ – გაუმართლებელი შეზღუდვა.⁷⁵

ახალი ზელანდიის სამართლის კომისიამ 1999 წელს მიიღო მოხსენება მტკიცებულებების შესახებ, სადაც განისაზღვრა ირიბი ჩვენების დასაშვებობის ორი წინაპირობა – სანდოობა და აუცილებლობა.⁷⁶ მის საფუძველზე მიღებულ იქნა მტკიცებულებების შესახებ აქტი, რომლის მე-18 მუხლი ადგენს ირიბი ჩვენების დასაშვებობის წინაპირობებს: 1.გარემოებები მიუთითებენ ირიბი ჩვენების სანდოობას და 2. ორიგინალი ჩვენების მიმცემი ხელმისაწვდომი არ არის ან მოსამართლე მიიჩნევს, რომ გაუმართლებელი ხარჯები ან დრო არის საჭირო მოწმის გამოსამახებლად.⁷⁷

EA-ს მე-16 მუხლის მიხედვით დადგენილია იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელიც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული: (1) ჩვენების ბუნება, (2) ჩვენების შინაარსი, (3) ის გარემოებები, რომლებიც არსებობდნენ ჩვენების მიცემისას, (4) ნებისმიერი გარემოება, რომელიც ეხება პირის ჩვენების

⁷⁴ Criminal Procedure (Scotland) Act 1995

www.legislation.gov.uk/ukpga/1995/46/part/XII/crossheading/hearsay/data.pdf

⁷⁵ Consultation Paper On Hearsay In Civil And Criminal Cases, Law Reform Commission, 2010

http://www.lawreform.ie/_fileupload/Hearsayfull.pdf

⁷⁶ Evidence Report, 55 – Volume 1, Law Commission, 1999, par 52-59. აქტი განთავსებულია ვებ

გვერდზე: <http://www.lawcom.govt.nz/sites/default/files/publications/1999/08/Publication_55_155_R55%20Vol%201.pdf

⁷⁷ EA-s (Evidence Act) 26-e მუხლი. 04.12.2006 წ. აქტი განთავსებულია ვებ გვერდზე:

< <http://www.legislation.govt.nz/act/public/2006/0069/latest/DLM393463.html> >

სანდოობას, (5) ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელიც პირის გადმოცემის სიზუსტეს ეხება.

EA-ს მერვე მუხლის მიხედვით, მტკიცებულება უნდა იქნას საქმიდან ამოღებული, თუ მისი მტკიცებითი ფუნქცია უფრო მცირეა, ვიდრე სამართალწარმოებაზე მისი პოზიტიური გავლენა, ან იწვევს სამართალწარმოების გაჭიანურებას. ანუ, ამ დროს ფასდება პროპორციულობა და ბალანსი მტკიცებულების დადებით და უარყოფით მხარეებს შორის და მხედველობაში მიიღება ბრალდებულის უფლებები.

ახალი ზელანდიის სამართლის კომისიამ 2013 წელს კვლავ ჩაატარა ახალი კვლევა მტკიცებულებების გარშემო, EA-ს იმპლემენტაციასთან დაკავშირებით და წარმოადგინა რიგი რეკომენდაციებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ირიბი ჩვენების საკითხები, რომლებიც ეხებიან ჯგუფური დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრების მიერ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ინფორმაციის მიწოდებას. კომისიის განცხადებით, ირიბი ჩვენება ამ შემთხვევაში უნდა იყოს დასაშვები, თუკი სამი პირობა კუმულაციურად არსებობს:

- არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სახეზეა დანაშაულში პირთა სიმრავლე;

- არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ბრალდებული იყო საერთო დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრი;

- ირიბი ჩვენება ეხება ისეთ საკითხს, რომლებიც საერთო დანაშაულებრივობის ნაწილს წარმოადგენენ;

სამხრეთ აფრიკა საერთო სამართლის გავლენას განიცდიდა ყოველთვის, კოლონიური მმართველობიდან გამომდინარე. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყანას აქვს საკმაოდ გამართული და ჯეროვანი სამართლებრივი სისტემა. შესაბამისად, ირიბი ჩვენების საკითხიც საკმაოდ კარგად არის დარეგულირებული. დასაშვებობის პირობები განსაზღვრულია პირდაპირ კანონმდებლობაში. ზოგადი წესის მიხედვით, არ არის დასაშვები ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

- იგი დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით;
- დაიკითხება ის პირი, რომელიც დაადასტურებს ჩვენების სანდოობას;
- ან, სასამართლოს მიაჩნია, რომ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე მტკიცებულება უნდა იქნას დაშვებული.

ამ მიმართებით მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს: (1) სამართალწარმოების ბუნება, (2) მტკიცებულების ხასიათი, (3) მტკიცებულების წარმოდგენის მიზანი, (4) მტკიცებულების ღირებულება, (5) ის მიზეზი, თუ რატომ არ ხდება პირის მიერ ჩვენების მიცემა, (6) ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს შეიძლება მიაღეს ამ მტკიცებულების დაშვებისას და (7) ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც, სასამართლოს აზრით, უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.

სამხრეთ აფრიკის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა საკმაოდ მკაცრი ტესტი, რომლის მიხედვითაც მოსამართლეებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა დაუშვან ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის პროცესში, როცა ამ უკანასკნელს აქვს გადამწყვეტი როლი პირის მსჯავრდებისას. ამ შემთხვევაში, აუცილებელია მოსამართლეს წარედგინოს შესაბამისი მკაფიო და აუცილებელი საფუძვლები ირიბი ჩვენების დასაშვებობის შესახებ. სასამართლოს შეფასებით აუცილებლად უნდა დადგენილიყო ირიბი ჩვენების

სანდოობის საკითხი. ამავდროულად ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის არგუმენტი, რომ ირიბი ჩვენების შინაარსის გაბათილება შესაძლებელი იყო თავად ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემით. ეს შემთხვევა ჩაითვალა დუმილის უფლების საწინააღმდეგო რეგულირებად.

სამხრეთ აფრიკის უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად ცნო ირიბი ჩვენება ისეთ საქმეებში, სადაც მას სხვა მტკიცებულებებთან შედარებით გადამწყვეტი და ცენტრალური როლი ჰქონდა. სასამართლოს განცხადებით, ამ შემთხვევაში ირიბი ჩვენება იყო სანდო, მჭიდროდ იყო დაკავშირებული და შეჯერებული სხვა მტკიცებულებებთან. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სხვა საქმეში, ასევე, დაადგინა, რომ ირიბი ჩვენება დაიშვებოდა ისეთ საქმეებში, სადაც მას ჰქონდა მტკიცებულებითი მოზაიკის” შევსების ფუნქცია და არ წარმოადგენდა ბრალდების მხარის მთავარ არგუმენტს.⁷⁸

„ირიბი ჩვენების საკითხის გადაწყვეტისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლის როლი. მოსამართლე არ უნდა იდგეს ზედმეტად ბუნდოვანი დილემის წინაშე - დაუშვას თუ არა ირიბი ჩვენება საქმეში. გადაწყვეტილების მიღებისას, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მკაფიო საკანონმდებლო მოწესრიგება საკითხზე და, ამავდროულად, უნდა შეეძლოს მტკიცებულების სანდოობისა და უტყუარობის რეალური შემოწმება. ამ კუთხით, გადამწყვეტი როლი ენიჭება წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს, რომელმაც უნდა შეასრულოს რეალური ფილტრის როლი, რათა არსებით განხილვაზე არ დაიშვას ისეთი მტკიცებულება, რომელიც თავისი ბუნებით არაა სანდო და მაღალი მტკიცებულებითი ხარისხის, მაგრამ,

⁷⁸ Review Of The Law Of Evidence (Hearsay And Relevance), Discussion Paper 113, South African Law Reform Commission, 2008. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე <http://salawreform.justice.gov.za/dpapers/dp113.pdf>

შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მოსამართლის თუ ნაფიცი მსაჯულების შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე.⁷⁹

მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის, თანასწორობისა მტკიცებულებათა სასამართლოზე გამოკვლევის პრინციპები არ მოიცავენ ირიბი მტკიცებულებების აკრძალვის მოთხოვნას. თუმცა რეკომენდირებულია დადგენილი იქნას კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობა და ირიბ მტკიცებულებათა ჩართვა მტკიცებულებათა ერთიან სტანდარტში, რომელიც საფუძვლად დაედება გამამართლებელ ან/და გამამტყუნებელ განაჩენს. მართლმსაჯულების სტანდარტის სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია გარკვეული ბალანსის დაცვა, რათა ირიბი მტკიცებულებების წონალობამ არ დაარღვიოს მხარეთა შეჯიბრებითობის ფუნდამენტალური დებულებები და პრინციპები, ამისთვის დასადგენია მოსამართლის დისკრეციის კრიტერიუმები და აღმოსაფხვრელია ის ბუნდოვანება, დაშვებული უნდა იქნას თუ არა და უნდა დაეყრდნოს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება ირიბი მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნული საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ მტკივნეულად დგას სამოხელეო დანაშაულის გამოძიება-სასამართლო განხილვასთან მიმართებით და დღეის მდგომარეობით არსებული სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკის გამომწვევი მთავარი მიზეზია.

⁷⁹ იმნაძე გ. „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი“ (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) . ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2015 წ., გვ. 27-28.

თავი IV

ცრუ დასმენა სამოხელეო დანაშაულში

ცრუ დასმენა, როგორც დანაშაული, კაცობრიობის განვითარების პირველივე სტადიებიდან იღებს სათავეს. მას შემდეგ, რაც ადამიანმა შექმნა პირველი კანონი და დააწესა ქმედების არამართლზომიერებაზე სასჯელი, შექმნა სახელმწიფო ინსტიტუტები, სასამართლო, საგადასახადო და საპოლიციო ორგანოები, აღნიშნულმა დანაშაულმა იმ დღიდან შეიძინა აქტუალობა, როგორც საერო ისე რელიგიურ სამართალში. ცრუ დასმენა იმთავითვე შეფასებული იქნა, როგორც მართლმსაჯულების ობიექტურად განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ხელისშემშლელი ფაქტორი. თავისი ბუნებით იგი ადამიანის მიერ წინასწარ გააზრებულ და დაგეგმილ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება და მისი გაუფრთხილებლობით ან/და დაუდევრობით ჩადენა გამორიცხულია. განსხვავებით ცრუ ჩვენებისაგან, ის არ შეიძლება სპონტანურად წარმოქმნილ სიტუაციურ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების ან/და სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვისკენ მიმართულ ქმედებად შეფასდეს. საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ცრუ დასმენა შედის მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულთა თავში და გაწერილია 373-ე მუხლში:

„მუხლი 373. ცრუ დასმენა

1. დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

2. იგივე ქმედება, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ანდა ბრალდების მტკიცებულების ხელოვნურად შექმნა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით;

ბ) რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.⁸⁰

როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა ცრუ დასმენა თავისი ბუნების, არსის და გამოწვეული ზიანის მიხედვით, სამ ნაწილად დაყო და შედეგის სიმძიმის მიხედვით, სხვადასხვა სასჯელის ზღვარის დაწესებით, მისი ხასიათის საშიშროებას გაუსვა ხაზი. ცრუ დასმენა ცილისწამების მძიმე ფორმაა და ის რელიგიური თვალსაზრისითაც მძიმე ცოდვათა კატეგორიას განეკუთვნება. ბიბლიის მიხედვით, ცილისწამება მე-9 მცნებაშია გაწერილი: „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.“⁸¹ ღირსი მამა ანტონი წერს: „ურჩხულის ენა ნაკლებ საშიშია, ვიდრე ენა ცილისმწამებლისა, რადგან ასეთი კაცი ჩხუბსა და განხეთქილებას აგდებს მშვიდობით მცხოვრებ ადამიანთა შორის, სთესავს ბოროტებასა და ღვარძლს ახლობლებში, არღვევს ერთობას. ვინც ასეთ ადამიანს სახლის კარებს გაუღებს, თვითონაც ცოდვის მორევში ჩავარდება. ასეთ კაცთან ურთიერთობა მკვლელთან ურთიერთობას ნიშნავს“⁸²

ბიბლიის ანალოგიურად, ყურანიც გმობს ცილისწამებას და მას უდიდეს ცოდვად მიიჩნევს. ცილისწამებას, როგორც ცოდვას იხსენიებს, ბუდიზმიც: „ათ შავ ცოდვად“ ლამაიზმი ასახელებს: მკვლელობას, ქურდობას, „არასწორ

⁸⁰ „სისხლის სამართლის კოდექსი“ მუხ.373

⁸¹ „ბიბლია, 10 მცნება“ <http://www.orthodoxy.ge/sakhli/10mtsneba.htm>

⁸² იქვე

შეერთებას“, ტყუილს, ცილისწამებას, ბოროტისმეტყველებას, ამაოდმეტყველებას, სიხარბეს, მრისხანებას, „ცრუ წარმოდგენებს.“⁸³

როგორც ვხედავთ, ცრუ დასმენა ერთნაერად დასჯადი და დასაგმობია როგორც საერო სამართლის, ისე სხვადასხვა რელიგიური სამართლისა და დოქტრინის მიხედვით.

4.1 ცრუ დასმენის დანაშაულებრივი ბუნება და მისი ობიექტი

ადამიანის პატივი, ღირსება და რეპუტაცია, მისი თავისუფლება - ეს ის არამატერიალური და მორალური ღირებულებებია, რომლებიც დაცულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ადამიანის პატივისა და ღირსების შესახებ მსჯელობა და პოლემიკა უძველესი დროიდან იღებს სათავეს და ამ საკითხის ანალიზით იყვენენ დაკავებულნი ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები, ამ ღირებულებებზე წერდნენ სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ქსენოფონტე და სხვები. თანამედროვე გაგებით და სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ცრუ დასმენის ობიექტია: „მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი, დამატებითი ობიექტი კი - ადამიანის პირადი თავისუფლება, მისი პატივი და ღირსება.“⁸⁴ ეს განმარტება, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ ჩვენ მიერ განსახილველ საკითხთან მიმართებით არასრულყოფილია. კერძოდ, მისი ობიექტი, იმ შემთხვევაში, როცა ეს დანაშაული მიმართულია საჯარო მოხელის წინააღმდეგ და თუკი ის უკავშირდება მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს ჩადენილ დანაშაულში ცრუ დასმენას, მისი ობიექტი ავტომატურად ხდება სახელმწიფო, მისი ინსტიტუტების პრესტიჟი

⁸³ ბუდიზმი. <https://sites.google.com/site/religiebi/budizmi>

⁸⁴ მამულაშვილი გ. და ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი II. გამომცემლობა მერიდიანი, 2012 წ., გვ. 356

და სახელი. დამნაშავის ქმედება და განზრახვა შეიძლება მოიცავდეს, როგორც ერთი კონკრეტული მოხელის პატივისა და ღირსების შეზღავანას, ასევე, მთელი სახელმწიფო ინსტიტუტის დისკრედიტაციას და მისი ნორმალურად ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას. ამ კონტექსტში საჯაროდ გამოთქმული დაუსაბუთებელი ეჭვიც კი დამანგრეველ ეფექტს იძლევა სახელმწიფო ინსტიტუტების ნდობის, პატივისა და ავტორიტეტის მიმართ. რა თქმა უნდა ამგვარ აკრძალვას სისხლის სამართლის კოდექსი არ ადგენს, იგი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპების დაცვითაა გარანტირებული, რაც, ასევე, კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ ამგვარ ქმედებას, თუ მას მიზანმიმართული და პერმანენტული ხასიათი ეძლევა არაფერი აქვს საერთო სიტყვის თავისუფლებასთან და პირდაპირ ხელყოფს სახელმწიფოს ინტერესებს.

ცრუ დასმენის ობიექტად სახელმწიფო ინტერესებს ასახელებს ქართული სამართლის ძეგლებიც, რომლებშიც ცრუ შესმენა და ტყუილად დამბეზღებლობაა აღწრილი. მაგალითად, ვახტანგ ბატონიშვილის მიხედვით: „ტყუილად დამბეზღებელსა ორი დანაშაული აქუს: არც ხელმწიფის დოვლათისათვის სჯობს [და] ვისაც დააბეზღებს, ის მკუდარი არის იმ მობეზღარისაგან.“⁸⁵ ისტორიკოსების აზრით, სახელმწიფოს დოვლათში არა მხოლოდ მატერიალური შემადგენელი იგულისხმებოდა, არამედ მეფის სასამართლოს ავტორიტეტი და მისი სამართლიანობა. ცრუ შესმენას, თუკი ის მეფის, სახელმწიფოს ღალატსა და მეკობრეობას მოიცავდა, შესაძლოა, დასმენილის სიკვდილით დასჯა მოჰყოლოდა, რითაც, ერთი მხრივ, სახელმწიფო კარგავდა „ერთგულ ყმას“, როგორც მეომარს ან/და მოხელეს და, მეორე მხრივ, დასმენილის ოჯახი დაკარგავდა ქონებას, სარჩო-საბედებელს. ანალოგიური ნორმაა გადმოცემული დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნში (მუხ. 208), თუმცა ამ შემთხვევაში სახელმწიფო ინტერესების ხელყოფის

⁸⁵ დოლიძე ი. „ქართული სამართლის ძეგლები“, თბილისი, 1963 წ., ტ. 1, გვ. 545

შესახებ კონკრეტიკა არ არის. აღსანიშნავია, რომ ორივე სამართლის წიგნი მხოლოდ მძიმე სახელმწიფო დანაშაულებისათვის აწესებდა „სისხლის ფასის“ გადახდას, ხოლო სხვა სახის დანაშაულში ცრუ დასმენისათვის „საუპატიოს“ გადახდა იყო სასჯელის ფორმად მიღებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის ან მეკობრეობისთვის ცრუ შემსმენელი, შესაძლებელი იყო, ტანჯვას და წამებას დაექვემდებარებოდა: „ტანჯვა იქნების მაშინ, ოდეს მსაჯული, რომელსაცა ზედა იჭუვულობს და შესმენილი არა მწადნელ არს აღსარებად დანაშაულისა და არცა ტვირთვად მისა, მაშინ ჯერ-არს ტანჯვითა გამოკითხვად და გამოცდად, რათამცა ზედმიწვნილ იქმნეს საქმე მართალი.“⁸⁶ აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ სამართლის ძეგლებში ტანჯვა სხვა მსუბუქი დანაშაულში ცრუ დასმენისათვის და დამსმენის აღიარებითი ჩვენების მისაღებად არ გამოიყენებოდა, რითაც კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოსთვის მძიმე დანაშაულში „ტყუილად დაბეზლება“. ამ მცირე ისტორიული ექსკურსითაც ნათელი ხდება, რომ სახელმწიფო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საკუთარ მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას და განსაკუთრებით მათი მძიმე დანაშაულში ცრუ დასმენას, ვინაიდან სწორედ სახელმწიფოს ინტერესს აყენებდა ხელყოფის პირველ ობიექტად ასეთი დანაშაულის ჩადენისას და შემდეგ - მოქალაქისას.

დანაშაულის მოტივთან მიმართებით სამართლებრივ სფეროში მოღვაწე მეცნიერთა დიდ ნაწილს შორის კონსესუსია და, ფაქტობრივად, ყველა თანხმდება, რომ მოტივი შეიძლება იყოს სხვადასხვა და მას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. „ეს შეიძლება იყოს შურისძიების, უდანაშაულო პირის დასჯის, ანგარებისა და სხვა მოტივი. ამასთან გამორიცხული არ არის, რომ ზოგჯერ ცრუ დასმენა გამოწვეული იყოს დანაშაულთან ბრძოლის მეთოდების დამახინჯებული წარმოდგენით,

⁸⁶ ფურცელაძე დ. „სამართალი ბატონიშვილი დავითისა“ თბილისი 1964 წ. მუხ.245

პოლიტიკური ხასიათის ამბიციით.⁸⁷ მიუხედავად იმისა, რომ სრულად ვიზიარებ აღნიშნულ მოსაზრებას კვალიფიკაციასთან მიმართებით, უნდა აღვნიშნო, რომ დანაშაულის მოტივის და განზრახვის დადგენა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია იმ კატეგორიის დანასაულის გამოძიებისას, როდესაც ადგილი აქვს ცრუ დასმენას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, მისი ბოროტად გამოყენების ან/და ქრთამის აღების საქმეებზე.

სამართალწარმოებაში ცრუ დასმენა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. მაგალითად: ეს შეიძლება იყოს ტელეფონიდან გაკეთებული საჯარო განცხადება, სოციალურ ქსელში ღია სტატუსის ფორმით გაკეთებული განცხადება, ბეჭდურ მედიაში გაკეთებული განცხადება ან მიცემული ინტერვიუ, წერილობითი მიმართვა სამართალდამცავი ორგანოებისადმი, ზეპირი სატელეფონო შეტყობინება, მოწმის სახით გამიკითხვისას მიცემულ ჩვენების დროს და ა.შ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლი არეგულირებს გამოძიების დაწყების საფუძვლებს, კერძოდ: „გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.“⁸⁸ როგორც ვხედავთ, სახელწიფოს ვალდებულებაა ნებისმიერი სახით და ფორმით ინფორმაციის მიღებისას, თუკი ის ეხება დანაშაულის ფაქტს დაიწყოს გამოძიება. გამოძიების დაწყება და ჩატარება თავის მხრივ მოიცავს მთელ რიგ ქმედებათა ერთობლიობას, მიმართულს კონკრეტული დანაშაულის გახსნისკენ და დამნაშავეთა მხილების, დადგენისა და დაკავებისკენ. თეორიულად რომც გამოვრიცხოთ უდანაშაულო პირის ბრალდების შესაძლებლობა, ზემოთჩამოთვლილი მიზნების შესასრულებლად

⁸⁷ მამულაშვილი გ. და ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი II. გამომცემლობა მერიდიანი, 2012 წ., გვ. 357

⁸⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ 101-ე.
<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=95>

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უნდა განხორციელდეს უამრავი საგამოძიებო მოქმედება, რაც, შესაბამისად, მოითხოვს როგორც ადამიანური შრომის რესურსს, ისე მატერიალურ რესურსებს, რისი გაღებაც ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს უწევს. ამდენად ცრუ დასმენა, როგორც დანაშაული და მისი გამოძიება ამ ასპექტიდან კი სახელმწიფოს რესურსების არამიზანშეწონილ და ფუჭ ხარჯვას იწვევს და, შესაბამისად, ზიანის მომტანია სახელმწიფოსათვის მატერიალური თვალსაზრისითაც. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი საგამოძიებო პრაქტიკიდან.

საქართველოს მთავარი პროკურატურაში მოქალაქე გ.ხ-ს განცხადების საფუძველზე დაწყებული იქნა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს პროკურატურის ცალკეული თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

მოქალაქე გ.ხ განცხადებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს პროკურატურის ცალკეული თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული იქნა იძულება, კერძოდ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ იგი აიძულეს აეღო სესხი ერთ-ერთი ბანკიდან 50 000 ლარის ოდენობით და „ეყიდა“ თავისუფლება. იგი მიცემული იყო სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის. ამასთან, გამოკითხვისას მიცემულ ჩვენებაში მან მიუთითა, რომ მისი პატიმრობის პერიოდში მასზე ხორციელდებოდა სასჯელაღსრულების სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიერ ფიზიკური ძალადობა, რამაც გამოიწვია მისი

ჯანმრთელობის დაზიანება და დიაბეტის განვითარება, რაც დადასტურებული იყო შესაბამისი დიაგნოზით.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის აპრილის თვეში, გ. ხ-ს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეეცვალა გირაოთი 50 000 ლარის ოდენობით და გათავისუფლდა საპატიმრო დაწესებულებიდან. 2011 წლის 14 დეკემბერს, პროკურატურასა და ბრალდებულ გ.ხ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით, 05 (ხუთი) წლის გამოსაცდელი ვადით, მასვე დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით. გამოძიებით დადგენილი იქნა, რომ გ.ხ-ს ოჯახის წევრებს ნამდვილად ჰქონდათ აღებული კრედიტი ბანკიდან, ოღონდ აღნიშნული თანხა მოხმარდა არა გ.ხ-ს გირაოსა და შემდგომ უკვე მასთან საპროცესო შეთანხმებას, არამედ ოჯახის კერძო ბიზნესს. რაც შეეხება გადახდილ 50 000 ლარს, გამოძიებით ასევე დადგენილი იქნა პირი, რომელმაც შეიტანა უშუალოდ ანგარიშზე მითითებული თანხა. მისი ჩვენებით თანხა საჩუქრად გამოყო გ.ხ-ს მეგობარმა და იგი უკან გ.ხ-სთვის არ მოუთხოვია. ანალოგიური ჩვენება მისცა გ.ხ-ს ადვოკატმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა მისი დაცვის ქვეშ მყოფთან ნებაყოფლობით ყოველგვარი უძულების გარეშე. დადგენილი და გამოკითხული ქნა გ.ხ-სთვის 50 000 ლარის მჩუქებელი პირიც, რომელმაც მისი საქციელი ავადმყოფი მეგობრის დახმარების სურვილით ახსნა.

გამოძიების პროცესში, პენიტენციური დეპარტამენტის №8 დაწესებულებიდან და შპს „ალ.წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრიდან“ გამოთხოვილი იქნა გ.ხ-ის სამედიცინო ბარათი (ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ისტორია), რითაც დასტურდება, რომ გ.ხ დაავადებულია შაქრიანი დიაბეტით, რამაც მოგვიანებით გამოიწვია ორივე თირკმლის ფუნქციის მოშლა. მოწმის სახით გამოკითხულმა გ.ხ-ს პირადმა ექიმმა განმარტა, რომ გ.ხ-ს აქვს შაქრიანი დიაბეტი (ტიპი II ინსულინდამოკიდებული). პაციენტს შაქრიანი დიაბეტი აქვს 11 წლის ხანდაზმულობით, რის ფონზეც, მას განუვითარდა დიაბეტური ნეფროპათია. მან ასევე აჩვენა, რომ გ.ხ-ს არასდროს უხსენებია თირკმელების ან სხვა ორგანოების ფიზიკური ზემოქმედებით დაზიანების შესახებ. ასევე, არაფერი უხსენებია ციხეში ყოფნისას არასათანადო მკურნალობის შესახებ. ნ.ნ განმარტა, რომ გ.ხელაშვილის თირკმელების დაზიანება გამოწვეულია არა ფიზიკური ტრავმით, არამედ მისი ძირითადი დაავადებით - შაქრიანი დიაბეტით, რომელიც პაციენტს დაკავებამდე წლებით ადრე განუვითარდა და შესაბამისად აყვანილი იყო პოლიკლნიკაში აღრიცხვაზე. გამოძიებით დადგენილი და დაკითხულნი იქნენ გ.ხ-ს თანასაკნელები და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები, რომელთა ჩვენებების მიხედვით, გ.ხ-ს მიმართ არ ჰქონია ფიზიკურ ძალადობას ადგილი პატიმრობაში ყოფნისას. საქმეზე შეკრებილი იქნა სხვა წერილობითი მტკიცებულებებიც, რომელთა ერთობლიობით დადგინდა, რომ გ.ხ-ს მიერ განცხადებასა და საკუთარ ჩვენებაში ასახული ინფორმაციის არცერთი ეპიზოდი არ შეესაბამებოდა რეალობას და საქმეზე შეწყვეტილი იქნა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ გ.ხ-ს განცხადება შეიცავდა ორი სახელმწიფო სტრუქტურის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ დანაშაულის ნიშნებს. რითაც განმცხადებელი ცდილობდა, ცალკე

პროკურატურის და ცალკე პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა დისკრედიტაციას, ამ უკანასკნელთა მიმართ მისი „ბრალდება“ შეიცავდა ძალადობასაც, რაც, თავის მხრივ, მძიმე კატეგორიის დანაშაულში ცრუ დასმენას წარმოადგენდა. გ.ხ-ს საკუთარი ვერსიის საზოგადოებისთვის რეალობად შესაღებას ცდილობდა სხვადასხვა სატელევიზიო ეთერებიდანაც და საჯაროდ მოითხოვდა დამნაშავეთა დასჯას და მისი კანონიერი უფლებების აღდგენას. უნდა აღინიშნოს, რომ გ.ხ-ს მიერ წარმოებულმა, ერთი მხრივ, ცრუ პროპაგანდამ და, მეორე მხრივ, მისმა განცხადებამ და ჩვენებებმა დააზიანეს არა მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების რეპუტაცია და კონკრეტულ საჯარო მოხელეთა ღირსება და პატივი, არამედ საგამოძიებო ორგანოს მხრიდან გაწეული 6 თვიანი მუშაობის პროცესში ფუჭად და არამიზანშეწონილად იქნა გახარჯული, როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსი. ზემოაღნიშნული საქმე ცხადყოფს, რომ არაკეთილსინდისიერი მოქალაქის მიერ გაკეთებულმა ცრუ საჯარო განცხადებებმა (როგორც ტელეთერში ისე ბეჭდურ მედიაში), მის მიერ დანაშაულის შესახებ შეთხზულმა ვერსიებმა, ზიანი მიაყენა სახელმწიფო ინტერესებსაც, მისი ინსტიტუტების პრესტიჟსა და სანდოობას, და ამ დანაშაულის პირდაპირ თუ ირიბ ობიექტს სახელმწიფოც წარმოადგენს.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც კონკრეტული პირი საჯაროდ აცხადებდა, რომ მას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გამოსძალეს ქრთამი. მისივე განცხადებით, მას ჰქონდა ინფორმაციები, რომ ქრთამის ინსტიტუტი საპატრულო პოლიციაში აღდგა და ქრთამს ყოველდღიურად იღებდნენ სამართალდამცავები, თუმცა მას შემდეგ, რაც პირადად მოუხდა მათთან შეხება და პირადად გადაიხადა კონკრეტული ავტოსაგზაო დარღვევის არ გაფორმების სანაცვლოდ ქრთამი 30 ლარის ოდენობით, თავად დარწმუნდა პოლიციელთა კორუმპირებულობაში. საჯარო სივრცეში გაკეთებული ამ განცხადების გამო დაწყებული და ჩატარებული იქნა გამოძიება, რომლითაც

დადგინდა, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია და, რომ ამ პირმა სხვა პირის მიერ მისთვის მოთხოვნილი აშავი - თავის თავზე მომხდარ აშხად გაასალა. აქვე აღსანიშნავია, რომ, თითქოსდა, დიდი ხნის გასვლის გამო ვერც ამ ისტორიის პირველწყაროს ვინაობა გაიხსენა. ამ შემთხვევაშიც სახეზეა სახელმწიფოს კონკრეტული სტრუქტურის მიზანმიმართული დისკრედიტაციის ფაქტი, რაც, ასევე, აზიანებს სახელმწიფოს ინტერესებს და მისი ინსტიტუტების რეპუტაციას.

ცალკე უნდა აღინიშნოს კრიმინალურ სამყაროსთან სახელმწიფოს მიერ შეურიგებელი ბრძოლის საჯაროდ გამოცხადებისა და პრიორიტეტად დასახელების შემდგომ კრიმინალური სამყაროს რეაგირების და კრიმინალური მენტალიტეტის ახლებური ფორმაციის შესახებ. სამართალდამცავთა წინააღმდეგ ჩვენების მიცემა და მათი ქმედებების შესახებ საჩივრით მიმართვა კრიმინალურ წრეებში ადაპტირებულ და ჩვეულ მეთოდად იქცა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ხშირად ბრალდებულები/მსჯავრდებულები დამკავებელი პოლიციელების ან/და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მისამართით კონკრეტული შეთხზული ბრალდებების ავტორებად გვევლინებიან. მაგალითად, ნარკოტიკული დანაშაულისათვის დაკავებულთა დიდი უმრავლესობა საჩივარ-განცხადებებში მიუთითებს, რომ მათ ნარკოტიკი „ჩაუდეს“, დაკავებისას მათ მიმართ დარღვეული იქნა შესაბამისი პროცედურები, აიძულეს ჩვენების მიცემა, ადგილი ჰქონდა მათ მიმართ ძალადობრივ ქმედებებს და ა.შ. თითოეული ასეთი საჩივარ-განცხადება ითხოვს შესაბამის რეაგირებას, გამოძიების დაწყებას და მისი სრული მოცულობით ჩატარებას. აღნიშნული კი ისევ და ისევ სახელმწიფოს მხრიდან დიდ რესურსს მოითხოვს და, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირებისა, აყენებს სახელმწიფოს კონკრეტულ ინსტიტუტებს და მათ რეპუტაციას გამოუსწორებელ ზიანს. მიუხედავად ასეთი სახის საჩივარ-განცხადებებზე ჩატარებული გამოძიებებისა, რეალური მაჩვენებელი,

რომელიც პოლიციელთა ან სხვა სამართალდამცავთა მხრიდან გადაცდომების ან დანაშაულის ჩადენას დაადასტურებდა, პროცენტულად გაცილებით მცირეა ე.წ. „მამხილებელ“ საჩივრებთან შედარებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ვალდებულია და უნდა ჩაატაროს კიდევ სრულყოფილი გამოძიება თითოეულ განცხადებაზე, ვალდებულია და უნდა მოახდინოს კიდევ თითოეული მხილებული საჯარო მოხელის დასჯა კანონის შესაბამისად, რათა თავიდან იქნას აცილებული უდანაშაულო პირთა მსჯავრდება და არ მოხდეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესაძლო დარღვევის ფაქტების რეაგირების გარეშე დატოვება. მიუხედავად სახელმწიფოს ნებისა და მის მიერ გატარებული სისხლისამართლებრივი პოლიტიკისა, მიუხედავად სამართალდამცავი ორგანოების მიერ მხილებული და დასჯილი დამნაშავე საჯარო მოხელეთა მაჩვენებლისა, ეს მაჩვენებელი ვერ ხდება საპირწონე საზოგადოებაში ხშირად ხელოვნურად ფორმირებული აზრისა, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები თავად არიან „დამნაშავეებით დაკომპლექტებული“, არიან „უუნარონი“, ან არიან „კრიმინალურ სამყაროსთან გარიგებულნი“, რომ ისინი არღვევენ ადამიანის კონსტიტუციით დაცულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. აღნიშნული აზრის ფორმირებას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი ობიექტური საფუძვლებიც, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი განწყობების ჩამოყალიბებას და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ხელს უწყობს ცალკეულ პოლიტიკოსთა თუ ე.წ. „ცნობადი სახეების“ უაპელაციო განცხადებები, გაკეთებული საკუთარი პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. XXI საუკუნეში დემოკრატიულ საზოგადოებაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პირობებში წარმოუდგენელია სახელმწიფომ რამე საკანონმდებლო ნორმა დააწესოს, რომელიც ამგვარი ინფორმაციის გავრცელებას აკრძალავდა ან/და შეზღუდავდა, მაშინ, როცა თავისუფალი ტრიბუნა, მასმედია და სოციალური ქსელები ამის უკიდევანო შესაძლებლობას იძლევა, თუმცა სახელმწიფოს

ხელში რჩება ბერკეტი, ცრუ დასმენის, ცრუ ჩვენების, ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების აკრძალვისა და მათი დასჯადობის კუთხით, რაც ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული და ამუშავებული. ცრუ დასმენის, როგორც დანაშაულის ობიექტების ჩამონათვალში ადამიანის პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის შელახვასთან ერთად სახელმწიფო ინტერესების შელახვაც არც თუ იშვით გამოწვევას და გვევლინება და, ჩემი აზრით, სამართლებრივი ანალიზიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, იგი დანაშაულის ობიექტად უნდა იყოს დაფიქსირებული.

4.2 მსგავსება, განსხვავება და ურთიერთგადაფარვის ელემენტები ცრუ დასმენისა და ცრუ ჩვენების ანალიზისას.

ცრუ დასმენასა და ცრუ ჩვენებას შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე დღემდე მიმდინარეობს სამართლებრივ სფეროში მოღვაწე მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა შორის დისკუსიები.

მაგალითისთვის ო.ჯორბენაძე სტატიაში „რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენისა და მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის თაობაზე“, აღნიშნავს, რომ „ცრუ ჩვენებისა და ცრუ დასმენის ნორმები ერთმანეთს გადაფარავს და ფაქტობრივად ერთ ქმედებას ორი ნორმა აწესრიგებს. მეტი სიცხადისათვის, განვიხილოთ, რა არის ცრუ ჩვენება და ცრუ დასმენა. კოდექსი ამ ტერმინებს არ განმარტავს. რეალურად, ცრუ ჩვენება შეიძლება მოიცავდეს ცრუ დასმენას, ან პირიქით – ცრუ დასმენა შეიძლება გაკეთდეს ცრუ ჩვენების მიცემისას. თავისთავად „ცრუ ჩვენება“ გულისხმობს არა მარტო „ჩვენებას,“ არამედ ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების დროს მიწოდებულ ინფორმაციას – ამოცნობა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩვენების ადგილზე შემოწმება და სხვა. ჩვენება, შეიძლება, შეიცავდეს მონაცემებს მხოლოდ ფაქტის შესახებ და ამ

დროს განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება არის ცრუ ჩვენება კლასიკური გაგებით, ხოლო, თუ ჩვენება შეიცავს არა მარტო ფაქტის აღწერას, არამედ მიუთითებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ და ეს წინასწარი განზრახვით მიწოდებული არასწორი ინფორმაციაა, ეს ჩვენება ერთდროულად არის „ცრუ ჩვენება“ და „ცრუ დასმენაც.“ სწორედ აქ აწყდება პრაქტიკა უმთავრეს პრობლემებს, კერძოდ: სსკ-ის 370-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად – ცრუ ჩვენების მიცემა, „თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში“ – ისჯება...; ამავე დროს, 373-ე მუხლის მეორე ნაწილი, ფაქტობრივად, აყალიბებს იმავე შემადგენლობას – ცრუ დასმენა, „თუ მას თან ერთვის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდება“ – ისჯება...“ ⁸⁹ სტატიაში ავტორი, ასევე, ეხება სსსკ-ის ამჟამად გაუქმებულ ნორმას „ცილისწამებას“ (რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი) და მის მსგავსებას ზემოთ აღნიშნულ მუხლებთან. ავტორი მიჯნავს ცრუ ჩვენებისას პირის მამხილებელ და ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ შინაარსობრივ ჩვენებებს და აღნიშნავს, რომ საბოლოოდ ცრუ დასმენას მაშინ აქვს ადგილი, როცა პირის მამხილებელ ცრუ ჩვენებასთან გვაქვს საქმე და არა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში მიცემულ ჩვენებასთან. დასკვნის სახით კი სთავაზობს კანონმდებელს, რომ ურთიერთგადაფარვიდან გამომდინარე და მეტი სიცხადისათვის: „370-ე მუხლი მოწმესთან და დაზარალებულთან მიმართებით შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. „მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, რომელიც არ შეიცავს მითითებას კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ...“

⁸⁹ ჯორბენაძე ო.-, „რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენისა და მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის თაობაზე.“ ჟურნალი „მართმსაჯულება და კანონი“ N1(44), 15 გვ -6.

2. იგივე ქმედება, თუ ცრუ ჩვენება მიცემულია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეზე...“⁹⁰

ავტორის აზრით, მუხლის ამგვარად ჩამოყალიბება აღმოფხვრის პრაქტიკაში არსებულ ურთიერთგადაფარვის ბუნდოვანებას. ავტორი, ასევე, ავითარებს მოსაზრებას, რომ იდენტიფიცირებადი პირის მამხილებელი ცრუ ჩვენება შეიძლება უფრო მკაცრი სასჯელით გახდეს დასჯადი.

აღნიშნულ მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმები, განსაკუთრებით დასჯადობის კუთხით, თუმცა ცრუ დასმენის და ცრუ ჩვენების ერთ მუხლად გაერთიანების მომხრე არ ვარ შემდეგ მოსაზრებათა გამო: თავისი ბუნებით და არსით ცრუ ჩვენება ავტომატურად შეიძლება შეიცავდეს ცრუ დასმენის ელემენტებსაც და რიგ შემთხვევაში მიცემული ჩვენება თავისი შინაარსით ცრუ დასმენას წარმოადგენდეს, თუმცა უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ცრუ ჩვენების სახეები. პირობითად დავყოთ ისინი ორ კატეგორიად: 1. ცრუ ჩვენება - მიცემული საკუთარი თავის ან სხვა პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების მიზნით და 2. ცრუ ჩვენება - მიცემული სხვა პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში განზრახ მიცემის ან მისი დისკრედიტაციის მიზნით.

პირველ კატეგორიაში ცრუ დასმენა არ ჩაჯდება, თუ მოწმე, უბრალოდ აცხადებს, რომ მას არ დაუნახავს, ვინ დაარტყა დანა დაზარალებულს (მაშინ როცა დაინახა, თუ როგორ დაარტყა დანა მისმა მეგობარმა ან თავად მან), მაგრამ, თუ მოწმე განაცხადებს, რომ დაინახა, როგორ დაარტყა დანა, მაგალითად გვერდით სუფრაზე მყოფმა პეტრიაშვილმა, ასეთ შემთხვევაში გვექნება ერთობლიობა ცრუ დასმენისა და ცრუ ჩვენებისა. ასეთ შემთხვევაში ცრუ ჩვენება შთანთქავს ცრუ დასმენას თავის თავში და ამდენად მოხდება მათი ურთიერთგადაფარვა. მაგალითისთვის ასევე შეიძლება განვიხილოთ

⁹⁰ იქვე გვ -10.

მოწმის ჩვენება მიცემული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. მოწმემ ავტოსაგზაო შემთხვევის აღწერის დროს განაცხადა, რომ დაინახა, თუ როგორ გადაურბინა ავტომობილს ახალგაზრდა მამაკაცმა, რის შემდეგაც ავტომობილის მძღოლმა აიღო საჭე მარჯვნივ, ვეღარ დაიმორჩილა მართვა და შეეჯახა ბორდიურზე მდგომ მამაკაცს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის გარემოების შესახებ ცრუ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ცვლის ფაქტობრივ გარემოებას, მაგრამ არანაირად არ წარმოადგენს ცრუ დასმენას.

მეორე კატეგორია პირდაპირ არის მიმართული უდანაშაულო პირის განზრახ უკანონო მსჯავრდების ან მისი სახელისა და პატივის შელახვისაკენ. მაგალითად, მოწმემ განაცხადა, რომ დაინახა, როგორ აიღო ქრთამი პატრულის თანამშრომელმა მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლისგან. მოწმემ ჩვენებაში აღნიშნა, რომ მისი დროებითი მოთავსების საკანში ყოფნისას, მართალია, არ დაუნახავს, მაგრამ ესმოდა ცემის, ყვირილისა და გინების ხმა სხვა საკნიდან და რომ ამ დროს მორიგე იყო ინსპექტორი გ.ვ. და, რომ ადგილი ჰქონდა პატიმრების მიმართ შეურაცხმყოფელ და არაადამიანურ ქმედებას. მოწმემ ჩვენების მიცემისას განაცხადა, რომ შეიტყო, თუ როგორ გეგმავდა მისი მეზობელი ა.გ ყაჩაღობას და ა.შ.

ცრუ დასმენა, ცრუ ჩვენებისაგან განსხვავებით, შეიძლება განხორციელდეს საჯარო განცხადების დროს სპონტანურად ან გააზრებულად. შეიძლება, ცრუ დასმენას ადგილი ჰქონდეს სოციალურ ქსელებში ე.წ „პოსტების“ გამოქვეყნებისას ან/და სულაც 112-ზე განხორციელებული ანონიმური ზარის მეშვეობით. ცრუ ჩვენება, როგორც დანაშაული გაცილებით საშიში ხასიათისაა ცრუ დასმენისგან განსხვავებით, ვინაიდან, მისი გაუაზრებლად მიცემა თითქმის გამორიცხულია, მოწმე ფრთხილდება მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, დებს ფიცს სასამართლოს წინაშე

და, მიუხედავად ამისა, შეგნებულად და მიზანმიმართულად იძლევა ცრუ ჩვენებას, რომელზედაც დამოკიდებულია ან უდანაშაულო პირის მსჯავრდება ან დამნაშავის მოსალოდნელი სასჯელისაგან განთავისუფლება. კიდევ ერთი გარემოება, რაც შეიძლება განასხვავებდეს ამ ორ დანაშაულს ეს არის კეთილსინდისიერი შეცდომა, რომლის დაშვების ალბათობა ცრუ დასმენის დროს გაცილებით დიდია, ვიდრე ცრუ ჩვენების დროს. მაგალითად, პირმა შეატყობინა პოლიციას, რომ მის მეზობლად მდებარე ბინიდან გამოდის ჩხუბის ხმა და ადგილი აქვს ოჯახურ ძალადობის ფაქტს, გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ აღნიშნულ ბინაში იყო წვეულება და შეკრებილი სტუმრები, უბრალოდ, ზომიერად მეტად ხმაურობდნენ, რაც შეცდომით იქნა აღქმული ძალადობად და გამოიწვია აღნიშნული ზარის განხორციელება. ანდა მაგალითისთვის მოქალაქემ დარეკა 112-ში და განაცხადა, რომ მან დაინახა, თუ როგორ აგინეს და გაძარცვეს ახალგაზრდა კაცი მისი აივნის წინ. ფაქტის გადამოწმებით დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა თანატოლებს შორის უხამს ხუმრობას და, რომ ძარცვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერი შეცდომისაგან მოწმე/დაზარალებული არც ჩვენების მიცემისა და თუნდაც ამოცნობის ჩატარებისას არ არის დაზღვეული, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ მთავარ ფაქტორს თამაშობს დრო და ქმედების გააზრებულობა. ის, რაც შეიძლება მოხდეს სპონტანურად, „დანაშაულის“ თვითმხილველის მიერ იმწუთიერად, აფექტში, საჯარო დისკუსიისას ან პოლიტიკური დებატებისას განცხადების გაკეთების დროს, და ეს აიხსნას შეცდომით, გაცილებით მცირე შანსია ანალოგიური შეცდომა მოხდეს სასამართლოს წინაშე, ფიცის ქვეშ ჩვენების მიცემისას. ამდენად ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ ცრუ ჩვენება და ცრუ დასმენა ერთი და იგივე დანაშაულია და ყველა შემთხვევაში მოიცავენ ერთმანეთს.

ამ კუთხით საინტერესოა სახალხო დამცველის მოსაზრება, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიერ

ჩადენილი ცრუ დასმენის ფაქტებთან მიმართებით. სახალხო დამცველმა 2015 წლის 7 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს გ.ო-ს ბრალდების საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა, რომელშიც განავითარა მოსაზრება, რომ: „არასათანადო მოპყრობის პრევენციისა თუ შემდგომში გამოვლენის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას და საქართველოს სახალხო დამცველისთვის და მისი რწმუნებულებისთვის მიწოდებული ინფორმაციის გამო პატიმრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და პასუხისმგებლობის დაკისრება კონკრეტულ საშიშროებას წარმოქმნის სრულიად ინსტიტუტის მიმართ და ამით კონსტიტუციით გარანტირებული საზოგადოებრივი ნება, რომ სახელმწიფომ იზრუნოს თავისუფლებაზეზღუდულ პირებზე, ვერ აღსრულდება. უფრო კონკრეტულად, მოცემული ფაქტი გამოიწვევს არასწორ და არსებითი საფრთხის შემცველ პრაქტიკას, წარმოქმნის არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის რეალურ საფრთხეს. აღნიშნული კი არა მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სრულ დისკრედიტაციას მოახდენს, არამედ თითქმის გამორიცხავს არასათანადო მოპყრობის აკრძალვის კუთხით სახელმწიფოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ეფექტიანობას.“⁹¹ აღნიშნული მოსაზრება წარდგენილი იქნა გ.ო-ს მიმართ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტზე, ბრალდების დამძიმების გამო, რომელიც თითქოსდა საპატიმრო ადგილებში არასათანადო მოპყრობას პსხვერპლი გახდა. სახალხო დამცველი თავის მოსაზრებაში მსჯელობდა პატიმრების მიერ არასათანადო მოპყრობის შემთხვევის შეტყობინებისას სახელმწიფოს მხრიდან სათანადო და დროული რეაგირების, მათ შორის სრულყოფილი გამოძიების ჩატარების ვალდებულებაზე და აღნიშნავდა, რომ ფაქტების

⁹¹ სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება, საქართველოს სახალხო დამცველი, ოქროპირიძის საქმე. 2015 წელი. <http://www.ombudsman.ge>

დაუდასტურებლობის შემთხვევაში პატიმრები ცრუ დასმენისა და ცრუ ჩვენების გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ უნდა მიცემულიყვნენ. ამ მოსაზრებას სახალხო დამცველი ამყარებდა იმ არგუმენტით, რომ პატიმრების მხრიდან საჩივრით მიმართვა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე შემცირდებოდა იმის შიშით, რომ არდადასტურების შემთხვევაში მათ დაუმძიმდებოდათ ბრალი და დამატებით დაეკისრებოდათ საჯელი. აღნიშნული კი უარყოფითად აისახებოდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის დამაზიანებელი იქნებოდა. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა პროკურატურას, საქართველოს შსს-სა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, რათა არ გამოიყენონ პატიმრების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით და მსგავსი საჩივრები არ გახდეს სს საქმეზე პატიმართა წინააღმდეგ გამოძიების დაწყების საფუძველი.

როგორც ვხედავთ, ცალსახაა იმჟამინდელი სახალხო დამცველის პოზიცია პატიმრების მხრიდან განხორციელებულ ცრუ ჩვენებისა და ცრუ დასმენის დანაშაულებრივ ფაქტებთან მიმართებით, მაგრამ, სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი ყოვლად გაუმართლებელია, რაც უნდა ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარეობდეს მისი ეს მოსაზრება. სახეზეა ორი სამართლებრივი სიკეთე: პირველი - წარსულის მძიმე გამოცდილებიდან გამომდინარე, პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული უამრავი ცემა-წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების არსებობა და ამგვარის განმეორების თავიდან აცილების მიზნით პატიმართა საჩივრებზე გამოძიების დაწყების ვალდებულება, რათა მოხდეს პრევენცია და მეორე, სახელმწიფო ინსტიტუტების პრესტიჟი, ღირსება და სანდოობა, რომ არაფერი ვთქვათ ე.წ

„მხილებულ“ მოხელეთა უფლებებზე, მათ პატივსა და ღირსებაზე. ასევე, სახეზეა შერჩევითი სამართლის ოფიციალურად დამკვიდრების მანკიერი პრაქტიკის საფრთხე. ანუ მარტივად, რომ ავხსნათ, თუ ადამიანი პატიმარია, მას აქვს უფლება საჩივრით მიმართოს ნებისმიერ უწყებას და მოითხოვოს გამოძიების ჩატარება მის მიმართ თითქოსდა განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, მაგრამ, თუ დადასტურდა, რომ ამგვარ ქმედებას ადგილი არ ჰქონია და ადგილი აქვს საჯარო მოხელის მიმართ ცრუ დასმენას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ასეთ ფაქტზე სახელწიფომ თვალი უნდა დახუჭოს ? და თუკი ცრუ დამსმენი არ იმყოფება თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ასეთ შემთხვევაში კი უნდა დაიწყოს მის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა? როგორც ვხედავთ, ამგვარი მიდგომა მსუბუქად რომ ვთქვათ, უტოპიურია და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს ეწინააღმდეგება. ასეთი მიდგომა ლახავს როგორც თითოეული „მხილებული“ საჯარო მოხელის უფლებებს, პატივსა და ღირსებას, ისე სახელმწიფოს ინტერესებს, მისი ინსტიტუტების გამართული მუშაობის პრინციპებს და მის პრესტიჟს. პასუხი ამ მოსაზრებაზე ცალსახაა და არანაირ პოლემიკას, ჩემი აზრით, არ საჭიროებს. კანონი ერთნაირად უნდა იცავდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, მიუხედავად მისი სტატუსისა და სამსახურებრივი მდგომარეობისა და ყოველგვარი გადახვევა უსამართლობის შეგრძნებას დაამკვიდრებს არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ საჯარო სამსახურებშიც, რაც ყოველად დაუშვებელია.

4.3 ცილისწამების სისხლის სამართლის წესით დასჯადობის მიზანშეწონილობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცილისწამება ცრუ დასმენის მსუბუქი ფორმაა და საერთო სამართლებრივი ბუნება აკავშირებთ. 2004 წლის 24 ივნისს

სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა სსკ-ის 148 მუხლი - ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით. ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით – ისჯებოდა ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას საათამდე ან/და გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე. ეს საკანონმდებლო ცვლილება თავის დროზე დემოკრატიულ მონაპოვრად და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდა. ეს კანონი იყო ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, რომლითაც საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხი მედიის თავისუფლების ნაწილში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. პარალელურად ცილისწამებამ, როგორც ნორმამ, გადაინაცვლა საქართველოს კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ და ფაქტობრივად სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროს განეკუთვნა. „ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“⁹²

ამავე კანონის მე-5 მუხლის მიხედვით:

„პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლება

1. ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია:

ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან

⁹² საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მუხ.1 - ე) პუნქტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>

საკრებულოს, აგრეთვე მისი კომიტეტის/კომისიის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში;

გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

2. ცილისწამების შესახებ სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით ამოწმებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ გარემოებებს. ასეთი გარემოებების დადასტურებისას სასამართლოს გამოაქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 209-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებული განჩინება, რაც არ იწვევს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს⁹³

საინტერესოა ასევე კანონმდებლის მიერ დაწესებული სანქცია ცილისწამებისათვის, კანონის 16 და 17 მუხლის თანახმად:

„მუხლი 16. ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის ფარგლები

პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

მუხლი 17. ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

2. დაუშვებელია მოპასუხის იძულება, მოიხადოს ბოდიში.

⁹³ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მუხ. 5
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>

3. თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.⁹⁴

რა უარყოფითი და დადებითი შედეგები მოიტანა კანონმდებლის ასეთმა მიდგომამ დღემდე უმწვავესი პოლემიკის საგანია. იურისტთა არც თუ მცირე ნაწილი გამოთქვამს შემფოთებას ცილისწამების დეკრიმინალიზაციის გამო და მოითხოვს მის სისხლის სამართლის კოდექსში დაბრუნებას გაცილებით მძიმე სანქციებით, ხოლო მეორე ნაწილი, სიტყვის თავისუფლების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, აღნიშნულის განხორციელებას დაუშვებლად მიიჩნევს. ორივე მხარეს თავისი მყარი არგუმენტები გააჩნია და მათი პოზიციების შეჯერება ამ ეტაპზე წარმოუდგენელია. 2016 წელს დაარსდა და დარეგისტრირდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „იურიდიულ მეცნიერებათა აკადემია“, რომლის პრეზიდენტი გახდა შოთა ფაფიაშვილი. სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც შეტანილი იქნა საქართველოს პარლამენტში და რომელიც ცილისწამების, როგორც დანაშაულის ახლებურ ფორმულირებას ადგენდა, კერძოდ: „წინასწარი შეცნობით სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის სახელის გამტეხი, არასწორი, ცრუ მონაჭორის გავრცელება საჯაროდ, ან პრესის, ან სხვა რაიმე სახის ტექნიკური საშუალებით, ისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან გამასწორებელი სამუშაოთი იმავე ვადით, ან 20 000 ლარამდე ჯარიმით. განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება ან ცილისწამება, რომელსაც თან ერთვის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის, ან მასში

⁹⁴ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მუხ. 16-17
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>

მონაწილეობის ბრალდება – ისჯება ორიდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან 50 000 ლარამდე ჯარიმით“.

ინიციატივაში განსაზღვრულია ისიც, რომ ეს უნდა შეეხოს კარიკატურებს და „უხამსი სიტყვების“ გამოყენებას. ასევე, ამ წესით, დასჯადი უნდა იყოს ეროვნულ და რელიგიურ თემებთან დაკავშირებული გამონათქვამები. ამ კატეგორიისთვის უფრო მძიმე სასჯელია გათვალისწინებული და ნათქვამია, რომ ეს ქმედება უნდა დაისაჯოს 3-5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან 70 000 ლარამდე ჯარიმით.⁹⁵ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ ინიციატივას კანონპროექტის სახე პარლამენტში დღემდე არ მიცემია და შესაბამისად, არც მსჯელობა გამართულა. აღნიშნული ინიციატივა არასამთავრობო სექტორმა და მედიამ - მედიაზე მორიგი დარტყმის მცდელობად შეაფასა და დიდი აჟიოტაჟით შეხვდა.

რა ხდება სინამდვილეში და რა ვითარებაა დღეს ქვეყანაში ამ კუთხით? დგას თუ არა ცილისწამების სისხლის სამართლის კანონით დასჯად ქმედებად გამოცხადების საჭიროება დღის წესრიგში? დაემუქრება თუ არა მისი კვლავ კრიმინალიზაციით საფრთხე სიტყვისა და გამოხატუვის თავისუფლებას? შეიზღუდება თუ არა მედია და შეექმნება თუ არა საფრთხე განვითარებად დემოკრაციას? - ამ კითხვებზე პასუხი მხოლოდ ევროპის ქვეყნების საკანონმდებლო ნორმებში უნდა ვეძებოთ და მხოლოდ მათი ანალიზის შემდეგ უნდა გაეცეს პასუხი.

დანის სისხლის სამართლის კოდექსის 263-275 პარაგრაფები არეგულირებს შეურაცხყოფელ და ცილისმწამებლურ განცხადებებს გაკეთებულს საჯარო სივრცეში. კერძოდ, 267 პარაგრაფი განსაზღვრავს

⁹⁵ სტატია - ცილისწამების კრიმინალიზაცია – მორიგი დარტყმა მედიის თავისუფლებაზე
<http://factcheck.ge/article/tsilistsamebis-kriminalizatsia-morigi-dartqhma-mediis-thavisuphlebase/>

ცილისწამებას, ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, რომელმაც დააზიანა პირის რეპუტაცია/ღირსება და ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს 4 თვისა. ხოლო 268 პარაგრაფი ადგენს პასუხისმგებლობას წინასწარი განზრახვით განხორციელებული ცილისწამებისათვის: „ Если голословное утверждение было преднамеренно сделано или распространено или если у автора (Параграфы 263-275a 199) не было разумных оснований полагать, что это правда, то он признается виновным в диффамации и подлежит простому заключению под стражу или тюремному заключению на любой срок, не превышающий двух лет. Если голословное утверждение не было сделано или публично распространено, то наказание может, при смягчающих обстоятельствах, быть снижено до штрафа.“⁹⁶ როგორც ვხედავთ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ცილისმწამებლური განხადებისთვის 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს დანიური სამართალწარმოება.

ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 თავი მთლიანად ეთმობა ცილისწამებას. 261-მუხლის თანახმად, თუ პირი წინასწარი შეცნობით ზეპირი განცხადებით ავრცელებს პატივისა და ღირსების შემზღალავ ცრუ ინფორმაციას, იგი ექვემდებარება 6 თვემდე პატიმრობას და მესამე კატეგორიის ჯარიმას. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ პირი წინასწარი განზრახვით ცილისმწამებლურ განცხადებებს ავრცელებს ბეჭდური სახით, დოკუმენტების ან პლაკატებისა და პასკვილების გამოყენებით, ასეთი ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე და მესამე კატეგორიის ჯარიმით. კოდექსის 262 მუხლის მიხედვით: „ Лицо, которое совершает преступление устной клеветы или пасквильной диффамации, зная, что заявление противоречит истине, виновно в диффамации при отягчающих

⁹⁶ Рычева А.Н. Уголовный кодекс Дании. (Перевод с датского и английского) . Юрид. центр Пресс 2001 г. – ст 267-268

обстоятельствах и подлежит сроку тюремного заключения не более двух лет или штрафу четвертой категории.”⁹⁷

ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად: „клеветой признается разглашение позорящих сведений о другом лице или приписывание ему совершение преступления.”⁹⁸ 148-ე მუხლი ითვალისწინებს ცილისწამებას ჩადენილს საჯაროდ, ბეჭდვითი დოკუმენტების გამოყენებით ან სხვა საშუალებით და შეურაცხყოფელი ფორმით, მათ შორის საჯარო მოხელის მიმართ. აღნიშნული დანაშაულისათვის ბულგარეთის კანონმდებლობა საკმაოდ სოლიდურ ჯარიმას ითვალისწინებს.

პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 თავში გაერთიანებულია დანაშაულები, მიმართული ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. 212-ე მუხლის მიხედვით: პირის, პირთა ჯგუფის, ორგანიზაციის ან იურიდიული პირის, წინააღმდეგ მიმართული ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ქმედება, რომელმაც შეიძლება დაამციროს ან საზოგადოებრივი ნდობა დააკარგინოს ან ხელი შეუშალოს თანამდებობის დაკავების ან რაიმე საქმიანობის განხორციელების კუთხით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე ვადით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით: Если виновный совершает деяние, предусмотренное в § 1, с использованием средств массовой информации, подлежит штрафу, наказанию ограничением свободы либо лишением свободы на срок до 2 лет.”⁹⁹ როგორც ვხედავთ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ღირსებისა და პატივის შემლახავი ცრუ ინფორმაციის გავრცელება პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული.

⁹⁷ Миронова И.В. Уголовный кодекс Голландии. Перевод с английского Юрид. центр Пресс 2001г. ст 261-262.

⁹⁸ Милушев Д.В. Лукашов А.И. Уголовный кодекс Болгария. Перевод с болгарского Издательство «Юридический центр Пресс», 2001 г. Ст 147-148.

⁹⁹ Барилевич Д.А. Уголовный кодекс Республики Польша. Перевод. Издательство «Юридический центр Пресс», 2001 г. Ст 212 . Стр-155-156.

შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსში ცილისწამებას ეთმობა მე-5 თავი. მე-5 თავის 1 მუხლის მიხედვით: პირი თუ ის მიუთითებს სხვა პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე ან მიუთითებს მისი ვხოვრების საექვო წესზე ან სხვა ფორმით განზრახ ავრცელებს ინფორმაციას, რომელიც იწვევს ამ პირისადმი საზოგადოების უპატივცემულობას ისჯება ჯარიმით. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება თუ ცილისწამებას შედეგად მოჰყვა მძიმე ზიანი და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით. „If the crime defined in Section 1 is regarded as gross, a fine or imprisonment for at most two years shall be imposed for gross defamation“. ¹⁰⁰ მე-4 მუხლში ცალკეა განსაზღვრული ცილისწამება გარდაცვლილი პირის მიმართ.

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის მესამე განყოფილებაში გაერთიანებულია დანაშაულები მიმართული ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. კოდექსის 173-176 მუხლებში განხილულია ცილისწამება, ცილისწამება წინასწარი განზრახვით და ცილისწამება გარდაცვლილი პირის მიმართ. 173-ე მუხლის მიხედვით : Any person who in addressing a third party, makes an accusation against or casts suspicion on another of dishonourable conduct or fother conduct that is liable to damage another's reputation, any person who disseminates such accusations or suspicions, is liable on complaint to a monetary penalty not exceeding 180 daily penalty units“ ¹⁰¹ თუ პირი მესამე პირის თანდასწრებით ვინმეს დაადანაშაულებს ან ეჭვ ქვეშ დააყენებს მის საქციელს, გაავრცელებს ინფორმაციას პირის მიერ უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ ან სხვაგვარი ფაქტების შესახებ, რომლებიც სახელს უტეხავენ პირს და ზიანს აყენებენ მის რეპუტაციას, ისჯება ჯარიმით არა უმეტეს 180 დღიური ანაზღაურების ოდენობით. დამამძიმებელ

¹⁰⁰ Criminal code of the Kingdom of Sweden (English version)

<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/1/>

¹⁰¹ Criminal Code of the Swiss Confederation (1937, amended 2017) (English version)

<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/48/>

გარემოებად ითვლება ცილისწამება წინასწარი განზრახვით, შეგნებულად ცრუ ინფორმაციის გავრცელება, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს და 174-ე მუხლის მიხედვით ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ან ჯარიმით არანაკლებ 30 დღიური ანაზღაურების ოდენობისა.

ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე თავი ეთმობა ცილისწამებას. 246-ე მუხლის მიხედვით: ის, ვინც სიტყვით ან ქმედებით შელახავს პირის ღირსებასა და პატივს ან ხელს შეუწყობს ამგვარ ქმედებას ექვემდებარება ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 6 თვემდე ვადით. 247-ე მუხლის მიხედვით: პირი, რომელიც სიტყვით ან ქმედებით მიზანმიმართულად მოქმედებს, რათა ავნოს სხვა პირის სახელსა და რეპუტაციას, გამოიწვიოს ამ პირის მიმართ საზოგადოების არაკეთილგანწყობა ან ნდობის დაკარგვა ან და ბიზნესინტერესების შელახვა, დაექვემდებარება ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე ვადით, ხოლო, თუ იგივე ქმედება ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, მედიისა ან სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით - დაექვემდებარება თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.¹⁰²

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 208 მუხლის მიხედვით, ცილისწამებად ითვლება ბრალდება დანაშაულში, რომელიც ზიანს აყენებს პირის ღირსებას. ცილისწამება დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მბრალდებელმა იცოდა, რომ ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას ან ინფორმაცია გაავრცელა ისე, რომ არ გადაამოწმა მისი სარწმუნოება. 209-ე მუხლის მიხედვით, მძიმე ცილისწამებად ითვლება ქმედება, თუ იგი განხორციელდა საჯაროდ - მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირი დაექვემდებარება ჯარიმას - 7 თვიდან 14 თვემდე სახელფასო ანაზღაურების ოდენობით. თუ ხსენებული ქმედება

¹⁰² Criminal Code of the Kingdom of Norway (1902, amended 2005) (English version)
<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/11/>

მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით არ არის განხორციელებული, მსგავს შემთხვევაში პირი დაექვემდებარება ჯარიმას - 3 თვიდან 7 თვემდე სახელფასო ანაზღაურების ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთის სსკ-ის 490-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მეფის ან სამეფო ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული ცილისწამებისთვის: „slander or defamation directed against the King or a member of the royal family is a criminal offence under Article 490(3). The penalty is imprisonment from six months to two years if the offence is serious and if not, the Penalty is a fine and imprisonment of six to 12 months.”¹⁰³ კერძოდ, სამეფო ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული ცილისწამება ითვლება დამამძიმებელ გარემოებად და მოქცეულია ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავში. აღნიშნული დანაშაულისათვის ესპანეთის კანონმდებლობა მძიმე ფორმებში განხორციელებული ცილისწამებისათვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 თვიდან 2 წლამდე ვადით, ხოლო სხვა შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი დაექვემდებარება ჯარიმას - 6 თვიდან 12 თვემდე სახელფასო ანაზღაურების ოდენობით.

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის მეოთხე თავი ეთმობა ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. ცილისწამება განსაზღვრულია 111-ე მუხლით, რომლის თანახმად: ნებისმიერი პირი ვინც უსაფუძვლო ბრალდებას წაუყენებს პირს, რომელიც აზიანებს მის ავტორიტეტს, ამცირებს მას და ქმნის მის მიმართ უარყოფით საზოგადოებრივ აზრს - ისჯება თავისუფლების აღკვეთით 6 თვემდე ვადით ან ჯარიმით შრომის ანაზღაურების 360 დღიური ოდენობით. იგივე ქმედება, თუ იგი განხორციელებულია მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით,

¹⁰³ Criminal Code of the Kingdom of Spain (1995, as of 2013) (English version)
<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/2/>

ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე ვადით ან ჯარიმით შრომის ანაზღაურების 360 დღიური ოდენობით.¹⁰⁴

ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსი, ასევე, ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის და ცრუ ბრალდებისათვის. 443-452 მუხლებში გაწერილია აღნიშნული დანაშაულები და მათ დამამძიმებელ გარემოებად სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად საჯაროდ და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით განხორციელებული ცილისწამება ითვლება. ასეთი ქმედება დასჯადია ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე ვადით.¹⁰⁵

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი ითვალისწინებს სხვისი პირადი რეპუტაციის შელახვას, კერძოდ: პირი, რომელიც სხვა პირის შესახებ გაავრცელებს ინფორმაციას ან ფაქტს, რომელსაც შეუძლია საზოგადოებაში გამოიწვიოს აღნიშნული პირის მიმართ ნეგატიური განწყობა, პასუხს აგებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს. ხსენებული ქმედებისთვის გათვალისწინებულია სანქცია - ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით. იმ შემთხვევაში, თუ ცილისწამება განხორციელდა საჯაროდ ან წერილობითი მასალების გავრცელებით, აღნიშნული ქმედება სანქციის სახით ითვალისწინებს - ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით. 187 მუხლში გაწერილია იგივე ქმედება ჩადენილი წინასწარი განზრახვით და სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით, ხოლო თუ ასეთი ქმედება განხორციელებულია საჯაროდ ან წერილობითი მასალების

¹⁰⁴ Вихрова Л.С. Уголовный кодекс Австрии . Перевод .Издательство «Юридический центр Пресс», 2004 г. Ст 111 . Стр-157.

¹⁰⁵ Criminal Code of the Kingdom of Belgium (1867, as of 2016) (French version)
<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/41>

გავრცელებით, აღნიშნული ქმედება სანქციის სახით ითვალისწინებს - ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე ვადით.¹⁰⁶

საფრანგეთში ცილისწამების მარეგულირებელი ნორმები ასახულია კანონში „, Law of 29 July 1881 on the Freedom of the Press“ - ე.წ პრესის თავისუფლების კანონში. ამ კანონის 32 მუხლის მიხედვით დასჯადია: სიტყვით, დოკუმენტით, პლაკატებით ან სხვა საშუალებებით ... ცილისწამება ფიზიკური პირის მიმართ და ითვალისწინებს ჯარიმას 12 000 ევროს ოდენობით. იგივე ქმედებებით განხორციელებული ცილისწამება პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ, მათი ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით 45 000 ევროს ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ცილისწამება განხორციელებულია ფიზიკური ნაკლის, სქესობრივი ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის 13135 და 131 -1-5 მუხლების სანქციები დამატებითი სასჯელის სახით.¹⁰⁷

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ნოემბერში საფრანგეთის პარლამენტმა პრეზიტენტის ინიციატივით მიიღო კანონი „ყალბი ახალი ამბების შესახებ,“ რომლის გავრცელებისათვის სასჯელის სახით ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის სახით 75 000 ევროს გადახდა დაწესდა. აღნიშნულმა კანონმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, კრიტიკოსთა აზრით, კანონმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს დემოკრატიაზე და იგი ერთგვარ ცენზურადაც კი შეაფასეს. კანონი ეხება, როგორც ინტერნეტ სივრცეში, ისე მასმედიაში გამოქვეყნებულ ყალბ ინფორმაციას და, შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი ნაბიჯია ევროპის მხრიდან, რომლითაც მან დაიწყო ბრძოლა იმ ზიანის წინააღმდეგ რასაც შეგნებულად არასწორი ინფორმაციის გავრცელება

¹⁰⁶ Criminal Code of the Federal Republic of Germany (1971, amended 2013) (English version)
<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/28>

¹⁰⁷ Law of 29 July 1881 on the Freedom of the Press
<https://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=LEGITEXT000006070722>

იწვევდა. ამდენად, საფრანგეთმა პირველმა განაცხადა, რომ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას არაფერი აქვს საერთო არც დემოკრატიასთან და არც სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების უმაღლეს ღირებულებებთან.¹⁰⁸

განხილული 12 ევროპული ქვეყნის მაგალითზე, რომ არაფერი ვთქვათ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსებზე, რომლებიც ცილისწამებას ასევე დანაშაულად მიიჩვენ, ცალსახად ნათელია, რომ ცილისწამების სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადობას არ შეუქმნია დემოკრატიის განვითარებისათვის რამე საფრთხე. განხილულ ქვეყნებში არ აღიქვამენ მედიისა და სიტყვის თავისუფლების საფრთხედ აღნიშნული დანაშაულის დასჯადობას. უფრო მეტიც, განვითარებულ და ეკონომიკურად ძლიერ ევროპულ ქვეყნებში სწორედ ადამიანის ღირსება და პატივი, მისი საქმიანი რეპუტაციაა პირველ ადგილას, როგორც დემოკრატიული საზოგადოების თავისუფლების უმაღლესი მონაპოვარი და არა ე.წ. „ყვითელი“ მედიის ე.წ. „უფლებები“, რათა მათ ყოველგვარი კანონისმიერი თუ თვითკონტროლის, მორალური და ზნეობრივი ნორმების სრული იგნორირებით შეძლონ ნებისმიერი სახის ბრალდებების, ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ სკანდალებზე ორიენტირებული ინფორმაციების სარფიანად გაყიდვა და ამით შემოსავლების, ყურებადობისა და რეიტინგულობის მოპოვება. ვერც ერთი იურისტი, პოლიტიკოსი, არასამთავრობო სექტორისა თუ მედიის წარმომადგენელი ვერ იტყვის იმას, რომ დანია, ჰოლანდია, ბულგარეთი, პოლონეთი, შვედეთი, შვეიცარია, ნორვეგია, ესპანეთი, ავსტრია, ბელგია, გერმანია და საფრანგეთი არ არიან დემოკრატიული ქვეყნები და ამ ქვეყნებში სიტყვისა და აზრის გამოხატვის უფლება რამე ფორმით შეზღუდულია. მაშინ რით არის განპირობებული

¹⁰⁸ France passes controversial 'fake news' law https://www.euronews.com/2018/11/22/france-passes-controversial-fake-news-law?fbclid=IwAR0t_26KsByFARXCHSd7OsFCwgJNLjhg_rFOJhASCT_VPJ0RXZm-jkhXnv4

საქართველოს კანონმდებლობის „რომის პაპზე მეტად გაკათოლიკება“? ხომ არ დადგა დრო რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისა, პოპულისტურის ნაცვლად? ხომ არ დადგა დრო დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში კვლავ პატივი ვცეთ ერთმანეთის ღირსებას, პატივსა და რეპუტაციას, ხოლო მედიამ სწორად მუშაობის პრინციპები გადმოიღოს და ისწავლოს ევროპული ქვეყნების წამყვანი მედიასაშუალებებიდან, ნაცვლად იმისა, რომ აბსტრაქტულად ამტკიცონ, რომ ნებისმიერი სახის ინფორმაციის გავრცელება მათი უფლება და ვალდებულებაა?

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ, ცილისწამების გარდა, ჩამოთვლილ ქვეყნებში ასევე, დასჯადია შეურაცხყოფელი გამონათქვამები და განცხადებები, გაკეთებული საჯარო სივრცეში ან მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემი ანალიზის საგანს მხოლოდ ცილისწამების, როგორც დანაშაულის, ბუნების და მისი დასჯადობისა თუ პრევენციულობის ზომები წარმოადგენს.

თეორიული ასპექტების, სასამართლო და საგამომიებო პრაქტიკული მაგალითების, განხილვისა და მათი ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობ, მიზანშეწონილია სისხლის სამართლის 373-ე მუხლს - ცრუ დასმენას, დანაშაულის ობიექტად დაემატოს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი. ასევე, ამ მუხლის მე-3 ნაწილს დაემატოს გ) ქვეპუნქტი - ჩადენილი საჯარო მოხელის ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიმართ.

რაც შეეხება ცილისწამების, როგორც დანაშაულის კვლავ დაბრუნებას სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად, ვფიქრობ, მიზანშეწონილია მისი სანქციების გამკაცრება და კონკრეტიზაცია კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. კერძოდ, განვითარებული დემოკრატიის მქონე ევროპული ქვეყნების სამართლებრივი სტანდარტებისა და ნორმების

გათვალისწინებით კანონის მე-17 მუხლში - „ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“, უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

1. ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს უნდა დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ და იმავე ან/და ანალოგიური საშუალებით დაევალოს ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა, რიმლითაც იქნა ამგვარი ინფორმაცია გავრცელებული.

2. სასამართლო უფლებამოსილია, მოპასუხეს, თუ ის ფიზიკური პირია, დააკისროს ჯარიმა 500 დან 5000 ლარამდე ოდენობით.

3. სასამართლო უფლებამოსილია, მოპასუხეს, თუ იგი ორგანიზაციას (იურიდიულ პირს) ან მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს წარმოადგენს და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება მოახდინა, სწორედ ამ უკანსკნელთა სახელითა და საშუალებით - დააკისროს ჯარიმა 5000-დან 30 000 ლარამდე ოდენობით.

4. მოპასუხის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა გამოიწვევს მოპასუხის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

შესაბამისად, საქართველოს სსკ-ში უნდა აღდგეს 148-ე მუხლი (როგორც სპეც. მუხლი) - ცილისწამება, რომელიც ამოქმედდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში და, რომელშიც, შესაბამისად, გაწერილი იქნება ფიზიკური პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის სახედ ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე ვადით. ასევე, მუხლის მეორე ნაწილში უნდა აისახოს ორგანიზაციის (იურიდიულ პირის) ან მასობრივ საინფორმაციო საშუალებების, ინფორმაციის გამავრცელებელი ან ინფორმაციაზე პასუხისმგებელი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა, რომელიც დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების

აღკვეთით 2 წლამდე ვადით. ასევე, შესაძლებელია, არ აღდგეს 148-ე მუხლი და აღნიშნული გარემოება ასახული იქნას და შესაბამისი ნაწილი დაემატოს სსკ-ის 381-ე მუხლს („განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა“) სპეციალური დათქმით, რათა მკაფიო გამიჯვნა მოხდეს ცილისწამების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებისა სხვა სახის გადაწყვეტილებების შეუსრულებლობასთან მიმართებით.

ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით, ვფიქრობ, არა თუ დაკნინდება ან საფრთხეში ჩავარდება სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება, არამედ, ერთი მხრივ, სათანადო დონეზე იქნება დაცული ადამიანის სახელი, ღირსება, პატივი და მისი საქმიანი რეპუტაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ერთმნიშვნელოვნად გაიზრდება მედიისა თუ სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სანდოობა და ხარისხიანობა, დაიხვეწება ჟურნალისტური სტანდარტები, რაც ერთობლიობაში სწორი განვითარების გზაზე დააყენებს, როგორც სახელმწიფოს მზარდ დემოკრაციას, ისე მედიასა და საზოგადოებას.

თავი V

ძალადობისა და იძულების გამიჯვნა/გადაფარვის პრობლემატიკა სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციისას, ძალადობის ხერხები და მეთოდები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას მოხელის მიერ განხორციელებული ძალადობა წარმოადგენს. ვინაიდან, ძალადობა, ან ამგვარი მუქარა სამოხელეო დანაშაულის თანმდევი მახასიათებელია, უმეტეს

შემთხვევებში, საჭიროა ამ ფაქტორს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიებზე.

კაცობრიობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების პარალელურად, ვითარდებოდა სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ხერხები და მეთოდები. ძალადობაც უძველესი დროიდან იღებს სათავეს. აღსანიშნავია, რომ მან პიკს შუასაუკუნეებში კათოლიკური ეკლესიის წიაღში წარმოქმნილი ინკვიზიციის დროს მიაღწია და მას შემდეგ, ხერხებისა და მეთოდების სახეცვლილებებით, დღესაც აქტუალურია, განსაკუთრებით პენიტენციური სისტემისა და საგამოძიებო ორგანოების საჯარო მოხელეებთან მიმართებით.

დროთა განმავლობაში ხდებოდა ძალადობისა და წამების დამხმარე მექანიზმებისა და იარაღების გამოგონება, გამოყენება და მეთოდების დახვეწა. შუა საუკუნეებში სხვადასხვა მეთოდებით წამება აქტიურად გამოიყენებოდა კრიმინალთა და არასასურველ ადამიანთა დასასჯელად, ან/და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას. მათი მეშვეობით ახორციელებდნენ ძალაუფლებას და ნერგავდნენ შიშს, როგორც კრიმინალურ სამყაროში, ისე საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რამდენად არაადამიანურადაც არ უნდა ჩანდეს დღევანდელი გადმოსახედიდან, ერთ დროს ამ მეთოდების გამოყენება სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგალითისვის, შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: თავის მსრესავი - ე.წ „ტისკი“, „კატის თათი“, „იუდას სკამი“, „შანთი“, „ესპანური ვირი“, „ჭირვეულის ლაგამი“, „ერეტიკოსის ჩანგალი“, „ძვლის სამტვრევი მარწუხები“, წყლით სავსე ჭურჭელი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საგნები და მოწყობილობები 21-ე საუკუნეში აღარ გამოიყენება, ისინი „წარმატებით“ ჩაანაცვლა აირწინაღმა „ელექტროშოკმა“, სპეც გაზმა, რეზინის ხელკეტმა, ხმოვანი თუ სინათლის სიგნალების გამომცემმა მოწყობილობებმა და სხვა მეთოდებმა.

ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულები საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის მოქცეული და მათ მიმართ მსოფლიოს ქვეყნების საერთო მიდგომების ჩამოყალიბება გახდა საჭირო. ამ მიზნით, 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დოკუმენტი, რომელსაც ეწოდა – „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ და ის იქცა პირველ ოფიციალურ საერთაშორისო დოკუმენტად, რომელშიც გაწერილი იქნა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. დეკლარაციის მე-5 მუხლის მიხედვით: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ არაადამიანურ თუ ღირსების შემლახავ მოპყრობას, ან დასჯას.“¹⁰⁹ აღნიშნულმა აკრძალვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, რაც გულისხმობს წამების აბსოლუტურ აკრძალვას, მიუხედავად ვითარებისა. დეკლარაციის მიღებას შედეგად მოჰყვა სხვადასხვა კონვენციისა და დეკლარაციის მიღება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

1984 წლის 10 დეკემბერს მიიღეს კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური, ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ“, რომლის 1-ლი მუხლის მიხედვით: „ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორებიცაა მისგან, ან მესამე პირისგან ინფორმაციის, ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან, ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან

¹⁰⁹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია <http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>

ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია.”¹¹⁰

გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 43/169 რეზოლუციით მიიღეს „სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი“. აღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლში მკაფიოდ განისაზღვრა, რომ: „არც ერთ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირს არ შეუძლია წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის ოპყრობის ან სასჯელის პროვოცირება ან დაშვება; არც ერთ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირს არ შეუძლია მიუთითოს ზემდგომთა ბრძანებაზე ან საგანგებო მდგომარეობაზე, როგორცაა საომარი მდგომარეობა ან ომის, ეროვნული უსაფრთხოების საშიშროება, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმ საშიშროება, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა კრიტიკული იერი სხვა კრიტიკული ვითარება, როგორც წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის გამამართლებელ პირობაზე.“¹¹¹

პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები მიიღეს 1955 წელს, ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით. პატიმართა მიმართ მოპყრობის წესების მიხედვით,

¹¹⁰ კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ (გენერალური ასამბლეის 1984 წლის 10 დეკემბრის რეზოლუცია 39/46; ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს)

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>

¹¹¹ სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი

<http://religiebi.info/admin/editor/uploads/files/Kanonmdebloba/01/11%20marTlwesrigis%20damcvel%20Tanamdebobis%20pirTa%20qcevis.pdf>

კატეგორიულად აიკრძალა დისციპლინური სასჯელის დადების შემთხვევაშიც კი: „უნდა აიკრძალოს ფიზიკური ზემოქმედება, ბნელ საკანში მოთავსება და დასჯის სასტიკი არაადამიანური, ადამიანის ღირსების შემლახავი სხვა საშუალებები, როგორც დისციპლინური დარღვევის აღმკვეთი ღონისძიებები.¹¹² ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ზემოთ ჩამოთვლილი არასრული საერთაშორისო დეკლარაციებისა და კონვენციების მიმოხილვითაც ცალსახაა, რომ წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა დაგმოხილი და აკრძალულია მსოფლიოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებით, მიუხედავად მათი ჩადენის ფორმების, მეთოდების, მიზნებისა და ვითარებისა და მათი აკრძალვა იმპერატიულ ხასიათს ატარებს ყოველგვარი გამონაკლისების დაშვების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მოტივებით ჩადენილი ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულები თავისი მასშტაბისა და სისტემურობის გამო საქართველოს პარლამენტის ყურადღების ქვეშ მოექცა და ამ მიზნით 2015 წლის 10 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი „არაადამიანური მოპყრობის და წამების ფაქტების შესახებ“. ჯგუფმა ჩატარა კვლევა/გამოკითხვა პატიმართა და ყოფილ პატიმართა შორის. მათ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა, როგორც სახალხო დამცველის ანგარიშები, ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები და ანგარიშები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. საბოლოოდ 2016 წელს კომიტეტის მიერ მომზადდა დასკვნა „წარსულში (2004-12 წლებში) ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური დანაშაულის შესახებ“. დასკვნის თანახმად: „გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ფიზიკური ძალადობის გარდა, ექვემდებარებოდა ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეწოლას,

¹¹² პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები.
http://www.pptc.ge/cms/site_images/pdf/standarts/saertashoriso_standartebi_geo.pdf

რომლის ატანაც ციხის პირობებში განსაკუთრებით მძიმეა. პატიმრები ისედაც სტრესულ ვითარებაში იმყოფებიან საკუთარი დაუცველობის გამო, ერთი მხრივ - სახელმწიფო სამართალდამცავი სისტემის წინაშე, მეორე მხრივ კი - სხვა პატიმრების მხრიდან ნეგატიური ზემოქმედების გამო, რომლებიც არცთუ იშვიათად ასრულებდნენ ადმინისტრაციის ბრძანებას კონკრეტულ პირზე ზეწოლის განხორციელების თაობაზე. საინტერესოა, ფიზიკური ძალადობის/ წამების მიზეზების ანალიზი. რესპონდენტთა 56%-თვის უფრო ხშირად აღნიშნული მიზეზია: ბრალის აღიარება, საკუთარი თავის, ან სხვა პირების წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, ან პირიქით, ჩვენებაზე უარის თქმა. გამოკითხულთა 54%-თვის - გამოძალვა, ფულის ან ქონების ძალით წართმევა. 36%-მა კი ვერ შეძლო დაესახელებინა რაიმე მოტივი, რამაც ის ძალადობის მსხვერპლად აქცია. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 25%-მა პირდაპირ მიუთითა, რომ ძალადობის მიზეზი საპროტესტო აქციებში, სამოქალაქო წინააღმდეგობაში მონაწილეობის იძულება იყო.¹¹³

კომიტეტში გაანალიზებული იქნა 6000 საჩივარ-განცხადება, რომელთაგან 740 განცხადება შეეხებოდა პატიმართა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ დანაშაულებებს.

ზემოთ აღნიშნული შემაშფოთებელი სტატისტიკის გამო, 2016 წლის 10 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“. დადგენილების მე-8 მუხლის მიხედვით, გაიცა მთელი რიგი რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის მიმართ. ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით: „წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულების და სხვა

¹¹³ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა „წარსულში (2004-12 წლებში) ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური დანაშაულის შესახებ“ თბილისი 2016 წ. გვ 23-24
<http://parliament.ge/uploads/other/49/49233.pdf>

ძალადობრივი დანაშაულების ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების მიზნით, შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს პარლამენტის წინაშე, აგრეთვე, შემუშავდეს ამ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის თანამშრომლობის კონცეფცია.¹¹⁴ როგორც ვხედავთ, ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულები და მათთან ბრძოლის საჭიროება თავისი აქტუალობით სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე იქნა აყვანილი და ამისათვის პროკურატურის სტრუქტურაში 2015 წელს სპეციალიზირებული დანაყოფის შექმნის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულის კუთხით, ასევე საინტერესოა იმავე პერიოდში, კერძოდ, 2016 წლის 28 ნოემბერს საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ გაკეთებული ანგარიში, რომლის მიხედვით: „ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ 2012 წლის 01 ოქტომბრამდე ჩადენილ ძალადობრივ და სამოხელეო დანაშაულებთან დაკავშირებით, 2012 წლის ნოემბრიდან 2016 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში გამოძიება დაიწყო 200-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 185 ყოფილი საჯარო მოხელის მიმართ, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირების მიმართ.... მოცემული საქმეებიდან, სასამართლოში განსახილველად წარიმართა 145 პირის მიმართ, რომელთაგან 100 პირის მიმართ სასამართლოს მიერ

¹¹⁴ საქართველოს პარლამენტის დადგენილება. 2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ 10.06.2016 წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315583?publication=0>

გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი (დაახლოებით 360-მდე დანაშაულებრივ ეპიზოდზე), ხოლო 8 პირის მიმართ - გამამართლებელი განაჩენი.¹¹⁵

იმისათვის, რომ სამოხელეო დანაშაულთან მიმართებაში მოხელის ქმედება ძალადობით დავაკვალიფიციროთ, პირველ ყოვლისა უნდა განვმარტოთ და ავხსნათ, რა არის თავისი არსით ძალადობა და როდის ხდება მისი გადაზრდა წამებაში ან არაადამიანურ მოპყრობაში, რაც, თავისთავად, უფრო მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ძალადობა ეს არის — „ძალის აშკარა ან ფარული გამოყენება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისაგან ისეთი რამის მისაღწევად, რაზედაც ისინი თავისი ნებით არ თანხმდებიან. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება, და თავისუფლება. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია.“ ძალადობა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს დანაშაულის სუბიექტი და ვინ ან/და რა სახის სიკეთე წარმოადგენს დანაშაულის ობიექტს.

ზოგადი გაგებით, ფიზიკური ძალადობის სახეებია: ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ან ფიზიოლოგიურ მოთხოვნებთან დაკავშირებული დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს პირის, ან ამ პირის ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

თავის მხრივ, უნდა გავარჩიოთ ძალადობა იძულებისაგან, რაც, ხშირ შემთხვევაში, ერთიან ქმედებათა ციკლში გვევლინება, თუმცა პრაქტიკაში არსებობს მათი ცალ-ცალკე მაკვალიფიცირებელ გარემოებებად გამოყენების მაგალითებიც.

¹¹⁵ საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში 22.11.2016 წ. გვ 25.
<http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf>

ძალადობის ერთ-ერთ ფორმას ფსიქოლოგიურ-ემოციური ძალადობა წარმოადგენს. იგი გულისხმობს ადამიანებთან ურთიერთობისას ისეთი ფორმების გამოყენებას, რომელიც იწვევს ემოციურ/ფსიქოლოგიურ ტკივილს ე.წ სულიერ ტკივილს. ამგვარი ძალადობის მეთოდებია: სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, ცინიზმი, აგრესიული საუბარი, მუქარანარევი მინიშვნებით ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედება და სხვა.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფიზიკური ძალადობის ფაქტიურად ყველა შემთხვევას თან სდევს ფსიქოლოგიური ძალადობაც და შეურაცხმყოფელი გამონათქვამებიც. ხოლო ,ცალკე აღებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, რომლებიც პიროვნების ღირსების დამცირებისკენ არიან მიმართული ,თავის თავში ფსიქოლოგიურ ძალადობის შემადგენელსაც აერთიანებენ და ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. თუკი საზოგადოება და ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა ძალადობის ერთ ერთი სახეობაა, რომელსაც თან სდევს პიროვნების ღირსებისა და პატივის, ასევე, მისი კონსტიტუციური უფლებების უხეში დარღვევა, მაშინ რა საჭიროა ერთი მთლიანის დაყოფა და სსკ-ის ერთი და იგივე მუხლის ერთი და იმავე ნაწილის ცალ-ცალკე პუნქტებში გაწერა? რა საჭიროა ასეთი დაყოფა, თუკი მუხლის სანქციაც კი ორივე პუნქტისთვის საერთოა? რატომ და რა მოსაზრებით ხლეჩს კანონმდებელი ერთ მთლიან გარემოებას ორ ნაწილად? სად უნდა მოვიაზროთ ამ მუხლში პირის მიმართ განხორციელებული იძულება, ამ მუხლის პირველ ნაწილში თუ 3-ე ნაწილის ბ) და გ) პუნქტებში? რა ყოფს იძულებას და ძალადობას სისხლის სამართალში? სად არის ზღვარი და რა არგუმენტებით შეიძლება ეს ზღვარი დასაბუთდეს პრაქტიკაში ქმედებისთვის სწორი კვალიფიკაციისათვის ? რა სახის და წონადობის მტკიცებულებების მოპოვებაა შესაძლებელი და რამდენად საკმარისი იქნება ისინი ფსიქოლოგიური ან/და ფიზიკური ძალადობის დასადასტურებლად და მის გასამიჯნად პირადი ღირსების დამცირებისგან ?

ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხები ამომწურავი ფორმით და მათი მკაფიო განმარტებით პრაქტიკულად არ არსებობს. იმისთვის, რომ მეტნაკლებად ცხადი გახდეს, თუ რატომ წარმოიშობა აღნიშნული კითხვები, განვიხილოთ სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით საქართველოში საგამოძიებო და სასამართლოს პრაქტიკის უახლოესი წარსულის მაგალითები.

2015 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება ყოფილი მსჯავრდებულის დ.რ-ს საჩივრის საფუძველზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ერთ-ერთი დაწესებულების თანამშრომლების მიერ დ.რ-ს მიმართ განხორციელებული წამების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144'-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია შემდეგი:

2008 წლის ოქტომბერში დ.რ დაკავებული იქნა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის. მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესახლების შემდგომ, ამავე დაწესებულების რეჟიმის განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა კ.ყ-მ, გადაწყვიტა განეხორციელებინა ბრალდებულ დ.რ-ზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედების აღიარების მიზნით. ამ მიზნით, იგი იმავე დაწესებულების თანამშრომელთან ერთად შევიდა დაწესებულების დაკავებულ პირთათვის გამოყოფილ აბაზანაში, სადაც დ.რ-ს და მის თანასაკნელებს შხაპის მიღების შემდეგ გასახდელში დარჩენა უბრძანა. კ.ყ-მ აბაზანის გასახდელში მყოფ დ. რ-ს კატეგორიულად მოსთხოვა მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის აღიარება, ამ უკანასკნელისგან უარის მიღების შემდეგ კი მის ხელთ არსებული ხელის რადიოგადამცემი, ე.წ. „რაცია“ ძლიერად ჩაარტყა ცხვირში. დარტყმის

შედეგად დ.რ წაიქცა და დაეცა ძირს, რის შემდეგაც კ.ყ უსაფრთხოების განყოფილების სხვა თანამშრომელთან ერთად ,დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, აგინებდა, ამცირებდა და გამეტებით ურტყამდა მას ფეხებს თავში, ტანის არესა და კიდურებზე, რის გამოც დ. რ განიცდიდა ძლიერ ტკივილს. დ.რ-ს საკანში დაბრუნების შემდეგ კ.ყ-მ იგი მკაცრად გააფრთხილა, რომ მისი ცემის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის თანასაკნელებსაც ანალოგიურად გაუსწორდებოდა.

აღნიშნული ფაქტიდან რამდენიმე კვირაში, სასამართლოს მიერ დ.რ-სთვის განაჩენის გამოტანამდე, მისგან აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით კ.ყ და მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლები შევიდნენ საკანში, სადაც მოთავსებული იყო ბრალდებული დ.რ. და კვლავ ჰკითხა აღიარებდა თუ არა იგი ჩადენილ დანაშაულს, რაზეც უარყოფითი პასუხის მოსმენის შემდეგ კ.ყ-მ და მისმა თანმხლებმა პირებმა პატიმრის მისამართით დაიწყეს გინება და სახეში რამდენჯერმე გაარტყეს ხელი. საქმეზე მოპოვებული იქნა სასჯელაღსრულებელი დაწესებულების თანამშრომლის აღიარებითი და სხვა პირთა მამხილებელი ჩვენება (გამომიებასთან მისი თანამშრომლობის შედეგების მიხედვით გავრცელდა მასზე საპროცესო შეღავათები). მოპოვებული იქნა დ.რ-ს თანასაკნელთა ჩვენებები, ამოღებული იქნა მკურნალობის ისტორია, დანიშნული და მიღებული იქნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. საქმეში არსებულ ზემოთჩამოთვლილ და სხვა მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე კ.ყ-ს წარედგინა ბრალდება დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით. საბოლოოდ, სასამართლოს მიერ გაზიარებული იქნა ბრალდების მხარის მტკიცებულებები და კ.ყ ცნობილი იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მიუხედავად იმისა ,რომ საქმეზე დაწყებული იქნა გამოძიება წამების ფაქტზე, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა

ერთობლიობით წამების შემადგენლობა ვერ დადასტურდა და ქმედება გადაკვალიფიცირდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით ჩადენილ ძალადობაზე. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებებით მკაფიოდ ვერ მოხერხდა ფსიქოლოგიური ძალადობის ინტენსივობის დადგენა, რასაც შეეძლო სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლა გამოეწვია უფრო მძიმე მუხლით, მაგრამ ფაქტია, რომ ფსიქოლოგიური აღქმა ძალადობისა (მუქარა, განმეორებითი ფიზიკური ანგარიშსწორების შიში და ა.შ), პირველი ფიზიკური ძალადობის დასრულებისთანავე არ ამოწურულა და დაკავებულის ემოციურ ფსიქოლოგიური ფონი განმეორდა მეორე ძალადობრივი ფაქტის დროსაც. შესაბამისად დაზარალებულისათვის ფსიქოლოგიური წნეხი და შიში შესაძლოა მორიგი ძალადობის შესახებ მისი დაკავებიდან სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე უწყვეტად გაგრძელდა.

2015 წლის 13 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, გ. წ-ს მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. 2017 წლის 04 ოქტომბერს სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე, შსს-ს ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა მხრიდან პატიმრების მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 144-ე ტერცია მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის 21 მაისიდან - 20 აგვისტომდე პერიოდში ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული იყვნენ ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული, სხვა და სხვა

ოპოზიციური პარტიის წევრები, მათ შორის გ.წ და კიდეც 13 პირი. ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსმა, თ.ვ-მ მხოლოდ იმიტომ, რომ ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ პირებს ჰქონდათ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, მათი დასჯის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღიარებული უფლებების და თავისუფლებების სრული იგნორირებით შეიმუშავა და განახორციელა პატიმრებთან მოპყრობის საგანგებო წესები, რათა მათში წარმოეშვა შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების განცდა, ამით გამოეწვია მორალური ტანჯვა, საბოლოოდ კი მიეღწია მათი მხრიდან უსიტყვო მორჩილებას.

2011 წლის 21 მაისიდან 05 ივნისამდე პერიოდში, ყოველდღიურად, თ. ვ-ს და მის თანამშრომლებს, ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორის დერეფანში გაჰყავდათ პატიმრები, გ.წ და სხვები, რის შემდეგაც თ.ვ და ვ.ს მათ სცემდნენ ხელ-ფეხით, ამცირებდნენ და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. თ.ვ-ს მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, მისი მითითებით და იზოლატორის დანარჩენი თანამშრომლების მეთვალყურეობით, პატიმრებს, პატიმრობის მთელი პერიოდის მანძილზე არ მიეწოდებოდათ საკმარისი ოდენობით საკვები, არც იზოლატორში არსებული მარაგებიდან და არც მათი ოჯახის წევრების მიერ შეგზავნილი ამანათებიდან. მთელი პატიმრობის განმავლობაში, პატიმრებს არ ეძლეოდათ დაბანის, თმის შეჭრის, წვერის გაპარსვის, პირის ღრუს ჰიგიენისა და თავის მოწესრიგების სხვა საშუალებები; ღამის საათებში არ ეძლეოდათ დამინებისა და დასვენების საშუალება. პერიოდულად, თ.ვ-ს უკანონო ბრძანების საფუძველზე, პატიმრებს უხდებოდათ საათობით ფეხზე დგომა, რასაც ისინი უსიტყვოდ ასრულებდნენ, ვინაიდან მათთვის ცნობილი იყო, რომ ნებისმიერი სახის დაუმორჩილებლობა ისჯებოდა ცემით. სისტემატური ცემის, არაადამიანურ პირობებში ჩაყენების,

იძულებითი შრომის, დამცირებისა და შეურაცხყოფის შედეგად პატიმრები თავს გრძნობდნენ დაუცველად და შეურაცხყოფილად, განიცდიდნენ ფიზიკურ ტკივილსა და ძლიერ სულიერ ტანჯავს. თითოეულ მათგანს ჰქონდა მოლოდინი, რომ მათ მიმართ არაადამიანური დამოკიდებულებას ადგილი ექნებოდა ყოველ მომდევნო დღეს, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა მათ მორალურ ტანჯვას. გამოძიების პროცესში, გარდა დაზარალებულთა (პატიმართა) ჩვენებებისა, მოპოვებული იქნა იზოლატორის ორი თანამშრომლის მამხილებელი ჩვენება, რომლებმაც დაადასტურეს იზოლატორის ხელმძღვანელი პირების მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები, მოპოვებული იქნა პატიმართა ოჯახის წევრების ჩვენებები მათ მიერ შეგზავნილი ამანათების ნაწილში, დაიკითხა სამედიცინო პერსონალი, ამოღებული და დათვალიერებული იქნა პატიმართა შესახლებისა და ყოველდღიური ულუფის გაცემის ჟურნალები, დადგენილი და დაკითხულნი იქნენ ვიზიტორები და პატიმართა უფლებადამცველები, გამოთხოვილი იქნა დაკავებისა და სხვა სახის ოფიციალური დოკუმენტაცია. საბოლოოდ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ბრალდებულების თ.ვ-სა და ვ.ს-ს მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის დამცირება არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მათ ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს და მორალურ ტანჯვას აყენებს, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით დაკავებული პირების მიმართ. განხილული მაგალითის მიხედვით, თავიდან გამოძიება დაწყებული იქნა 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუმცა მოწმეთა ჩვენებების მიღების შემდეგ მოხდა ქმედების

გადაკვალიფიცირება 1443 მუხლის მეორე ნაწილზე. ისმის კითხვა, რატომ არ მოხდა ქმედების დაკვალიფიცირება 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ვინაიდან ძალადობას, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას ეს ნაწილიც ითვალისწინებს? ამ შემთხვევაში პასუხი მარტივია და საკამათოც არაფერია. მხედველობაში იქნა მიღებული დამამცირებელი და ძალადობრივი ქმედებების კომპლექსურობა, ინტენსივობა და დროში განგრძობადობა. საუბარია, როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ფიზიკურ ძალადობაზე.

მოქალაქე გ.გ-ს საჩივრის საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში დაწყებული იქნა გამოძიება, პროკურატურის თანამშრომლების მიერ გ. გ-ის მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია შემდეგი: გ.გ და მისი მეუღლე ო.პ კანონიერად ფლობდნენ შპს „აკვაპარკის“ 100% წილს. აღნიშნული ქონება მოექცა რეგიონის მუნიციპალიტეტის ინტერესებში, რის გამოც 2008 წლის ივლისის დასაწყისში, პროკურორმა გ.ჭ-მ მისი ხელმძღვანელობისაგან მიიღო უკანონო დავალება, შპს „აკვაპარკის“ დირექტორის - გ.გ-თვის მოეთხოვა მისი მეუღლის - ო.პ-ს საკუთრებაში არსებული 1 559 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაცემა. ამ მიზნით, პროკურორმა გ.ჭ-მ, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე, დაიწყო გამოძიება აღნიშნული ქონების გასხვისების პროცესში სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული

დანაშაულის ნიშნებით. გამოძიების რეალურ მიზანს წარმოადგენდა გ.გ-ს და მისი მეუღლის ო.პ-ს მიმართ წარმოშობილიყო მათი დაბარებისა და დაკითხვისათვის „კანონიერი“ საფუძველი. გ.ჭ-მ რაიონულ პროკურატურაში, რამდენჯერმე დაიბარა შპს „აკვაპარკის“ დირექტორი გ.გ, რომელსაც უკანონოდ მოსთხოვა მისი მეუღლის - ო.პ-ს მიერ აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემით, მუქარა, ასევე, მოიცავდა მინიშნებას საპრობილეში არსებულ პირობების თაობაზეც, რომლის შესახებაც საზოგადოებაში საკმაოდ მძიმე ინფორმაციები იყო გავრცელებული. გ.გ მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, იძულებული გახდა დასთანხმებოდა პროკურორ გ.ჭ-ს უკანონო მოთხოვნას და თავისი მეუღლე - ო.პ დაერწმუნებინა, უძრავი ქონება უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოსათვის. საბოლოოდ, მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად ო.პ დასთანხმდა პროკურატურის თანამშრომლების უკანონო მოთხოვნას და საკუთარებაში არსებული ქონება ჩუქების ფორმით გადაუფორმა დაინტერესებულ მუნიციპალიტეტს. მას შემდეგ, რაც აღნიშნული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის იძულებით გადაცემა განხორციელდა, ხელოვნურად შექმნილ სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიება, ისე, რომ საქმეზე გარდა აუქციონთან დაკავშირებული დოკუმენტების ამოღებისა, არცერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება არ ჩატარებულა, შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. გამოძიების შედეგად მოპოვებული იქნა უძრავი ქონების აუქციონზე შესყიდვის დოკუმენტაცია, ასევე, ამოღებული იქნა ხელოვნურად შექმნილი სს საქმე, ამოღებული იქნა ჩუქების ხელშეკრულება, დაიკითხნენ დაზარალებულები გ.გ და ო.პ ასევე ყველა ის პირი, რომელთაც შეხება ჰქონდათ ქონების შეძენასა და შემდგომ გაჩუქებასთან დაკავშირებით, დაიკითხა სისხლის სამართლის

საქმეზე გამოძიების შემწყვეტი პროკურორი, ასევე დაიკითხა და აღიარებითი ჩვენება იქნა მიღებული გ.ჭ-სგან. მოპოვებული იქნა სხვა სახის დოკუმენტაცია და მტკიცებულებები. საბოლოოდ, დადგენილი იქნა, რომ გ.ჭ-ს მიერ ჩადენილი იქნა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საჯარო მოხელის მიერ არ განხორციელებულა ფიზიკური ძალადობა და არც სიტყვიერ შეურაცხყოფას ჰქონია ადგილი, მაგრამ საგამომიებო უწყებაში სისტემატური დაბარებებით, განმარტებებით, თუ რამდენი დრო შეეძლო გაეტარებინა პატიმრობაში გ.გ-ს თუკი არ დასთანხმდებოდა შეთავაზებულ წინადადებას, რა ვითარება იყო საპატიმროებში იმჟამად და ა.შ ცალსახაა, რომ მისი მხრიდან ადგილი ქონდა ფსიქოლოგიურ წნეხსა და იძულებას მიზნის მისაღწევად, მაგრამ საკანონმდებლო ნორმებში არსებულმა ბუნდოვანებამ გამოიწვია მისი ქმედების 333-ე მუხლის 1-ლი და არა მე-3 ნაწილით დაკვალიფიცირება.

იმისათვის, რომ მკაფიო ზღვარი გაეგლოს იძულებასა და ძალადობას შორის და დადგინდეს, რა შემთხვევებში ხდება ერთი – მეორის გადაფარვა, საჭიროა სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმების განხილვა, სადაც განმარტებულია იძულებისა და ძალადობის შემადგენლობები. აღნიშნული კი საშუალებას მოგვცემს აღმოვიხვრას ის ბუნდოვანება, რაც ჩვენს მიერ განხილულ მაგალითებში და, ზოგადად, სამართალწარმოების პროცესში გვხვდება.

თავად ძალადობის არაერთი განმარტება არსებობს, მაგალითად „ოჯახურ ძალადობასთან მიმართებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განმარტა, რომ: „ძალადობა არის ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების განზრახ გამოყენება რეალური ან მუქარის სახით მიმართული საკუთარი თავის, სხვა პირის, პირთა ჯგუფის ან თემის წინააღმდეგ, რომლის შედეგს წარმოადგენს (ან ამის

ალბათობის მაღალი ხარისხი არსებობს) სხეულის დაზიანებებები, სიკვდილი, ფსიქოლოგიური ტრამვა, გადახრები განვითარებაში, ან სხვადასხვა სახის ზიანი. განმარტებაში სიტყვების ძალაუფლების გამოყენება - ჩართვა აფართოებს ძალადობრივი აქტის ბუნების ჩვეულ გაგებას იმით, რომ მასში რთავს მოქმედებებს, რომელთა წყაროს წარმოადგენს ძალაუფლება ადამიანზე, ანუ მუქარა და დაშინება. ძალაუფლების გამოყენება, გარდა ამისა, ნიშნავს დახმარებაზე უარის თქმას ან უგულებელყოფას, რაც, ასევე, შედის ძალადობრივი აქტების რიცხვში. ამგვარად, გამოთქმა "ფიზიკური ძალის" ან "ძალაუფლების გამოყენება" უნდა გავიგოთ, როგორც სასტიკი მოპყრობის ნებისმიერი ფორმა (ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური), აგრეთვე, მკვლელობა და საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ნებისმიერი ხელყოფა.¹¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განმარტება ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით იქნა გაკეთებული, როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, სამოხელეო დანაშაულის ძალადობის მაკვალიფიცირებლად აბსოლუტურად მისაღები და გასაზიარებელია.

საქართველოს კანონში, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ - ძალადობა დაყოფილია 5 კატეგორიად:

„ა) ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

¹¹⁶ World report on violence and health:summary. World Health Organization Geneva 2002. St-4. https://www.who.int/violence_injury_prevention/violence/world_report/en/summary_en.pdf

ბ) ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

გ) იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

დ) სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ე) ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;¹¹⁷

აღნიშნული კანონის მიხედვით, ძალადობის განმარტებების ძირითადი ნაწილი, ასევე, მისაღებია სისხლის სამართლის პრინციპებისათვის სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით. კერძოდ: ა) პუნქტში ჩამოყალიბებული განმარტება, თავისუფლების უკანონო აღკვეთის გარდა, რომელიც სისხლის სამართლის სხვა დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენს, მთლიანად ჯდება 332-333-ე მუხლების მე 3 ნაწილში. აღნიშნული ნაწილი ანალოგიურად მოიცავს ბ) პუნქტის განმარტებასაც. დ) პუნქტი სისხლის სამართალში

¹¹⁷ საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხ. 4.
<https://matsne.gov.ge/document/view/26422?publication=14>

კვალიფიცირდება ასევე ცალკე დანაშაულად და გაწერილია 137-138-ე მუხლებში, თუმცა ამგვარი ქმედების მუქარა ასევე ჩაჯდება ბ) პუნქტშიც. რაც შეეხება ეკონომიურ ძალადობას, ამ პუნქტიდან სისხლისამართლებრივი დანაშაულის ძალადობად შეიძლება მივიჩნიოთ საკვებითა და ნორმალური განვითარების სხვა პირობების უზრუნველყოფის შეზღუდვა. (რაც განხორციელდა კიდევ ჩვენს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, თუმცა ჩვენს შემთხვევაში აღნიშნული არაადამიანური მოპყრობის შემადგენლად ფიქსირდება). რაც შეეხება გ) პუნქტს იძულებას, სწორედ აღნიშნული პუნქტი იწვევს ჩვენს ყველაზე დიდ ინტერესს. ჩვენს მიერ განხილული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტი, რა დროსაც დაზარალებულის მიერ დათმობილი იქნა საკუთრება ზუსტად ჯდება გ) პუნქტის განმარტებაში. ვინაიდან, სწორედ განხორციელებული ფსიქოლოგიური იძულების შედეგად საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ზემოქმედების შედეგად მოახდინა საკუთრების დათმობა დაზარალებულმა. იძულება „მოცემულ შემთხვევაში, ძალადობის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტია, რასაც სრულიად ვეთანხმები, მაგრამ, რატომღაც, ძალადობა სისხლის სამართლებრივ განმარტებაში ამგვარად არ აღიქმება.

იძულების და მისი შედეგების შესახებ საგულისხმოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის განმარტება, რომელიც გარიგების ბათილობასთან მიმართებაშია გაწერილი, კერძოდ:

„მუხლი 86. იძულების ხასიათი

1. გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.

2. იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.

მუხლი 87. იძულება პირის ახლობელთა წინააღმდეგ

იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

მუხლი 88. იძულება მართლზომიერი საშუალებებით

85–87-ე მუხლების მიხედვით, იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებიან.¹¹⁸

თუ პირობითად გავაერთიანებთ, დავაკორექტირებთ და გავიზიარებთ სამოქალაქო კოდექსისა და კანონის - ოჯახური ძალადობის შესახებ განმარტებებს, ძალადობის შესახებ, გამოვა, რომ: ძალადობა ეს არის – ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს; შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა მისი ამ მასთან დაკავშირებულ პირებთან მიმართებით ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას; ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება; საკვებით, ჰიგიენის

¹¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=99>

საშუალებებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის უფლების შეზღუდვას.

განსხვავებული მიდგომაა უშუალოდ სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე სამეცნიერო წრეებში, კერძოდ: „ძალადობის გამოყენება გამოიხატება ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებაში - ჩაადენინოს მას უკანონო მოქმედება, ან შეაწყვეტინონ მართლზომიერი საქმიანობა, მოხელის მართლსაწინააღმდეგო ინტერესიდან გამომდინარე. ძალადობად ჩაითვლება დაზარალებულის ცემა, ფიზიკური ტკივილის მიყენება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა და სხვა.“¹¹⁹

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი სისხლის სამართლის კოდექსის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილის გ) პუნქტში ცალკე აყალიბებს ამგვარი დანაშაულის დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენის გარემოებას. ხოლო მეცნიერთა ნაწილი განმარტავს, რომ: „მასში იგულისხმება მოხელის ისეთი ქმედება, რომელიც ამცირებს პირის ღირსებას უწესო ფორმით, ანუ ისეთი ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დადგენილ თანაცხოვრების წესს. შეურაცხყოფა მოქმედებაში გამოიხატება, სახელდობრ დაზარალებულის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოთქმები საჯარო გამოსვლებში და სხვა.“¹²⁰

მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილებშია გაერთიანებული ორივე დამამძიებელი გარემოება, კერძოდ: ბ) პუნქტის სახით - ძალადობით ან იარაღის გამოყენებით და გ) პუნქტის სახით - დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით და ამდენად სასჯელის სახეც იგივეა ამ ორი გარემოებისთვის, ამდენად, ზემოთ განხილული

¹¹⁹ ლეკვეიშვილი მ. და ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი-წიგნი მე-2. გამომცემლობა მერიდიანი, 2012 წ., გვ. 197.

¹²⁰ იქვე გვ-198

კომენტარების მიუხედავად, მაინც გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს მათი ამგვარი დაყოფა.

იმისთვის, რომ სრულფასოვნად იქნას გააზრებული ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულებების სფეციფიკა, საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების და დანაშაულებრივი ბუნების შესწავლა. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოხელის მიერ ძალადობით ჩადენილი დანაშაული სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი სხვა დანაშაულებებისაგან განსხვავდება და შეგვიძლია დავყოთ მათი გამომწვევი შემდეგი ფაქტორებით:

1. სამართალდამცავ სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა მიერ უკანონო ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობრივი მეთოდები უმეტეს შემთხვევებში მიმართულია და ემსახურება დამნაშავე პირის მხილებას ან დანაშაული გახსნას.

2. ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის გამოყენების ერთერთი ძირითადი მიზეზი, ასევე, არის დანაშაულის გახსნის დადებითი სტატისტიკური მაჩვენებლის შექმნა, რაც კონკრეტული სამართალდამცავის მუშაობის შეფასებისა და კარიერული დაწინაურების კრიტერიუმს წარმოადგენს.

3. ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მიზეზი სამართალდამცავ საჯარო მოხელეთა მიერ შეიძლება, ასევე, გახდეს სხვა დანაშაულის დაფარვა ან კონკრეტული დამნაშავე პირისათვის ხელის დაფარების სურვილი ან/და ამ მიზნით ზემდგომი თანამდებობის პირის ბრძანების შესრულება.

4. სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობის მიზეზად შეიძლება იქცეს, (უახლოესი წარსულის მაგალითებზე დაკვირვებით) სახელმწიფოს არასწორი სისხლისამართლებრივი პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო კრიმინალურ

სამყაროსა და საზოგადოებაში გარკვეული შიშის დანერგვისა და „პატივისცემის“ მოპოვების გზით, ე.წ კრიმინოგენული სიტუაციის მართვა და გამოსწორება.

5. პირდაპირი ანგარება.

6. სამოხელეო დანაშაულის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია არაპირდაპირი ანგარება. ხელმძღვანელის მიერ გაწეული მუშაობის „სათანადოდ დაფასებისა“ და პრემია/დანამატების მიღების მოლოდინი.

7. სამოხელეო დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების არამართლზომიერი მიზანი და ამ მიზნის დამახინჯებული აღქმა, რომლის ირიბ ფორმას სახელმწიფოს სასარგებლოდ რაიმე სახის სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულება ან/და კერძო საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უკანონოდ მიქცევის იძულება წარმოადგენდა. (ამ შემთხვევებში სწორედ სახელმწიფოს პოლიკა იყო დანაშაული ჩადენის ერთ ერთი წამქეზებელი ფაქტორი)

8. მოხელეთა მიერ პირადი „ან პოლიტიკური ანგარიშსწორების მოტივით ჩადენილი დანაშაულებების ფაქტორი.

9. სამართალწარმოების გარეშე, სწრაფი მართმსაჯულების განხორციელების დანაშაულებრივი მოტივი და ამგვარის დამახინჯებული წარმოდგენა.

10. საჯარო მოხელის ფსიქიკური მდგომარეობა და მისი მიდრეკილება ძალადობისკენ.

პირველი ოთხი პუნქტი სამოხელეო დანაშაულის კლასიკურ მოტივებს წარმოადგენს და მათზე ყურადღებას არ შევაჩერებთ, ვინაიდან აღნიშნული საფუძვლებით ჩადენილი დანაშაულები ერთნაირად დამახასიათებელია

ყველა, მათ შორის განვითარებული დემოკრატიის მქონე ქვეყნების სამართალდამცავი, თუ ძალოვანი სტრუქტურების მოხელეთათვის.

რაც შეეხება მეხუთე პუნქტს - პირდაპირ ანგარებას, აქ უნდა გავაერთიანოთ ის დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია ძალადობით და, რომელთა მიზანს მოხელის ან მოხელესთან დაკავშირებულ პირთა სასარგებლოდ მატერიალური და არამატერიალური ქონების (ბიზნეს წილების, აქციების, უძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებების, უფასო მომსახურების) დათმობა/გადაფორმება წარმოადგენდა. აღნიშნული მოტივით ჩადენილი დანაშაული თავისი ბუნებით, ფაქტობრივად, გამოძალვას წარმოადგენს, თუმცა გაცილებით საშიში ხასიათისაა, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და, როგორ წესი, ჩადენილია ჯგუფურად, რა დროსაც თანამდებობის პირი საკუთარ სტატუსს და მისდამი დაქვემდებარებაში მყოფ ცოცხალ რესურსს იყენებს.

მეექვსე პუნქტში არაპირდაპირ ანგარებაში უნდა მოვიაზროთ ე.წ „ზედმეტი ენთუზიაზმით“ შესრულებული დავალება ან/და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ფაქტორი, რა დროსაც დამნაშავე მოქმედებს „თავის წარმოჩენის“ მიზნით და ამგვარი „სამსახურისთვის“ ხელმძღვანელის მიერ სათანადო დაფასებას ელის. როგორც წესი, ამგვარი დანაშაულების პირდაპირ წამახალისებელ ფაქტორს, ან სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკა, ან/და კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ მართვის მეთოდის დამახინჯებული აღქმა წარმოადგენს. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ მოძალადე მოხელე, არცთუ იშვიათად, საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა, რათა შემდეგ ეპატაკა მის მიერ გატარებული ზომებისა და გახსნილი დანაშაულის შესახებ და სანაცვლოდ ფულადი პრემია, ან სხვაგვარი ჯილდო მიეღო „სათანადოდ“ გაწეული სამსახურისთვის.

მეშვიდე პუნქტში ასახულ სამოხელეო დანაშაულთა წამახალისებელ და განმაპირობებელ ფაქტორად ასევე სახელმწიფოს დანაშაულებრივი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა უნდა მივიჩნიოთ. სამართალდამცავ ორგანოთა თანამდებობის პირების მიერ უახლოეს წარსულში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი მუხლი- საპროცესო შეთანხმების შესახებ, დამახინჯებულად და არასწორად იქნა აღქმული და სწორედ ეს პროცესუალური ნორმა გადაიქცა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ დამატებით წყაროდ. სახელმწიფო თანამდებობის პირები, ხშირ შემთხვევაში, სწორედ საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის გზით აიძულებდნენ მხილებული დამნაშავის ოჯახის წევრებს შეუსაბამო და უკიდურესად გაბერილი თანხების გადახდას ბიუჯეტის სასარგებლოდ. რიგ შემთხვევებში ხდებოდა საკუთრების დათმობის იძულება, ან/და უსასყიდლოდ რაიმე სამუშაოების შესრულების იძულება, რაც საპროცესო შეთანხმების ჩრდილოვან პირობას წარმოადგენდა და, რითაც, მათი აღქმით, „სახელწიფოებრივი აღმშენებლობის დიად საქმეს“ ემსახურებოდნენ.

მოხელეთა მიერ პირადი ან პოლიტიკური შეხედულებებით ჩადენილ დანაშაულებს, ძირითადად, ადგილი ჰქონდა შს სამინისტროს დანაყოფებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა მხრიდან. საჯარო სამსახურების სრული პოლიტიზირების ფონზე უახლოეს წარსულში არც თუ იშვიათად ხდებოდა ზემოთ ჩამოთვლილ სტრუქტურებში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე მოქალაქეების მიმართ ფიზიკურ და ფსიქოლოგიური ძალადობით ანგარიშსწორების ფაქტები. აღნიშნული ერთ-ერთი ასეთი ფაქტი ჩვენს მიერ ზემოთ იქნა აღწერილი.

სამართალწარმოების გარეშე, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების დანაშაულებრივ მოტივში პირობითად გავაერთიანებთ

დანაშაულებებს, რომლებსაც, ძირითადად, პროკურატურისა და საგამოიძებო დანაყოფების საჯარო მოხელეები ახორციელებდნენ. მას შემდეგ, რაც მოხელეები დაადგენდნენ, რომ კონკრეტული პირი ყალბი დოკუმენტის საფუძველზე ან სხვა უკანონო გზებით ფლობდა უძრავ ქონებას ან სხვა საკუთრებას, ხდებოდა მისი დაბარება და მუქარისა და შანტაჟის გზით, რომელიც, ასევე, მოიცავდა მოსალოდნელი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფაქტორს, აიძულებდნენ მოქალაქეებს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ დაეთმოთ მათ საკუთრებაში არსებული ქონება. ფინანსური დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ე.წ. „ზიანის ანაზღაურების“ მიზნით, ადგილი ჰქონდა მეწარმეთა მიმართ, ასევე, რამე სახის მომსახურების უსასყიდლოდ შესრულების, ან/და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების იძულებას. ერთი შეხედვით, ამ შემთხვევაში, საჯარო მოხელეები ახდენდნენ უკანონოდ მითვისებული ქონების, ან/და ფინანსების სახელმწიფოსთვის დაბრუნებას სხვადასხვა ფორმით, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულს ახორციელებდნენ ყოველგვარი გამოძიების ჩატარებისა და სასამართლოს განხილვისა და გადაწყვეტილებების გარეშე, რასაც სწრაფი და ეფექტური სამართალწარმოების განხორციელების მიზნით ხსნიდნენ. სინამდვილეში კი არღვევდნენ ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებებს, საკუთრების უფლებას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომ არაფერი ვთქვათ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაზე.

საჯარო მოხელის მიერ ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ყველაზე საშიშ ფაქტორს განეკუთვნება მოხელის ფსიქიკური მდგომარეობისა და მისი ძალადობისადმი მიდრეკილებების გამო ჩადენილი დანაშაულები, რომელთაც არც მიზანი, არც მოტივი და არც ე.წ. „სახელმწიფოს აღმშენებლობის დიადი იდეა“ არ გააჩნიათ. სამწუხაროდ, ისევ უახლოესი წარსულის მაგალითებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, ძალოვან სტრუქტურებში დასაქმება ხდებოდა პირადი ნაცნობობისა (ნეპოტიზმის) და

პოლიტიკური შეხედულებების ერთგულების ნიშნით. მოხელეთა გარკვეული ნაწილი არ გადიოდა, ან სათანადოდ არ გადიოდა სამსახურებრივ და სამედიცინო შემოწმების კურსს. ინიშნებოდნენ ყოველგვარი კონკურსის, შესაბამისი განათლების და სამსახურებრივი გამოცდილების გარეშე. დასაქმების პროცესში წარმოქმნილმა უკონტროლობამ განაპირობა არც თუ ცოტა ფსიქიკური გადახრის და სისასტიკისადმი ფსიქიკურად მიდრეკილი კადრების შედინება საჯარო სამსახურებში, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა. კერძოდ, პატიმართა მიმართ ცემის, დამამცირებელი, არაადამიანურ მოპყრობისა და წამების ფაქტებმა ცხადყო, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ასეთ დანაშაულებს მოხელეები სჩადიოდნენ პირადი სიამოვნებისათვის, ყოველგვარი ბრძანებისა და მოტივის გარეშე. ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობთ ე.წ. „წესრიგისა და შიშის დანერგვის“ მახინჯ პოლიტიკას აღნიშნულ დაწესებულებებსა თუ საზოგადოებაში.

იმისათვის, რომ ეფექტურად იქნას გამოძიებული სამოხელეო დანაშაული, საჭიროა, პირველ ყოვლისა, სწორად დაიგეგმოს ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებათა სტრატეგია და ტაქტიკა, გამოიკვეთოს ფაქტობრივი გარემოებები, რაც მტკიცების საგანი გახდება. ნებისმიერი სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას უნდა დადგინდეს:

1. დანაშაულის დრო, ადგილი და ვითარება. ვითარებაში მოიაზრება სხვა ისეთი ელემენტები, რომელთა ერთობლიობა აღადგენს დანაშაულის სურათს და წარმოქმნის დანაშაულის გარემოებების ერთიან ჯაჭვს. ვითარებაში ასევე მოიაზრება დანაშაულზე ზეგავლენის მქონე გარე და შიდა ფაქტორები, რომელთა ანალიზიც ცხადყოფს შეგნებულად იქნა ადგილი და დრო შერჩეული, თუ ადგილი აქვს სპონტანურ გადაწყვეტილებას. როგორია დამნაშავის აღქმა და ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულის ადგილისადმი, რამდენად დაცულად გრძნობდა თავს თავად დამნაშავე

დანაშაულის ადგილას და ა.შ. სამოხელეო დანაშაულთა ჩადენის სპეციფიკის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ, როგორც წესი, ასეთი დანაშაულების ჩადენა ხდება უმეტესწილად 18 საათის შემდგომ და ღამის საათებში. ხოლო ადგილი, უმეტესწილად, არის მოხელის სამუშაო კაბინეტი, დროებითი დაკავებისა და მოთავსების ადგილები. პოლიციის განყოფილების შენობები. სასჯელაღსრულების სისტემაში კი საკნები, კარანტინისთვის გამოყოფილი ფართი, საშხაპე ოთახები და ა.შ. ბუნებრივ პირობებში კი როგორც წესი, დასახლებული პუნქტებისაგან მოშორებით მდებარე ტყის მასივები ან სასაფლაოები გვევლინება. ქუჩაში, დღის საათებში და მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებზე სამოხელეო დანაშაული, მით უმეტეს, ძალადობრივი, როგორც წესი, იშვიათ გამონაკლისებს წარმოადგენს.

2. შემდეგი გარემოება, რაც უნდა დადგინდეს, ეს არის დანაშაულის განხორციელების მექანიზმი და დინამიკა, რომელიც თავის თავში, როგორც დანაშაულის დაგეგმვა/მომზადებას, ისე დანაშაულის ჩადენის შემდგომ დამნაშავის ქცევას/მოქმედებას მოიაზრებს. მაგალითად, კვალის დაფარვისა და მამხილებელ მტკიცებულებათა განადგურების მიზნით შესაძლო განხორციელებული ქმედებების ერთობლიობა.

3. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის მიზნისა და მოტივის დადგენა. დამდგარი შედეგისა და მასში მოხელეთა ჩართულობის რაოდენობისა და რანგირების მიხედვით უნდა მოხდეს გაანალიზება მოქმედებდა დამნაშავე(ები) ვიწრო პირადი ინტერესებით, ასრულებდა დანაშაულებრივ ბრძანებას, თუ დანაშაულს ჰქონდა სისტემური ხასიათი.

4. დასადგენ გარემოებებს მიეკუთვნება დანაშაულის ჩადენის მეთოდი, ხერხი და დანაშაულის იარაღი. (ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ძალადობას თუ ფიზიკურ ზემოქმედებას. უკანასკნელ შემთხვევაში გამოყენებული იქნა თუ არა რაიმე საგნები, ან სპეც.საშუალებები, რომლებსაც, შესაძლოა რაიმე სახის

კვალი დაეტოვებინათ, როგორც დაზარალებულის სხეულსა და ტანსაცმელზე, ისე დანაშაული ადგილზე არსებულ სხვადასხვა საგნებსა და ნივთებზე).

5. დანაშაულის შესაძლო კვალის აღმოჩენისა და შესაძლო მტკიცებულებათა მოპოვების ღონისძიებათა დაგეგმვა, ასევე შესაძლო მოწმეთა კატეგორიისა და წრის განსაზღვრა სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას მთავარი და გადაწყვეტი ფაქტორია. მოწმეთა კატეგორიასა და წრეში იგულისხმება უშუალოდ დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ვერტიკალურ დაქვემდებარებაში მყოფი პირებისა და მასთან კოლეგიალური, თანაბარი რანგირების მქონე პირთა ჯგუფების განსაზღვრა, ასევე დამნაშავესთან სამსახურებრივად შემხებლობის არ მქონე შესაძლო მოწმეთა წრის დადგენა და გამოკითხვა. გამოკითხვების წარმოებისას ასევე მნიშვნელოვანია თუ რა თანმიმდევრობით (ან/და პარალელურ რეჟიმში) და სტრატეგიით მოხდება გამოსაკითხ პირთა დაბარება და გამომძიებლის მათთან პირველი კონტაქტი. გამოკითხვაზე დაბარებამდე მიზანშეწონილია საჯარო მოხელეთა პირადი საქმეებისა და მათი მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდების შესწავლა (დისციპლინარული გადაცდომების, შიდა სამსახურებრივი მოკვლევის მასალებისა თუ დაჯილდოება/წახალისების ფაქტორების დამუშავება, ქონებრივი დეკლარაციებისა და შემოსავლების ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლა, მასთან კავშირზე მყოფი პირებისა და მათი ინტერესების სფეროების შესწავლა კონკრეტულ თანამდებობასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებთან მიმართებაში და ა.შ), მათი ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად და მათთან ურთიერთობის ინდივიდუალური მეთოდების სწორად შერჩევის მიზნით.

საბოლოოდ, სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისათვის ერთი რაიმე სახის გაწერილი მზა ინსტრუქცია არ არსებობს და ვერც იარსებებს, ვინაიდან თითოეული დანაშაული და დამნაშავე მაინც ინდივიდუალურია და,

მიუხედავად დანაშაულთა, ან ჩადენის ხელწერათა მსგავსებისა, განმასხვავებელი მრავალი სხვა ფაქტორიც არსებობს. გამომძიებელმა/პროკურორმა თავად უნდა შეარჩიოს სტრატეგია, დაგეგმოს ტაქტიკა და აწარმოოს გამოძიება დანაშაულისა ხასიათისა და ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, თუმცა ჩემ მიერ ჩამოთვლილი 5 ძირითადი ფაქტორი საერთოა თითქმის ყველა სამოხელეო დანაშაულისათვის და აღნიშნული პრაქტიკაში არსებული საქმეების შესწავლისა და ანალიზის შედეგად იქნა დადგენილი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით და პრაქტიკაში სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციის დადგენისას ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია, ძალადობის სისხლის სამართლებრივმა განმარტებამ მოიცვას იძულების ცნება, როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ზეგავლენით ნების დამთრგუნავი ფაქტორი და გაიცეს რეკომენდაცია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის „იძულებით“ ჩადენის შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდეს მე-3 ნაწილით, ამასთან, მეტი თვალსაჩინოებისათვის, შესაძლებელია აღნიშნული მუხლების მესამე ნაწილში გაერთიანდეს ბ) და გ) პუნქტები, დაემატოს იძულება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: იძულებით, ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, ან იარაღის გამოყენებით.

თავი VI.

სამოხელეო დანაშაულის სტატისტიკური ანალიზი


სადისერტაციო თემისა და მასში განხილული საკითხების აქტუალობის წარმოსაჩენად, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი იქნა სტატისტიკური მონაცემები სამოხელეო დანაშაულთან მიმართებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული 28.09.2018 წლის N3-459-18 წერილის თანახმად 2013-2018 წლებში სასამართლოებში სულ შესული იქნა სსკ-ის 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სულ 135 სისხლის სამართლის საქმე 250 საჯარო მოხელის მიმართ. აღნიშნულ პერიოდში გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი სსკ-ის 332-ე მუხლით ბრალდებული 83 პირის მიმართ, გამამართლებელი განაჩენი 8 პირის მიმართ, ხოლო შეწყდა სს საქმე 6 პირის მიმართ. ამავე პერიოდში გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი სსკ-ის 333-ე მუხლით ბრალდებული 76 პირის მიმართ, გამამართლებელი განაჩენი 10 პირის მიმართ, ხოლო შეწყდა სს საქმე 10 პირის მიმართ. როგორც ვხედავთ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ამგვარის ბოროტად გამოყენებისათვის საერთო ჯამში გამამტყუნებელი განაჩენი დადგენილი იქნა 159 საჯარო მოხელის მიმართ, 18 პირის მიმართ დადგენილი იქნა გამამართლებელი განაჩენი და შეწყდა სს საქმე 16 პირის მიმართ, დანარჩენ საქმეებზე გრძელდება საქმეთა სასამართლო განხილვები.(იხილეთ ცხრილები N1, N2, N3 და N4.)

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად (მომართვის წერილი N13/72155 21.09.2018 წ.) 2013-2018 წლებში სსკ-ის 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციით დაწყებული იქნა გამოძიება 2101 საქმეზე. დევნა დაწყებული იქნა 380 საჯარო მოხელის მიმართ. გამოძიება შეწყვეტილი იქნა 727 სისხლის

სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იქნა 54 პირის მიმართ. განრიდება გამოყენებული იქნა 15 პირის მიმართ. (იხილეთ ცხრილები N5 და N6)


ცხრილი №1

საქართველოს საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში სსკ-ის 332-ე მუხლით წარმართული სისხლის სამართლის საქმეები




ცხრილი №2

საქართველოს საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში სსკ-ის 332-ე მუხლით დადგენილი გამამტყუნებელი, გამამართლებელი და შეწყვეტილი განაჩენები (პირთა მიხედვით)




ცხრილი №3

საქართველოს საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში სსკ-ის 333-ე მუხლით წარმართული სისხლის სამართლის საქმეები




ცხრილი №4

საქართველოს საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში სსკ-ის 333-ე მუხლით დადგენილი გამამტყუნებელი, გამამართლებელი და შეწყვეტილი განაჩენები (პირთა მიხედვით)




ცხრილი №5

სსკ-ის 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გამოძიებისა და დევნის დაწყების მაჩვენებლები საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით:



ცხრილი №6

სსკ-ის 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით:



საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის ერთობლივი ანალიზით დგინდება, რომ სსკ-ის 332-333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებისათვის დაწყებული იქნა გამოძიება 2101 საქმეზე. გამოძიების შედეგად, საბოლოოდ მხილებული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა ბრალდებულის სახით 326 საჯარო მოხელე, რომელთაგან 2018 წლის სექტემბრის თვის მონაცემებით 159 პირის მიმართ დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 16 პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი. ერთობლივი ინფორმაციის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლოში და საგამოძიებო უწყებაში იხილება საქმეები და მიმდინარეობს გამოძიება 135 ბრალდებული საჯარო მოხელის მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს კვლევაში არ მოხვდა ის საქმეები და ის ინფორმაცია, სადაც გამოძიება დაწყებულია და საქმეზე კვალიფიკაცია მინიჭებულია დანაშაულთა ერთობლიობის მიხედვით, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვნად გაზრდიდა როგორც გამოძიების დაწყების, ისე დევნის დაწყების მაჩვენებელს. გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ მთელი რიგი ბრალდებულების მიმართ ბრალად შერაცხულია არაერთი დანაშაულებრივი ეპიზოდი და, ასევე, ერთ სისხლის სამართლის საქმეში, შესაძლებელია, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, გაერთიანებული იყოს სხვადასხვა დროს ჩადენილი დანაშაულები უწყებრივი ან, სავარაუდოდ, სამხილებელ პირთა იდენტიფიცირების მიხედვით.

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა 2101 სისხლის სამართლის საქმე, მხოლოდ 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის საკმაოდ შთამბეჭდავი და სავალალო მაჩვენებელია. იგივე შეიძლება თქვას 326 მხილებულ და დევნა დაწყებულ საჯარო მოხელეთა მაჩვენებელზე, რომელთაგან 159 პირის მიმართ უკვე დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენი. 727 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების

შეწყვეტა, ხოლო 88 პირის მიმართ დევნის შეწყვეტისა და გამამართლებელი განაჩენების საერთო მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ვერ იქნა საგამოძიებო უწყების მიერ მოპოვებული მტკიცებულებათა ის სტანდარტი, რაც საკმარისი გახდებოდა პროკურატურისა და სასამართლოსათვის გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად ან/და მთელ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სამოხელეო დანაშაულში ცრუ დასმენას, რაც არანაკლებ პრობლემატურია. აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებელი, ჩემ მიერ არჩეული სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობის კიდევ ერთი დასტურია. სტატისტიკა ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამოხელეო დანაშაულთა მტკიცების კუთხით, მტკიცებულებითი სტანდარტის მიმართ ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება, როგორც გამოძიების, ისე, საქმის სასამართლო განხილვისას და ზოგადად სამართალწარმოებისას.

დასკვნა

სამოხელეო დანაშაულის (სსკ-ის 332-333 მუხლები) მტკიცებულებათა სტანდარტის სამართლებრივი ანალიზისას, რომელიც ეფუძნება ნაშრომში წარმოდგენილ კვლევას და, რომლის ფარგლებში განხილულია არაერთი სისხლის სამართლის საქმე, როგორც ქართული მართმსაჯულების, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრაქტიკიდან, მივედით გარკვეულ დასკვნებამდე და საკანონმდებლო კუთხით მთელი რიგი ცვლილებების საჭიროების რეკომენდაციამდე.

ისეთი სამოხელეო დანაშაულების გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას, როგორებიცაა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება

და მისი ბოროტად გამოყენება, უნდა გავიზიაროთ გერმანულის სამართლის სისტემაში დამკვიდრებული და აღიარებული „საქმის გარემოებების გამოკვლევის აბსოლუტურობის“ პრინციპი. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული არაერთგვაროვანი სტანდარტის ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის ობიექტური და ნათელი სურათის შესაქმნელად მნიშვნელოვანია თითოეული სამხილი, იქნება ეს არსებითი ინფორმაციის მატარებელი, თუ ნაკლებად წონადი ხასიათის. სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს მთავარი და მეორე ხარისხოვანი მტკიცებულებები. ნებისმიერი სახის მტკიცებულება მნიშვნელოვანია და მხოლოდ მათი ერთიან ჯაჭვში განხილვისა და გამოკვლევის შედეგად არის შესაძლებელი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენის დადგენა. მიზანშეწონილია სამართლის თეორიაში, ნაცვლად „ირიბი ჩვენებისა“ და „ირიბი მტკიცებულებისა“ დამკვიდრდეს არაპირდაპირი მტკიცებულების ცნება, რომელმაც თავის მხრივ უნდა მოიცვას „ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცებულებების“ განმარტებაც.

სამოხელეო დანაშაულის განმხილველ წინა სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვისას დაშვებული უნდა იქნას, როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარის მტკიცებულებები სრული მოცულობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახეზეა საპროცესო კანონმდებლობის აშკარა უხეში დაღვევითა და იძულება/ძალადობით მოპოვებული მტკიცებულებები და ამ შემთხვევაშიც კი „მოწამლული ხის“ პრინციპი, მისი თანმდევი შედეგით უპირობოდ არ უნდა იქნას გამოყენებული. კონკრეტული მტკიცებულების საქმიდან ამორიცხვამ ავტომატურად არ უნდა გამოიწვიოს ამ მტკიცებულების შედეგად კანონის დაცვით მოპოვებული სხვა მტკიცებულების ავტომატური ამორიცხვა. მაგალითად იმის გამო, რომ ჩხრეკისას გამომძიებელმა სათანადოდ არ შეავსო ოქმი ამ ფაქტორმა არ უნდა

გამოიწვიოს ჩხრეკის შედეგად ამოღებული დანაშაულის იარაღზე ან კვალზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების ავტომატურად დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა. მხარეებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თანაბარ პირობებში გამოიკვლიონ მათი შეხედულებით საქმისადმი შემხებლობაში მყოფი ნებისმიერი, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მტკიცებულება, ვინაიდან სოციალურ ქსელში ან მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება მხარის მიერ არჩეული სტრატეგიის ნაწილი იყოს და ერთი შეხედვით არაფრის მთქმელმა განცხადებამ საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლივი ანალიზისას გადამწყვეტი როლი ითამაშოს, როგორც მოსამართლის, ისე ნაფიც მსაჯულთა შინაგან რწმენაზე.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ მხარეთა შეჯიბრობითობის, თანასწორობისა და მტკიცებულებათა სასამართლოზე გამოკვლევის პრინციპები არ მოიცავენ არაპირდაპირი მტკიცებულებების აკრძალვის მოთხოვნას. თუმცა რეკომენდირებულია, დადგენილი იქნას კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობა და არაპირდაპირ მტკიცებულებათა ჩართვა მტკიცებულებათა ერთიან სტანდარტში, რომელიც საფუძვლად დაედება გამამართლებელ ან/და გამამტყუნებელ განაჩენს. მოსამართლე არ უნდა იდგეს ზედმეტად ბუნდოვანი დილემის წინაშე - დაუშვას თუ არა „ირიბი ჩვენება“ საქმეში და უნდა გაიზიაროს თუ არა იგი. გადაწყვეტილების მიღებისას. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მკაფიო საკანონმდებლო მოწესრიგება აღნიშნულ საკითხზე. მართლმსაჯულების სტანდარტის სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია გარკვეული ბალანსის დაცვა, რათა არაპირდაპირი მტკიცებულებების წონადობამ არ დაარღვიოს მხარეთა შეჯიბრებითობის ფუნდამენტური დებულებები და პრინციპები, ამისთვის კი დასადგენია მოსამართლის დისკრეციის კრიტერიუმები და აღმოსაფხვრელია

ის ბუნდოვანება, დაშვებული უნდა იქნას თუ არა და დაეყრდნოს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება არაპირდაპირ მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნული საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ მტკივნეულად დგას სამოხელეო დანაშაულის გამოძიება-სასამართლო განხილვასთან მიმართებით და დღეის მდგომარეობით არსებული სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკის გამომწვევი მთავარი მიზეზია.

სამოხელეო დანაშაულის მამხილებელი მტკიცებულებები უნდა გამოირჩეოდეს სანდოობის მაღალი ხარისხით. საგამოძიებო უწყების მთავარი ამოცანა არა მხოლოდ დანაშაულში ცალკეულ საჯარო მოხელეთა მხილება და შემდგომი სისხლისამართლებრივი დევნა უნდა წარმოადგენდეს, არამედ მან, ასევე, უნდა იზრუნოს, რომ არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე და დაუსაბუთებელი ბრალდებისაგან არ მიადგეს ზიანი საჯარო სამსახურსა და სახელმწიფოს ინტერესებს, არ მოხდეს იმიჯის შელახვა და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ მოხელეთა დისკრედიტაცია.

ნაშრომის ფარგლებში შერჩეული საკითხის კვლევისას გვერდი ვერ აუარეთ სამოხელეო დანაშაულში ცრუ დასმენისა და ცილისწამების ფენომენს. სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკული მაგალითების, განხილვისა და მათი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია რეკომენდაცია რათა სისხლის სამართლის 373-ე მუხლს - ცრუ დასმენას, დანაშაულის ობიექტად დაემატოს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი. ასევე ამ მუხლის მე-3 ნაწილს დაემატოს გ) ქვეპუნქტი - ჩადენილი საჯარო მოხელის ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიმართ.

რაც შეეხება ცილისწამების და მისი სისხლისამართლებრივი წესით დასჯადობის მიზანშეწონილობას, კვლევის ფარგლებში და ევროპის არაერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის ანალიზის საფუძველზე

მიზანშეწონილად მიმაჩნია, განხორციელდეს მთელი რიგი რეგულაციები და საკანონმდებლო ცვლილებები ამ კუთხით. კერძოდ: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლში - „ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“, უნდა შევიდეს ცვლილება:

1. ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს უნდა დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ და იმავე ან/და ანალოგიური საშუალებით დაევალოს ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა, რიმლითაც იქნა ამგვარი ინფორმაცია გავრცელებული.

2. სასამართლო უფლებამოსილია მოპასუხეს თუ ის ფიზიკური პირია დააკისროს ჯარიმა 500 დან 5000 ლარამდე ოდენობით.

3. სასამართლო უფლებამოსილია მოპასუხეს თუ იგი ორგანიზაციას (იურიდიულ პირს) ან მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს წარმოადგენს და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება მოახდინა სწორედ ამ უკანსკნელთა სახელითა და საშუალებით - დააკისროს ჯარიმა 5000-დან 30 000 ლარამდე ოდენობით.

4. მოპასუხის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა გამოიწვევს მოპასუხის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

შესაბამისად, საქართველოს სსკ-ში შესაძლებელია აღდგეს (როგორც სპეც. მუხლი) - ცილისწამება, რომელიც ამოქმედდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში და, რომელშიც, შესაბამისად, გაწერილი იქნება ფიზიკური პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის სახედ ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე ვადით. ასევე, მუხლის მეორე ნაწილში უნდა აისახოს ორგანიზაციის

(იურიდიულ პირის) ან მასობრივ საინფორმაციო საშუალებების, ინფორმაციის გამავრცელებელი ან ინფორმაციაზე პასუხისმგებელი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა, რომელიც დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით. ასევე, შესაძლებელია სპეციალური მუხლის აღდგენის გარეშე, აღნიშნული დანაშაული ასახული იქნას და შესაბამისი ნაწილად დაემატოს სსკ-ის 381-ე მუხლს („განაჩენის ან სასამართლო სხვა გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა“) სპეციალური დათქმით, რათა მკაფიო გამიჯნა მოხდეს ცილისწამების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებისა სხვა სახის გადაწყვეტილებების არშესრულებასთან მიმართებით.

ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით ვფიქრობ, არათუ დაკნინდება ან საფრთხეში ჩავარდება სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება, არამედ, ერთი მხრივ, სათანადო დონეზე იქნება დაცული ადამიანის სახელი, ღირსება, პატივი და მისი საქმიანი რეპუტაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ერთმნიშვნელოვნად გაიზრდება მედიისა თუ სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სანდოობა და ხარისხიანობა, დაიხვეწება ჟურნალისტური სტანდარტები, რაც ერთობლიობაში სწორი განვითარების გზაზე დააყენებს როგორც სახელმწიფოს მზარდ დემოკრაციას, ისე მედიასა და საზოგადოებას.

იმის გათვალისწინებით, რომ მოხელის მიერ სამართალწარმოების პროცესში ძალადობით ჩადენილი დანაშაული, სხვა დანაშაულებებისაგან განსხავდება, ნაშრომში, ძალადობრივი სამოხელეო დანაშაულების სრულფასოვნად გააზრებისათვის შემუშავებული და წარმოდგენილია მათი გამომწვევი 10 ძირითადი ფაქტორი, რაც თავისთავად სიახლეს წარმოადგენს. იმისათვის, რომ ეფექტურად იქნას გამოძიებული სამოხელეო დანაშაული, საჭიროა, პირველ ყოვლისა, სწორად დაიგეგმოს ჩასატარებელ საგამოძიებო

მოქმედებათა სტრატეგია და ტაქტიკა, გამოიკვეთოს ფაქტობრივი გარემოებები, რაც მტკიცების საგანი გახდება. „ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცებულებები“, ნაშრომში წარმოდგენილია 5 კატეგორიად და ნებისმიერი სამოხელეო დანაშაულის გამოძიებისას უნდა დადგინდეს. აღნიშნული პრაქტიკაში არსებული საქმეების შესწავლისა და ანალიზის შედეგად იქნა შემუშავებული და ნაშრომში დეტალურადაა გაწერილი.

ნაშრომში ცალკე თავია დათმობილი სამოხელეო დანაშაულის ჩადენისას გამოვლენილ ძალადობისა და იძულების ფაქტებზე, ვინაიდან ეს გარემოებები, როგორც წესი, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ამგვარის ბოროტად გამოყენების თანმდევი მახასიათებელია. პრაქტიკაში სამოხელეო დანაშაულის კვალიფიკაციის დადგენისას ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია ძალადობის სისხლის სამართლებრივმა განმარტებამ მოიცვას იძულების ცნება, როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ზეგავლენით ნების დამთრგუნავი ფაქტორი და გაიცეს რეკომენდაცია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 332-333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის „იძულებით“ ჩადენის შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდეს მე-3 ნაწილით, ამასთან, მეტი თვალსაჩინოებისათვის, შესაძლებელია აღნიშნული მუხლების მესამე ნაწილში გაერთიანდეს ბ) და გ) პუნქტები, დაემატოს იძულება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: იძულებით, ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, ან იარაღის გამოყენებით.

ბიბლიოგრაფია

1. ნადარეშიშვილი გ. თბილისი 2008 წ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.
2. მეტრეველი ვ. თბილისი 2009 წ. „რომის სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი.
3. ჩერნილოვსკი ზ.მ. 1992 წელი. „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. დოლიძე ი. თბილისი 1962 წ. „შუა საუკუნეების სამართალი“.
5. კვაჭანტირაძე დ. (ავტორთა კოლექტივი) თბილისი 2018 წ. „მტკიცებულებებთან დაკავშირებული პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის კუთხით“ (კვლევა) .
6. ჯავახიშვილი ივ. თბილისი 1928 წ. „ქართული სამართლის ისტორია“.
7. ჯავახიშვილი ივ. თხზულებები 12 ტომად 1979 წ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. მამნიაშვილი მ. გახოკიძე ჯ. და ავტორთა კოლექტივი. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. მესამე გამოცემა. თბილისი 2015 წ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“.
9. თუმანიშვილი გ. თბილისი 2014 წ. „სისხლის სამართლის პროცესი“ ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“.
10. ლომსაძე მ. თბილისი 2016 წ. სისხლის სამართლის პროცესი. გამომცემლობა „ბონა კაუზა“.
11. იმნაძე გ. თბილისი 2015 წ „ირიბი ჩვენების გამოყენების წესი“ (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.

12. ჩომახაშვილი ქ.; თომაშვილი თ.; ძეგნიაური გ.; ოსეფაშვილი ს.; პატარიძე მ. თბილისი 2016. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.
მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში (პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისათვის).
13. მამულაშვილი გ. და ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი - წიგნი II. ავტ. კოლექტივი გამომცემლობა მერიდიანი 2015 წ.
14. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა. საქართველოს უზენაესი სასამართლო ანალიტიკური განყოფილება თბილისი 2016 წ.
15. ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა.
თბილისი 2015 წ. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები“. გამომცემლობა მერიდიანი.
16. დოლიძე ი. თბილისი 1963 წ. „ქართული სამართლის ძეგლები“.
17. ფურცელაძე დ. თბილისი 1964 წ. „სამართალი ბატონიშვილი დავითისა“
18. ლეკვეიშვილი მ. და ავტორთა კოლექტივი. თბილისი 2012 წ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი-წიგნი 2-ე. გამომცემლობა მერიდიანი.
19. მაკბრაიდი ჯ. „ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი“ – თარგმანი ევროსაბჭო, 2011 წ.
20. Петровский А.В. Краснодар 2013 Г. Мусульманское уголовное право и особенности уголовного законодательства мусульманских государств.
21. Суровень Д.А. (Москва Номер: 20 Год: 2011) Должностные преступления в древней и раннесредневековой Японии Издательская группа "Юрист" .
22. Халиков А.Н . Москва Wolters Kluwer 2011 г. „Должностные насильственные преступления, совершаемые в правоохранительной сфере: характеристика, психология, методика расследования“.
23. Archbold, 'Criminal Pleading, Evidence and Practice' (Sweet & Maxwell, 2007).
24. Wigmore, 'A Treatise on the System of Evidence in Trials at Common Law' (3rd edn, Boston, Little Brown and Co, 1940).

25. James B. Thayer, "The Present and Future of the Law of Evidence (1898) 3
Harvard Law Review.

საკანონმდებლო აქტები:

1. . ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (ბოლოს ნანახია 02.05.2019 წ.) <http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>
2. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. (ბოლოს ნანახია 04.05.2019 წ.) <http://www.library.court.ge/upload/2978.pdf>
3. სისხლის სამართლის კოდექსი. (ბოლოს ნანახია 04.05.2019 წ.)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=200>
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. (ბოლოს ნანახია 04.05.2019წ.)
<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=105>
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (ბოლოს ნანახია 04.05.2019წ.)
<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=99>
6. კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების
შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ. (ბოლოს ნანახია
04.05.2019წ.)
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0>
7. სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი.
(ბოლოს ნანახია 04.05.2019წ.)
[http://religiebi.info/admin/editor/uploads/files/Kanonmdebloba/01/11%20marTl
wesrigis%20damcvel%20Tanamdebobis%20pirTa%20qcevis.pdf](http://religiebi.info/admin/editor/uploads/files/Kanonmdebloba/01/11%20marTl
wesrigis%20damcvel%20Tanamdebobis%20pirTa%20qcevis.pdf)
8. პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები.
(ბოლოს ნანახია 04.05.2019წ.)
http://sps.gov.ge/images/files/pdf/text_14182885782.pdf

9. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. (ბოლოს ნაწილია 06.05.2019წ.)
<https://matsne.gov.ge/document/view/26422?publication=14>
10. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ (ბოლოს ნაწილია 06.05.2019 წ.)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>
11. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება 17 ივლისი 1998წ. (ბოლოს ნაწილია 06.05.2019 წ.)
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi-axali2.pdf>
12. Criminal code of the Kingdom of Sweden (English version) (ბოლ. ნაწილია 20.05.2019 წ.) <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/1/>
13. Criminal code of the Kingdom of Sweden (English version) (ბოლ. ნაწილია 20.05.2019 წ.) <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/1/>
14. Criminal Code of the Swiss Confederation (1937, amended 2017) (English version) (ბოლ. ნაწილია 20.05.2019 წ.)
<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/48/>
15. Criminal Code of the Kingdom of Norway (1902, amended 2005) (English version) (ბოლ. ნაწილია 20.05.2019 წ.)
<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/11/>
16. Criminal Code of the Kingdom of Spain (1995, as of 2013) (English version) (ბოლ. ნაწილია 20.05.2019 წ.)
<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/2/>

17. Criminal Code of the Kingdom of Belgium (1867, as of 2016) (French version)
(ბოლ. ნანახია 20.05.2019 წ.)
<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/41>
18. Criminal Code of the Federal Republic of Germany (1971, amended 2013)
(English version) (ბოლ. ნანახია 20.05.2019 წ.)
<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/28>
19. Рычев А.Н. Уголовный кодекс Дании. (Перевод с датского и английского).
20. Миронов И.В. 2001г. Уголовный кодекс Голландии. (Перевод с
английского) Юрид. центр Пресс.
21. Милушев Д.В, Лукашов А И. 2001 г. Уголовный кодекс Болгария.
(Перевод с болгарского)Издательство «Юридический центр Пресс».
22. Барилович Д.А. 2001 г. Уголовный кодекс Республики Польша. (Перевод).
Издательство «Юридический центр Пресс».
23. Вихрова Л.С. 2004 г. Уголовный кодекс Австрии . (Перевод) Издательство
«Юридический центр Пресс».

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის
გადაწყვეტილება №1/1/548 2015 წლის 22 იანვარი. ქ. ბათუმი. (ბოლოს
ნანახია 06.05.2019 წ.)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2714193?publication=0>
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება
საქმეზე ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. განაცხადი
№35394/97. 12.05.2000 წ. (ბოლ. ნანახია 20.05.2019წ.)
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:\[%22KHAN%20v.%20THE%20](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22KHAN%20v.%20THE%20)

UNITED%20KINGDOM\\%22],%22languageisocode%22:[%22GEO%22],%22itemid%22:[%22001-178582%22]}

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ . განაცხადი N4378/02. 10.03.2009 წ. (ბოლ. ნანახია 20.05.2019წ.)
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:\[%22CASE%20OF%20BYKOV%20v.%20RUSSIA%22\],%22languageisocode%22:\[%22GEO%22\],%22itemid%22:\[%22001-178574%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22CASE%20OF%20BYKOV%20v.%20RUSSIA%22],%22languageisocode%22:[%22GEO%22],%22itemid%22:[%22001-178574%22]})
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №72508/13). 14.06.2014 წ. (ბოლ. ნანახია 20.05.2019წ.)
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/merabishvili-saqartvelos-winaagmddeg.pdf>
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე El-Masri v. “the former Yugoslav. Republic of Macedonia” საჩივარი No. 39630/09, 13.12.2012 (ბოლ. ნანახია 20.05.2019წ.)
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22display%22:\[%220%22\],%22languageisocode%22:\[%22GEO%22\],%22appno%22:\[%2239630/09%22\],%22documentcollectionid%22:\[%22GRANDCHAMBER%22\],%22itemid%22:\[%22001-126195%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22display%22:[%220%22],%22languageisocode%22:[%22GEO%22],%22appno%22:[%2239630/09%22],%22documentcollectionid%22:[%22GRANDCHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-126195%22]})
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 12 თებერვლის განჩინება საქმეზე Perez v. France, par 70. (ბოლოს ნანახია 20.05.2019)
[http://cambodia.ohchr.org/sites/default/files/echrsources/Perez%20v.%20France%20\[12%20Feb%202004\]%20\[EN\].pdf](http://cambodia.ohchr.org/sites/default/files/echrsources/Perez%20v.%20France%20[12%20Feb%202004]%20[EN].pdf)
7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე Doorson v. Netherlands, par 70. (ბოლოს ნანახია 20.05.2019 წ.) file:///C:/Users/inadareishvili/Downloads/001-57972.pdf

8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინება საქმეზე: Al Khawaja and Tahery v. UK, par 135. (ბოლოს ნანახია 20.05.2019 წ.) <https://www.legal-tools.org/doc/45f9d8/pdf/>
9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1985 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე X and Y v. the Netherlands (ბოლოს ნანახია 20.05.2019 წ.) <https://www.legal-tools.org/doc/8d0931/pdf/>
10. სისხლის სასამართლოს საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) გადაწყვეტილება საქმეზე - Prosecutor vs Radovan Karadzic. 24.03.2016 (ბოლ. ნანახია 20.05.2019წ.) http://www.icty.org/x/cases/karadzic/tjug/en/160324_judgement.pdf

ანგარიშები, პუბლიკაციები, ინტერნეტრესურსები:

1. საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში 22.11.2016 წ. (ბოლოს ნანახია 07.05.2019 წ.) <http://pog.gov.ge/res/docs/angarishi-2016.pdf>
2. საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება, 2015 წელი. გ.ოქროპირიძის საქმე (ბოლ. ნანახია 20.05.2019 წ.) <http://www.ombudsman.ge./geo/sasamartlo-megobris-mosazreba/saxalxo-damcvelma-giorgi-oqropiridzis-saqmeze-sasamartlos-megobris-mosazreba-waradgina>
3. პროფესორ ჰანს-იორგ ალბრეხტის შეხედულება. (ბოლოს ნანახია 06.05.2019 წ.) <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/albrexti.pdf>
4. საქართველოს პარლამენტის დადგენილება. 2004–2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების და მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ 10.06.2016 წ. (ბოლოს ნანახია 06.05.2019 წ.) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315583?publication=0>

5. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა „წარსულში (2004-12 წლებში) ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემური დანაშაულის შესახებ“ თბილისი 2016 წ. (ბოლოს ნანახია 06.05.2019 წ.)
<http://parliament.ge/uploads/other/49/49233.pdf>
6. ჯორბენაძე ო. ჟურნალი „მართმსაჯულება და კანონი“. სტატია - „რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენისა და მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის თაობაზე.“ N1(44),15
7. ირიბი ჩვენების დასაშვებობა და გამონაკლისები -ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა. (ბოლოს ნანახია 10.05.2019 წ.) <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/iribichvenebibi1.pdf>
8. მაჩაიძე რ. სტატია - ცილისწამების კრიმინალიზაცია – მორიგი დარტყმა მედიის თავისუფლებაზე. (ბოლ. ნანახია 20.05.2019წ.)
<http://factcheck.ge/article/tsilistsamebis-kriminalizatsia-morigi-dartqhma-mediis-thavisuphlebase/>
9. „მანუს კანონები“ (ბოლოს ნანახია 06.05.2019 წ.)
http://www.bharatiya.ru/india/zak_manu/glossary_manu.html
10. ძველი აღთქმა, მეორე რჯული, თავი მე-17, მე-19. (ბოლოს ნანახია 06.05.2019 წ.) <http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia/sarchevi.htm>
11. ბიბლია, 10 მცნება. (ბოლოს ნანახია 06.05.2019 წ.)
<http://www.orthodoxy.ge/sakhli/10mtsneba.htm>
12. ბუდიზმი. (ბოლოს ნანახია 06.05.2019 წ.)
<https://sites.google.com/site/religiebi/budizmi>
13. Законы вавилонского царя Хаммурапи. (ბოლ. ნანახია 20.05.2019 წ.)
<http://www.hist.msu.ru/ER/Text/hammurap.htm>

14. Ливанцев К.Е. История средневекового государства и права-Мусульманское право. (ბოლ. ნაწახიას 20.05.2019 წ.)
http://society.polbu.ru/livancev_gosprav/ch24_all.html
15. Греков, К. А. Москва 2007 г. „Квалификация преступлений, совершаемых путем превышения должностных полномочий“. (ბოლ. ნაწახიას 20.05.2019 წ.) <http://law.edu.ru/book/book.asp?bookID=1291439>
16. Цыганова В.Б. Перевод - „СУДЕБНИК 1550 г“..
(ბოლ. ნაწახიას 20.05.2019 წ.)
http://russiahistory.ru/download/library/istochniki/1073676_96334_sudebnik_1550_goda.pdf
17. Габбасов Р. 20.02.2014г „Что Ислам говорит о коррупции“. (ბოლ. ნაწახიას 20.05.2019 წ.) <http://islam-today.ru/obsestvo/kakovo-polozenie-korrupcii-v-islame/>
18. World report on violence and health: summary. World Health Organization Geneva 2002. (ბოლ. ნაწახიას 20.05.2019 წ.)
https://www.who.int/violence_injury_prevention/violence/world_report/en/summary_en.pdf
19. Spencer J.R, (Hart Publishing, 2008) „Hearsay Evidence In Criminal Proceedings“ (ბოლ. ნაწახიას 20.05.2019 წ.)
https://zodml.org/sites/default/files/%5BJohn_Spencer%5D_Hearsay_Evidence_in_Criminal_Procee.pdf
20. Relevant Domestic Law and Practise- Common Law Principles relevant to both cases/ Al-Khawaja and Tahery v United Kingdom; Judgment 15.12.2011. (ბოლ. ნაწახიას 20.05.2019 წ.)
<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%5B%22001-108072%22%5D%7D>

21. „Law of 29 July 1881 on the Freedom of the Press“ (ბოლ. ნაწახია 20.05.2019)
<https://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=LEGITEXT00000607072>
22. Criminal Procedure (Scotland) Act 1995 (ბოლ. ნაწახია 20.05.2019)
www.legislation.gov.uk/ukpga/1995/46/part/XII/crossheading/hearsay/data.pdf
23. Consultation Paper On Hearsay In Civil And Criminal Cases, Law Reform Commission, 2010 (ბოლ. ნაწახია 20.05.2019)
http://www.lawreform.ie/_fileupload/Hearsayfull.pdf
24. Evidence Report, 55 – Volume 1, Law Commission, 1999, par 52-59. აქტი (ბოლ. ნაწახია 20.05.2019)
<https://www.lawcom.govt.nz/sites/default/files/projectAvailableFormats/NZLC%20R55%20v1.pdf>
25. EA-s (Evidence Act) 26-e მუხლი. 04.12.2006 წ. აქტი (ბოლ. ნაწახია 20.05.2019)
<http://www.legislation.govt.nz/act/public/2006/0069/latest/DLM393463.html> >
26. World report on violence and health:summary. World Health Organization Geneva 2002. St-4. (ბოლ. ნაწახია 20.05.2019)
https://www.who.int/violence_injury_prevention/violence/world_report/en/summary_en.pdf